


კვანძონი



კვანძონი

«საქართველო» თბილისი
1966

ძველი ბერძენულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო
ბაჩანა ბრეგვაძემ



დიპლომატი „ფედონი“, რომელსაც გამოცემლობა „ნაკადული“ სთავა-
შობს მკითხველს, დიდი ბერძენი ფილოსოფოსის — პლატონის (427—347)
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა. პლატონური ფილოსოფიის კარ-
დინალური მომენტების დასაბუთების გარდა (შოკონების თეორია, დაბირის-
პირებულია თეორია, იდეათა თეორია და სხვა), „ფედონი“ მიზნად ისახავს
სულის უკვდავების მტკიცებას. მაუხუდავად მტკიცების არასაკმარისობისა
(ერთი თანამედროვე მკვლევარის თქმით, „ფედონი“ დღეს უფრო გვიანდელ-
ვებს, ვიდრე ვეარწმუნებს“), ეს ნაწარმოები მაინც რჩება პლატონის დია-
ლექტიკური აზროვნებისა და მხატვრული ისტატობის უბრწყინვალეს ნიმუშად.



I

ეს ეკრატე. შენ თვითონ იყავი, ფედონ, სოკრატესთან
იმ დღეს, როცა მან საწამლავი დალია საპურობილეში, თუ
სხვამ გაიმზო მისი ამბავი?

ფედონი. მე თვითონ ვიყავი.

ეს ეკრატე. მერედა, რა თქვა მან სიკვდილის წინ, ან
როგორ აღესრულა? სიამოვნებით მოვისმენდი ამას. მით უმე-
ტეს, რომ ფლიუნტელთაგან! ამეამად აღარავინ ცხოვრობს
ათენში და ათენიდანაც კი ხანია აღარავინ გეწვევია სტუმრად,
ვინც შესძლებდა მასზე მეტი ეცნობებინა ჩვენთვის, რაც უკვე
ვიცი. ცოდნით კი ის ვიცი მხოლოდ, რომ სოკრატემ საწამ-
ლავი დალია და მოკვდა. ეს არის და ეს, მეტი არა შეგვიტყვია
რა.

ფედონი. მაშ, არც ის შეგიტყვეთ, როგორ გასამართლებს იგი?

ეხეკრატე. არა, ეგ კი შეგიტყვეთ და ჩვენ გვიკვირდა დიდად, როგორ მოხდა, რომ ამდენმა დრომ განვლო განაჩენის გამოტანიდან მის აღსრულებამდე. რისი ბრალია ეგ ფედონ?

ფედონი. შემთხვევის, ეხეკრატე. მოხდა ისე, რომ გასამართლების წინააღმდეგ გვირგვინით შეამკეს იმ ხომალდის კიჩო, რომელსაც დელოსზე გზავნიან ათენელნი.

ეხეკრატე. რომელ ხომალდზე ამბობ?

ფედონი. როგორც ათენელნი გადმოგცემენ, ეს ის ხომალდია, რომლითაც თეზესმა შეიღო წყვილი ქალ-ვაჟი ჩაიყვანა ოდესღაც კრეტისზე, რათა ესნა ისინიც და თავისი თავიც. გადმოკემით, ათენელებმა აღუთქვეს მაშინ ასკლეპოსს. თუ ჩვენი შეიღები ვადარჩებიან, ყოველწლიურად წმინდა საელჩოს წარგზავნითო დელოსზე. და, მართლაც, იმხნიდან მოკიდებული, ათენელები ყოველწლიურად გზავნიან მას აპოლონის პატივსაცემად. ხოლო ათენში წესია ასეთი: როგორც კი იწყება სამზადისი წმინდა საელჩოს გასამგზავრებლად, ქალაქიც წმინდად ცხადდება და იკრძალება ვისიმე სახალხო სიკვდილით დასჯა მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ხომალდი დელოსს არ მიადწევს და ათენშივე არ დაბრუნდება. ისეც ხდება, რომ ელჩობას გზაში გრიგალი წაასწრებს ხოლმე და მაშინ მგზავრობა საკმაო ხანს ჭიანჭურდება. ელჩობა იწყება მაშინვე, როგორც კი აპოლონის ქურუმი გვირგვინით შეამკობს ხომალდის კიჩოს. ხოლო ეს დასაწყისი, როგორც ვითხარო, სოკრატეს გასამართლების წინააღმდეგ დაემთხვა. აი, რად

დაპყო მან საპყრობილეში ამდენი ხანი, განაჩენის გამოტანიდან მის აღსრულებამდე?

ეხეკრატე. თვითონ მისი სიკვდილისთვის რას გვეტყვი, ფედონ? რას ამბობდა, რას იქმნოდა იგი? ან ვინ ახლდა ახლობელთაგან? თუ ხელისუფლებმა არაფერს დატოვეს მასთან ყოფნის ნება და სოკრატემ მართოდმართომ, მეგობრებს მოწყვეტილმა დალია სული?

ფედონი. სრულიადაც არა; მასთან მეგობრები იყვნენ და ბლომადაც იყვნენ.

ეხეკრატე. მაშ, უცადე დაწვრილებით გვიამბო ყოველი, ან იქნება, არა გცალია?

ფედონი. არა, მცალია და ვეცდები გვიამბოთ კიდევ, რადგან ყველაზე მეტად სოკრატეს მოგონება მსიამოვნებს ამქვეყნად, სულ ერთია, მე ვიგონებ თუ ვისმენ, როგორ იგონებენ მას სხვები.

ეხეკრატე. მაშ, იცოდე, ფედონ, რომ სხვებიც ასეთივე სიამოვნებით მოვისმენენ შენ. მაგრამ გვიამბე, რაც შეიძლება დაწვრილებით გვიამბე ყოველი.

ფედონი. მე თვითონ უცნაურის გრძნობით ვიყავი შეპყრობილი იმ დღეს. ეს არ იყო სიბრაღის გრძნობა, თემცა ყველაზე ახლობელი კაცი მიდიოდა ჩემგან. ბედნიერი ჩანდა იგი, ეხეკრატე. ყველაფერი მოწმობდა ამას — მისი ქცევა, მისი სიტყვები; ისე უშიშრად და ღირსეულად ხედებოდა სიკვდილს, რომ მე ვფიქრობდი: პაღესს თუ შიღის, უფლის

განგებით მიდის ეს კაცი, ხოლო იქ ისეთ ნეტარებას უზიარებდა, როგორც არაფერს. არასდროს უზიარებია-მეთქი. ამიტომ გულში სიბრაღე არ ვამიღვლია, თუმცა ეს სავსებით ბუნებრივი იქნებოდა ჩემს დღეში მყოფი კაცისათვის. მაგრამ არც სიხარული იყო ეს, სიხარული, რომელიც ასე გვაგვებდა ხოლმე ჩვენა ფილოსოფიური საუბრებისას. ხოლო, როგორც ყოველთვის, ფილოსოფიაზე ვსაუბრობდით მაშინაც არა, ეს იყო სიხარულის და მწუხარების უცნაური ნარევი, მანამდე უცხო და განუცდელი. გამოწვეული იმის შეგნებით, რომ სოკრატეს მალე უნდა დავეტოვებინეთ ჩვენ. ყველა ამ უცნაურ გრძნობას შეეპყრო. ხახ ვტიროდით, ხან ვიცინოდით; განსაკუთრებით კი ერთი ჩვენგანი — აპოლოდოროსი; ხომ იცი, რა კაცია?

ეხეკრატე. ვიცო.

ფედონი. ის ხომ მთლად დაეთრგუნა მას, ამ უცნაურ გრძნობას. თუმცა, მეც ძალზე ვღელავდი, ღელავდნენ სხვებიც.

ეხეკრატე. მაინც, ვინ იყო მაშინ სოკრატესთან, ფედონ?

ფედონი. ათენელთაგან ეს აპოლოდოროსი, კრიტობული და მამაჰ მისი, აგრეთვე პერმოგენე, ებიგენე, ესხინე და ანტისტენე. იქვე იყვნენ კტესიპე პეანიელი, მენექსენე და სხვა ათენელნი, ხოლო პლატონი, ვფიქრობ, ავად იყო მაშინ.

ეხეკრატე. უცხოელთაგან ვინ იყო მასთან?

ფედონი. სიმია თებელი, კებესი და ფედონდე, ხოლო მეგარიდან ევკლიდე და ტერასიონი.

ეხეკრატე. არისტოპე და კლეომბროტე თუ იყვნენ იქ?

ფედონი. არა, როგორც ამბობენ, ისინი ეგინასზე იყვნენ მაშინ.

ეხეკრატე. ვინ იყო კიდევ?

ფედონი. მეტი არაფერს, მე მგონია, ყველა ჩამოეთვალე. ეხეკრატე. კეთილი. ახლა მითხარი, რა ითქვა იქ?

III

ფედონი. ვეცდები ყველაფერი თავიდან გიამბო. თვითელი ჩვენგანი, ჩვეულებებისამებრ, ყოველდღე ნახულობდა მას. დილაადრიან ვიკრიბებოდით სამსჯავროში, სადაც მსჯავრო დასდეს სოკრატეს, რადგან სამსჯავრო საპყრობილედან თრიოდე ნაბიჯზეა. ვსაუბრობდით და ველოდით, როდის გაგვიღებდნენ საპყრობილის კარს. ვალბით კი გვიან გვიღებდნენ. მაშინ ჩვენ შევდიოდით სოკრატესთან და მთელი დღე მასთან ვრჩებოდით. იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე შევიყარენით, რადგან წინა საღამოს საპყრობილედან გამოსულგებმა შევიტყვეთ, რომ ხომალდი უკვე მობრუნებულყო დელოსისკენ. შევიტყვეთ და დაეთქვით, მეორე დღეს უთენია შევყრილიყავით ჩვეულ ადგილას. შევიყარენით. გამოგვეგება მეკარე, რომელიც კარს გვიღებდა ხოლმე, და გვითხრა, დავლოდებოდით, ვიდრე თვითონ არ მიგვიხმობდა. — თერთმეტი ბორკილებს ხსნის სოკრატეს და უცხადებს მას, რომ დღეს უნდა მოკვდეს, — დასძინა მან. მალე მობრუნდა და შეგვიბატოვა. საკანში დავგვხვდა სოკრატე, რომლისთვისაც ის იყო ბორკილები აფხსნათ. ქმრის გვერდით იჯდა ქსანტიპა (შენ იცნობ მას); კალთაში ბავშვი ესვა დადვინახა თუ არა, როგორც დიაცებს სჩვევიათ მსგავს შემთხვევებში, საწყალობლად ატირდა ქსანტიპა: — აჰა, სოკრატე, უკანასკნელად ვესაუბრებიან შენი მეგობრები და შენც უკანასკნელად ვსაუბრები მათ. — აქ სოკრატე კრიტონს მიუბრუნდა და უთხრა: — კრიტონ, წაიყვანონ ეს ქალი სახლში.

მაშინ კრიტიკის მსღებღებმა ვარეთ გაიყვანეს ქსანტიპა. ის კი კვლავ მოთქვამდა და გულში იცემდა ხელს.

სოკრატე საწილზე ჩამოჯდა, ფეხები მოხარა და ხელით დაუწყო სრესა. ისრესდა და ამბობდა: — რა უცნაური რამაა, კაცო, ის, რასაც სიხარულს ვუწოდებთ ჩვენ, ან რა უცნაურად ესკენის მას, რასაც, ჩვენის აზრით, უპირისპირდება — მწუხარებას. ორივე ერთად ვერ თავსდება ადამიანში, მაგრამ თუ კაცი ისწრაფვის ერთისკენ და იღებს მას, იძულებული ხდება მიიღოს მეორეც, თითქოს ერთის თავი მართლაც ესკვბოდეს მეორისას და, მე მგონია, ეზოპე რომ ჩაჰფიქრებოდა ამას, ასეთ არაკს შეთხზავდა უთუოდ: ღმერთს სურდა ზავია, შეეკარა ეს ორი მოქიშბე გრძნობა, მაგრამ ვერ შესძლო და მხოლოდ ბოლოებით შექცაო ისინი. ამიტომაა, რომ ერთს გარდუვლად მოსდევს მეორე. როგორც ჩანს, ჩემშიც ეს ხდება ახლა, — განაგრძო მან, — წელან ბორკილები მიხრავდა ფეხებს და მაწუხებდა, ახლა კი სიხარულმა შესცვალა წუხილი.

IV

აქ მას კებებსა გააწყვეტინა სიტყვა: — ვფიცავ ზევს, — თქვა მან, სწორედ რომ დროზე გამახსენე ეგ. ხალხმა გაიგო, რომ შენ ეზოპეს იგავები გალექსე და ჰიმნიც შეთხზე აპოლონის სადიდებლად. ზოგი ადრეც მეკითხებოდა, ხოლო ამას წინათ ეგენმაც¹ მკითხა: — რით აიხსნება, რომ მას შემდეგ, რაც აქ მოხვდი, ლექსების წერას მოჰკიდე ხელი, თუმცა ლექსები არასოდეს არ გიწერია? ჰოდა, თუ გასურს პასუხი გავსცე ეგენს, როცა ხელახლა მომმართავს კითხვით, ხოლო მე მწამს, რომ მომმართავს. მაშინ მარქვი, რა ვუთხრა მას?

მ

— უთხარი მხოლოდ სიმართლე, კებეს, — თქვა მას, — უთხარი, რომ მიტომ კი არ დამიწყია ლექსების წერა, რათა მას ან მის ლექსებს ვაეჯიბრებოდი, — მე ვიცი, ეს ადვილი საქმე როდია, — არა, მე მსურდა ჩაეწვდომოდი ზოგიერთი ჩვენების აზრს, მსურდა გამერკვია, რას ითხოვდნენ ისინი და მომეხადა ჩემი უწმინდესი ვალი, თუკი მართლაც მუსიკოსობას ითხოვდნენ ჩემგან. ჩემი სიცოცხლის მანძილზე არა ერთჯერ მჩვენებია ერთი ჩვენება და, თუმცა სულ სხვადასხვა სახით მჩვენებია, ერთსა და იმევეს ჩამწურჩულებდა მედამ: — სოკრატე, მესმოდა მე, — ხელი მოჰკიდე მუსიკურ ხელოვნებას და მისდიე მას. უწინ ვფიქრობდი, ის მირჩევს და მაქეზებს ძიესლით მას, რასაც ამდენხანს მიესდევდი-მეთქი. და როგორც მორბენლებს აქეზებს ბოლმე ბრბოს ყაყინი, მეგონა, ჩემი ჩვენებაც ასევე მაქეზებდა მუსიკური ხელოვნების სამსახურისათვის, რადგან ფილოსოფია უდიდესი მუსიკური ხელოვნებაა, ხოლო მე ვემსახურებოდი მას. მაგრამ ახლა, როცა განაჩენის გამოტანის შემდეგ ღვთაების დღესასწაულმა ხელი შეუშალა ჩემს სიკვდილს, გადავწყვიტე დავუოლოდი ჩვენების ნებას, რომელიც ამდენხანს, შესაძლოა, უბრალო მელექსეობისათვის მაქეზებდა მხოლოდ. რადგან, ვიფიქრე, უფრო უშიშრად წავალ წუთისოფლიდან, თუ ჩემს წმინდა ვალს მოვიხდი-მეთქი ორიოდ დაეწერე ჰიმნი; შემდეგ კი იმ აზრამდე მივედი, რომ პოეტმა, თუკი მას სურს ჭეშმარიტი პოეტი ერქვას, ნამდვილისაგან კი არ უნდა შეჭმნას ლექსი, არამედ მოგონილისგან, მითისგან და რაკი ვერაფერი მითების მთხველი გახლავართ, ისევე ეზოპეს იგავებს მივუბრუნდი — ზოგი მათგანი ზეპირად მახსოვდა — და გავლექსე ისინი, რომელნიც პირველად გამახსენდა.

9

აი, ეს უთხარი მას, ჩემო კებეს, უკანასკნელად მომთქიანზე და გადაეცი, თუ თავისთვის კეთილი უნდა, რაც შეიძლება მაღლე გამომყვეს. მე კი, როგორც ჩანს, დღეს გავუყვები საიქიოს გზას; ასე ისურვეს ათენელთა.

მაშინ სიმიამ—ამას რას ურჩევო ევენეს?—თქვა.—მე ხშირად მქონია საქმე მასთან და რამდენადაც ვიცნობ, არაფრის გულისთვის არ ისურვებს ნებაყოფლობით გამოგყვეს უკან.

— როგორ? — იკითხა მან, — განა ევენე ფილოსოფოსი არ არის?

— ჩემის აზრით, ფილოსოფოსია, — მიუგო სიმიამ.

— მაშინ ის ისურვებს გამომყვეს უკან და არა მარტო ის, არამედ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ფილოსოფია. თუმცა ის, ალბათ, თავს არ მოიკლავს: როგორც ამბობენ, ეს დაუშვებელია.

ამ სიტყვებით მან ფეხები დაბლა დაუშვა და შემდეგ უკვე ასე მჯდომარე განაგრძობდა საუბარს.

მაშინ კებესმა ჰკითხა: — ამას რას ამბობ, ჩემო სოკრატე? თუ თავის მოკვლა დაუშვებელია, როგორღა ისურვებს ფილოსოფოსი უკან გაჰყვეს მომაცდავს?

— როგორ, ძვირფასო კებეს, ნუთუ ან შენ, ან სიმიას ამის შესახებ არა ვსმენიათ რა ფილოლოზისისაგანს, როცა უსმენდით მას?

— ბევრი არაფერი, სოკრატე.

— თუმცა მეც მხოლოდ უურმოკვრით ვსმენია ეს, ხოლო უურმოკრულს, რა თქმა უნდა, არ დაგიფარაუთ. ეგეც არ იყოს, კაცს, რომელიც იმქვეყნად გამგზავრებას აპირებს, შესაძლოა,

ჩველაზე მეტად შეჰფეროს გვესაუბროს და გვითხრას ზღაპარი ამ მგზავრობისა? გვითხრას, რა ვიფიქროთ მასზე. ან კი რა უნდა ვაკეთოთ სხვა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მის ჩასვლამდე დაგვრჩავ?

— კი მაგრამ, როგორ ამტკიცებენ, სოკრატე, თავის მოკვლა დაუშვებელია? რასაც შენ ამბობ ახლა, მე ეს უკვე ვსმენია ფილოლოზისისაგან, როცა ის ჩვენთან იყოფოდა, და არა მარტო მისგან. მაგრამ ეს არის და ეს, უფრო გარკვევით ამის შესახებ არვისგან არასდროს არა ვსმენია რა.

— იმედს ნუ გარდიწყვეტ, — თქვა მან, — იქნებ მალე ისმინო კიდევ, და, რა ისმენ, შესაძლოა განგაცვიფროს იმან, თუ რატომ წარმოადგენს სიცოცხლე ყველასათვის და ყოველთვის ერთადერთსა და უცვლელ ბუცილებლობას, მათთვისაც კი, ვისაც სიცოცხლეს სიკვდილი უჯობს, დიან, შესაძლოა განგაცვიფროს იმან, თუ რატომ არ აქვს უფლება იმ კაცს, ვისაც სიცოცხლეს სიკვდილი უჯობს, თვითონვე დაიხსნას თავისი თავი, რატომ უნდა დაელოდოს სხვა მხსნელსა და კეთილისმყოფელს?

კებესმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და თავის კილოზე თქვა: — მარტოდენ ზევსმა თუ უწყისო ეგ.

— ეს აზრი, — თქვა სოკრატემ, — შესაძლოა, სისულელედ ეჩვენოს კაცს, მაგრამ მას თავისი გამართლებაც მოეძებნება. ვაიხსენე მისტიურ მოძღვრებათა დიდი და ბუნდოვანი სიტყვები: მართალია ამქვეყნად თვითეული ჩვენგანი დილეგზია გამოკეტილი, არ უნდა ვეცადოთ ამ დილეგიდან გაქცევას და თა-

ვის დაღწევას. მაგრამ, მე მგონია, ყველაზე უკეთ მაინც ისაა ხათქვამი, რომ ღმერთები ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენ, კაცნი, ღმერთებს ვეკუთვნით. თუ შენ სხვაგვარად გვონია, კებებს?

— არა, — მიუგო მან.

— მაგრამ, — განაგრძო სოკრატემ, — ერთ შენს მონათაგანს შენი ნებასურვილის წინააღმდეგ რომ მოეკლა თავი, შენ, ალბათ, აღშფოთდებოდი და, დასჯა რომ შეგძლებოდა მისი, დასჯიდი კიდევ, არა?

— რა თქმა უნდა, — მიუგო კებესმა.

— ამიტომ, სიშლეგია კაცმა თავი მოიკლას მანამ, სანამ ამის აუცილებლობას არ მოუვლენს ღმერთი, ხოლო მე ამგვარი აუცილებლობის წინაშე ვდგავარ ახლა.

VII

— კეთილი, — თქვა კებესმა, — ჩემის აზრით, ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ სრულიადაც არ არის ბუნებრივი ის, რასაც ახლახან ამბობდი: ფილოსოფოსისთვის ძნელი როდია ისურვოსო სიკვდილი. ეს ფრიად უცნაური აზრია, სოკრატე, მით უმეტეს, თუკი შეხი წელახდელი სიტყვებისა არ იყოს. ღმერთები მართლაც ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენ, კაცნი, ღმერთებს ვეკუთვნით. განა უაზრობა არაა კაცთა შორის ყველაზე გონიერნი უდრტივინველად ეცლებოდნენ იმ ზრუნვას, რომლითაც თავს დაატრიალებენ უკეთესი თავსმდგომნი? მე ღმერთებს ვეულისხმობ აქ. ან, იქნებ, ფიქრობენ ისინი, მათ ზრუნვას რომ გავეცლებით, უკეთესად ვიზრუნებთო საკუთარ თავზე? მხოლოდ უგუნური თუ იფიქრებდა, რომ კაცი უნდა გაექცეს პატრონს, რადგან არ იცის, რატომ არ უნდა მოსწყდეს,

რატომ არ უნდა გაექცე კეთილს. ამიტომ, არა მართო იფიქრებდა, გაიქცეოდა კიდევ უგუნური, გონიერი კი ისურვებდა მოწყვიტ მის გვერდით ყოფილყო, ვინც მასზე კეთილია და უკეთესი. ამიტომ, შენ სცდები, სოკრატე: გონიერნი უნდა დრტივინავდნენ, როცა სიკვდილი უახლოვდებათ, უგუნური კი ხარობდნენ უნდა.

ჩანდა, სოკრატემ სიამოვნებით მოისმინა კებესის სიტყვა, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: — კებესი ადვილად როდი ერწმუნება მას, რასაც ეტყვიან და ყოველთვის პოულობს საჭირო სიტყვებს სხვისი აზრის უარსაყოფად.

მაშინ სიმამ — კებესი მართალიაო, სოკრატე. — თქვა, — მართლაც, რატომ ისურვებს ბრძენი ასე ადვილად მოსწყდეს და გაიქცეს პატრონს, რომელიც მასზე კეთილია და უკეთესი? და, მე მგონია, კებესს შენ ჰყავხარ მხედველობაში, რაკი ასე უდრტივინველად გეტოვებ ჩვენც და ჩვენს კეთილ არქონტებსაც, ესე იგი, შენივე სიტყვით რომ ვთქვათ, ღმერთებს.

— მართალს ბრძანებთ, — თქვა სოკრატემ, — როგორც ჩანს, თქვენ მოითხოვთ თავი დაგიცვა ამ ბრალდებისაგან, თითქოს მსაჯულთა წინაშე ვიდგე.

— სწორედ ამას მოვითხოვთ! — მიუგო სიმამ.

VIII

— კეთილი, — თქვა მან, — ვეცდები თქვენს წინაშეც დაგიცვა თავი და უკეთეს დაგიცვა, ვიდრე მსაჯულთა წინაშე. მართლაც, ჩემო სიმამ და კებეს, მე მწამს, რომ იქ ვინილავ სხვა ბრძენსა და კეთილ ღვთაებებს, ვინილავ აწ გარდასულთა

სულელებს, რომელთაც ვერაფერს შეედრება ცოცხალთა შორის. ეს რომ არ მწამდეს, ჩემის მხრივ დიდი შეცდომა იქნებოდა უდრტვინველად შევხვედროდი სიკვდილს. მაგრამ გარწმუნებთ, მე ვიძღვებ, რომ იქ ვიხილავ კეთილთა სულელებს, თუმცა ახლა არ მოვეყვები ამის მტკიცებას; ხოლო რაც შეეხება იმას, რომ იქ ვიხილავ ღმერთებს, დიდად კეთილ ბატონებს ჩვენსას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე შემოიღო დაგიმტკიცოთ ეს, თუკი, საერთოდ, კაცს შეუძლია ამის მტკიცება. ამიტომაც, რომ არ ვდრტვინავ სიკვდილის წინ: პირიქით, იმედი მაქვს, რომ კაცთათვის სიკვდილის შემდეგაც არსებობს რაღაც და, ძველი გადმოცემისა არ იყოს, ეს რაღაც კეთილთათვის გაცილებით უკეთესია; ვიდრე ბოროტთათვის.

— როგორ, სოკრატე, — თქვა სიმამ, — შენ გინდა ისე ჩაიტანო საფლავში შენი რწმენა, რომ არ გვაზიარო მას? შე მგონია, ეგ სიკეთე საერთოა ყველა ჩვენგანისათვის და ესეც არ იყოს, თუ შენს სიმართლეში დაგვარწმუნებ, თავის მართლებაც ეს იქნება შენი.

— ვეცდები დაგარწმუნოთ, — თქვა მან, — მაგრამ ჯერ ენახოთ, რას გვეტყვის ჩვენი კრიტონი; რამდენი ხანია, ვატყობ, რაღაცის თქმას აპირებს.

— მე მხოლოდ იმის თქმას ვაპირებ, ჩემო სოკრატე, — თქვა კრიტონმა, — რასაც ამდენხანს ჩამჩიჩინებს ის, ვინც შხამი უნდა შემოვიტანოს. ჩამციებია, გინდა თუ არა, უთხარი, რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკოსო. მისი აზრით, ლაპარაკი ძალზე აცხარებს კაცს, ეს კი დაუშვებელია შხამის მიღების წინ. რადგან, ვინც ბევრს ლაპარაკობს, იძულებულია თურმე ორჯერ, ხან კი სამჯერაც მიიღოს შხამი.

მაშინ სოკრატემ — მოეშოთ, — უთხრა. — დაე, იმდენი შხამი მომიშალოს, თითქოს უკვე იძულებული ვიყო ორჯერ ან სამჯერ მივიღო იგი.

მე წინასწარ ვიცოდი, რასაც იტყოდი, — თქვა კრიტონმა, — მაგრამ რა შექნა, გადამეკიდა.

— მოეშვი მას, — თქვა სოკრატემ, — ახლა მე მინდა ანგაზონი ჩავაბაროთ თქვენ, ჩემს მსაჯულებს. ამრიგად, მე მიმანია, რომ კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ფილოსოფიას, არ უნდა უფროსოდეს სიკვდილს, არ უნდა შეარგავდეს იმედს იმისას, რომ იმჭვეყნად, სიკვდილის შემდეგ, უზარმაზარ სიკეთეს ეზიარება. რატომ მიმანია? ვეცდები ავიხსნათ, ჩემო სიმამ და კებეს.

როგორც ჩანს, კაცთათვის შეუძინეველი რჩება, რომ მთელი მისი სიცოცხლე, ვინც უანგაროდ ემსახურება ფილოსოფიას, სხვა არა არის რა, თუ არა სამზადისი კვდომისა და სიკვდილისათვის. და თუ ეს მართალია, რას იტყვი, განა უცნაურია არ იქნებოდა ასეთი რამ: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილის მეტს არას ნატრობდეს კაცი და მერე, როცა სიკვდილი თვითონ მიადგება კარზე, დრტვინვით ხედებოდეს მას, რასაც ამდენხანს ნატრობდა და ესწრაფვოდა?

სიმამ გაიციხა და თქვა: — ღმერთმანია, გამაციხე, სოკრატე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მეცინება? მე მგონია, ბრძოს რომ ესმინა შენი სიტყვები, დაასკენიდა — მშვენივრად მსჯელობს ფილოსოფოსებზეო. ხოლო რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ ფილოსოფოსნი ესწრაფვიან სიკვდილს, ჩემი

თანამოქალაქენი პარდაბირ დაგვიკრავდნენ კვარს: ჩვენ ხომ ვიცითო, იტყოდნენ, რომ ისინი ღირსნი არიან სიკვდილის.

— და მართალსაც იტყოდნენ, ჩემო სიმია, თუ გამოვრიცხავთ იმას, რომ მათ იციან ეს: არა, მათ არ იციან, რატომ ესწრაფვიან ან რატომ იმსახურებენ ჭეშმარიტი ფილოსოფოსნი სიკვდილს. მაგრამ, — დასძინა მან, — თავი ვანებოთ შენს თებულებს და ჩვენი საუბარი განვაგრძოთ ისევ. რას ვიტყვით, არის თუ არა რამე სიკვდილი?

— რა თქმა უნდა, — მიუგო სიმია.

— მაგრამ რა არის იგი, თუ არა სულის გაყრა სხეულისაგან? რას ნიშნავს იგი, თუ არა ცალ-ცალკე არსებობას ერთ-ერთს გაყრილი სულის და სხეულის? განა ეს არაა სწორედ სიკვდილი?

— ესაა სწორედ, — თქვა სიმია.

— კარგად დაფიქრდი, ჩემო კეთილო, მართლა მეთანხმები თუ არა? რადგან ვფიქრობ, აქედან გამომდინარე უფრო მალე მივწვდებით ჩვენი მსჯელობის საგანს, რას იტყვი, განა ფილოსოფოსი ზრუნავს შეებისა და განცხრომისათვის, ვთქვათ, ჭამისთვის, სმისთვის?

— ყველაზე ნაკლებ, ჩემო სოკრატე, — მიუგო მან.

— ვნებათა დაცხრომისათვის?

— არა.

— სხვა სორციელი სინარულისთვის? რა ფასი აქვს მის თვალში ასეთ სინარულს, რა ფასი აქვს ღამაზე ტანსაცმელს, ღამაზე ფეხსაცმელს ან სხვა ძვირფას ტანსამკაულს? როგორ გგონია, ფილოსოფოსი რაიმე მნიშვნელობას ანიჭებს ყოველივე ამას, თუ არა ავადებს და არ იკარებს, ვიდრე აუცილებლობა არ აიძულებს თავისი წილი აიღოს მათგან?

— მე გგონია, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი არა ავადებს ყოველივე ამას, — მიუგო სიმია.

— მაშინ შენ, ალბათ, ისიც გგონია, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსი სხეულისათვის კი არ იღწვის, პირიქით, შეძლებისამებრ, თავს არიდებს მას და სულისათვის იღწვის მხოლოდ.

— დიახ.

— და, უპირველეს ყოვლისა, სხვებისგანაც ხომ იმით განირჩევა ფილოსოფოსი, რომ სხეულთან ურთიერთობისგან ათავისუფლებს სულს?

— როგორც ჩანს.

— უმრავლესობას კი ჰგონია, ჩემო სიმია, რას ვაქნევთო სიციცხლეს განცხრომისა და შეების გარეშე. ამიტომაც, რომ ყაცს, რომელიც არა ავადებს სორციელ სინარულს, მათის მხრით, ცალი ფეხი სამარეში უდგას თავი.

— მართალს ბრძანებ.

X

— ხოლო ცოდნის მოხვეჭისათვის რაღას იტყვი? გვიშლის თუ არა ხელს სხეულს, როცა მას მწედ მოეუხმობთ ცოდნის ჭებნისას? აი რა მიხდა ვთქვა: ჭეშმარიტია ის, რასაც ჩვენი ძეგრა გვაწვდის და ჩვენი სმენა, თუ მართალი არიან პოეტები, რომლებიც გამუდმებით ჩავეჩინებენ: დანამდვილებით ვერას ვხედავთ, ვერას ვისმენთ? ხოლო თუ ამ ორი გრძნობით ვერას ვწვდებით სანდოს და ჭეშმარიტს, ძალზე საეჭვოა სხვა გრძნობებით ვიწვდეთ მას, რადგან ისინი პირველ ორზე დაკლებით სუსტნი არიან. თუ შენ არ მეთანხმები?

— მეთანხმები, — მიუგო სიმია.

— კი მაგრამ, როდის სწვდება სული ჭეშმარიტს? — იკითხა

თხა სოკრატემ, — რადგან, ცხადია, როცა სხეულთან ერთად ეძებ მას, ამ უკანასკნელს შეცდომაში შეჰყავს ყოველთვის.

— მართალს ვრძანებ.

— მაშასადამე, ჭეშმარიტს უპირატესად მაშინ ვეძებ სული, როცა აზროვნებს, არა?

— დიახ.

— ხოლო სული ყველაზე უკეთ აზროვნებს მაშინ, როცა არაფერი ამღვრევს მას, არც სმენა, არც მზერა, არც ტკივილი, არც სიხარული, როცა ინძარცვის და, შეძლებისამებრ, თავისუფლდება სხეულისგან და თავის თავში ოდენ შთენილი მიიქცევა არსებულის ჭერეტად.

— აგრეთ.

— ამრიგად, აქაც ვხედავთ, რომ ფილოსოფოსის სული არად ავდებს საკუთარ სხეულს, ვაუბრის მას და ცდილობს საკუთარ თავში მარტო დარჩენას.

— როგორც ჩანს.

— ამის შემდეგ რას ვიტყვით, სიმია? როგორ გგონია, სამართლიანობა წარმოადგენს რამეს თუ არა?

— წარმოადგენს, ვიფიციავ ზევსს.

— მშვენიერებაც, სიკეთეც?

— რა თქმა უნდა.

— კი მაგრამ, საკუთარი თვალთუთ ვინახავს ოდესმე რომელიმე მათგანი?

— არასოდეს, — მიუგო სიმიამ.

— ან გრძნობის სხვა ორგანოთი თუ მისწვდომიხარ მათ? მე გველისხმობ ყველაფერს — ჯანმრთელობას, სიდიდეს, ძალას, ერთის სიტყვით ყველაფრის არსს, ყველა თავის თავში არსებულ საგანს. განა შეგვიძლია სხეულის შემწეობით მივ-

წვდეთ მათ? მე გგონია, პირიქით, თუ ვინმეს შეუძლია მათი მისწვდომა, მიუახლება და მისწვდება ისევ ის, ვინც ყველაზე დიდხანს და დაყინებით ფიქრობს მასზე, რასაც სურს მისწვდეს.

— რა თქმა უნდა.

— ან ვინ მისწვდება მასზე წმინდად და სრულყოფილად, ვინც მხოლოდ გონებით სწვდება თვითეულ საგანს, ისე რომ მხერას ან სხვა გრძნობას არ იშველიებს აზროვნებისას, ვინც მხოლოდ წმინდა აზრით, აზრით თავის თავში, ნადირობს თავის თავში არსებული ყოველი საგნის წმინდა არსზე, რადგან ფუჭ იარაღად მიაჩნია თვალი, ყური, ერთის სიტყვით, მთელი სხეული, რომელიც პირველი შეხებისთანავე ამღვრევს სულს და დაბრკოლებად ელობება წინ სიბრძნისა და სიმართლისკენ მიმავალ გზაზე. და, ვიმეორებ, თუ ერთი ვინმე მაინც მიუახლოვდება ჭეშმარიტებას, ჩემო სიმია, მიუახლოვდება ისიც.

— სრული სიმართლეა, ჩემო სოკრატე, — თქვა მან.

— ყოველივე ამის გამო ჭეშმარიტ ფილოსოფოსთა სულში უთუოდ უნდა აღიძრას აზრი, რომელსაც ურთიერთშორის საუბრისას ასე ვამოსთქვამდნენ ისინი: ძნელად საეალ ბილჯის მივსდევთ ჩვენი ძიებისას და ვიდრე სხეულისაგან არ განეძარცვულვართ, ვიდრე სული არ გაჰყრია ამ ბოროტებას, მთელის სისრულით ვერასოდეს მივწვდებით მას, რასაც ვესწრაფვით, ვერასოდეს მივწვდებით ჭეშმარიტებას! მართლაც, სხეული უთვალავ დაბრკოლებას გვიქმნის ჩვენ, რადგან გვაი-

ქლებს საზრდელი ვიძიოთ მისთვის, ხოლო თუ ამას ავადმყოფობაც დაერთო ზედ, სამუდამოდ ხელმოცარულნი ვრჩებით ჭეშმარიტებაზე მონადირენი. სწორედ სხეული გვაგებს ვნებებით, სურვილებით, ძრწოლით, ათასგვარი მოჩვენებებით ამაო და ფუჭი განცდებით, და არ ცდებიან, როცა ამბობენ რომ სხეულის წყალობით ერთხელაც ვერ ჩაფიქრებივართ ჯეროვნად რამეს. ომები, ამბოხებები, ბრძოლები მხოლოდ სხეულისა და მისი ვნებებისგან იღებენ დასაბამს, რადგან ყველა ომის მიზანი სიმდიდრის მოხვეჭაა, ხოლო სიმდიდრე ჩვენ გვჭირდება სხეულისათვის, რომელსაც მონის მორჩილებით ვემსახურებით. ამიტომ ევლარ ვიცლით ფილოსოფიისთვის. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ მაშინაც კი როდესაც ვიცლით და მივიქცევით რაიმეს ჭკრეტად, სხეული მყისვე ეჩრება ჩვენს ძიებებში, გვამღვრევს, გვადლეუებს და გვაშორებს ჭეშმარიტებას. აზრივად, თუ გვსურს წმინდა სახით შევიცნოთ რამე, თავი უნდა დავაღწიოთ სხეულს და მხოლოდ გონების თვალთ ვუშვიროთ საგნებს. იქნებ მაშინ მაინც ვეზიაროთ მას, რასაც ეეტრდით და რასაც ვესწრაფვით, სახელდობრ, სიბრძნეს. მაშინ-მეთქი. რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ — სიკვდილის შემდეგ, როგორც სიტყვა გვიანიშნებს ჩვენი რადგან სიცოცხლეში ეს გამორიცხულია; და რაკი სიცოცხლეში წმინდა სახით ვერას შევიცნობთ, ორიდან ერთი უნდა ვადიაროთ უთუოდ: ან, საერთოდ, ვერასოდეს შევიძენთ ცოდნას, ანდა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, როცა სული საბოლოოდ ეყრება სხეულს და თავის თავში რჩება მარტოდენ, როგორც ჩანს, სიცოცხლეშიც მხოლოდ მაშინ მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას, როცა იმდენად დავშორდებით სხეულს, რომ მხოლოდ ატყობლობა თუ ვგაიძულებს საქმე ვიჭონიოთ

მასთან, როცა სხეულის ბუნებით კი არ ავივსებით და ვავრსებებით, პირიქით, ჩვენს სიწმინდეს დავიცავთ მისგან, დავიცავთ მანამ, სანამ თვით ღმერთი არ აგვხსნის ბორკილებს; და მაშინ, სხეულის დამთხვეულობისგან ასე წმინდად თავდახსნილები ჩვენსავე მსგავსთა სირას² შეგერთვით და შევიცნობთ ჩვენსავე მიერ³ ყოველსაც წმინდას, რომლის სახელი, შესაძლოა, ჭეშმარიტებაა თვითონ. რადგან უფლის განგებით, უწმინდური ვერასოდეს ვაეკარება წმინდას. ჩემის აზრით, ასე უნდა ფიქრობდნენ, ასე უნდა საუბრობდნენ ერთმანეთს შორის სიბრძნის ჭეშმარიტი ტრფიალნი. რას იტყვი, სიმია?

— მართალს ბრძანებ, ჩემო სოკრატე.

XII

— და თუ ეს მართალია, ჩემო მეგობარო, — თქვა სოკრატემ, — ყველას სულში, ვინც მივა იქ, საცა მე მივალ ახლა, უნდა დავიოდეს დიდი იმედი იმისა, რომ იმქვეყნად უფრო უმაღლესად ვიდრე სხვაგან სადმე, ჰპოვებს მას, რასაც ასეთის რუღუნებით დაეძებდა ამ სიცოცხლეში. ამიტომ აწ ნაბრძანები გარდასახლების გზაზე მიმავალს თან მიმყვება კეთილი იმედი, და მე კი არა მარტო, ეს იმედი თან წაჰყვება ყველას, ვინც ფიქრობს, რომ განწმინდა და განამზადა თავისი აზრი.

— ჭეშმარიტად, — თქვა სიმია.

ხოლო რა არის განწმენდა, რაღაცს ვაწმინდებით ჩვენ, თუ არა მაშინ, როცა, ძველი ვადმოცემისა¹ არ იყოს, სულს რაც შეიძლება უფრო მეტად ვაშორებთ სხეულს, როცა ვაჩვევთ სხეულისაგან ყოველმხრივ ჯმნულსა და თავმოზღუდულს, შეძლებებისამებრ, შეკრბეს, შეიკრას და შესახლდეს

საკუთარ თავში და ეგოს ასე, როგორც აწმყო, ისე მყოფად სიცოცხლეშიაც, თავის თავში ოდენ შთენილი, სხეულის მძიმე ბფრკილთაგან თავდახსნილი და თავისუფალი?

— სრული სიმართლეა, — თქვა მან.

— ამრიგად, სიკვდილს ჩვენ ვუწოდებთ სულის გაყრას და განშორებას სხეულისაგან, არა?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ ვინ ესწრაფვის ამას, თუ არა ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ვისი ზრუნვის საგანსაც სხეულისაგან სულის გაყრა და განშორება შეადგენს მხოლოდ? რას იტყვი, განა ის არ ესწრაფვის?

— როგორც ჩანს.

— და, როგორც აღრე გეუბნებოდი, განა სასაცილო არ იქნებოდა ასეთი რამ: მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმისათვის ემზადებოდეს კაცი, როგორმე მიფუანლოვდეს სიკვდილსო და მერე, როცა სიკვდილი თვითონვე მიადგება კარზე დრტვინვით ხედებოდეს მას?

— რა თქმა უნდა.

— და მართლაც, ჩემო სიმიო, ჭეშმარიტი ფილოსოფოსს სიკვდილისთვის ზრუნავენ მხოლოდ და კაცთა შორის ყველაზე ნაკლებად სწორედ ისინი უფროთხიან მას. აბა დაფიქრდი თუკი გამუდმებით მტრობენ სხეულს, თუკი ცდილობენ მათ სული თავის თავში დარჩეს მარტოცა, დრტვინვით რატომღო შესვდებიან კარს მომდგარ სიკვდილს? განა დიდი სიშლეგე არ იქნება, რომ ისინი ჭმუნვით აღვსილნი მიდიოდნენ იქ, სადაც იმედოვნებენ, მისვლისთანავე ეზიარონ მას, რასაც ნატრობდნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში? ხოლო ნატრობდნენ

ისინი სიბრძნეს და მათთვის ეგზომ საქულველი სხეულისგან თავის დაღწევას. კაცთაგან ბევრი, საყვარელი არსების, მუღულის ან ვაჟის დამკარგავი, ნებაყოფლობით ჩასულა ჰადესს, რადგან იმედი ჰქონდა, რომ იქ იხილავდა და შეეყრებოდა მას, ვინც ასე ძლიერ უყვარდა. და ნუთუ ის, ვისაც მართლა უყვარს სიბრძნე, ვისაც ვულში უღვივის ოგივე იმედი, რომ მხოლოდ ჰადესში და არა სხვაგან ეზიარება მას, ვიმეორებ, ნუთუ მაინცადამაინც ის შესვდება დრტვინვით კარს მომდგარ სიკვდილს და ჭმუნვით აღვსილი ჩავა ჰადესში? არა, ჩემო მეგობარო, უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ მართლაც ჭეშმარიტი ფილოსოფოსია, ის სიხარულით მიაშურებს ჰადესს, რადგან ღრმად იქნება დარწმუნებული, რომ მხოლოდ იქ ჰპოვებს სიბრძნეს მისი წმინდა სახით და არა სხვაგან. და თუ ეს მართლაც ასეა, ჩემი წელანდელი თქმისა არ იყოს, განა დიდი სიშლეგე არ იქნება, რომ ეგ კაცი უფროთხოდეს სიკვდილს?

— მართლაც რომ დიდი სიშლეგე იქნება, ვიფიცავ ზევსს, — თქვა სიმიამ.

XIII

— ამრიგად, ყოველთვის, როცა იხილავ კაცს, რომელიც დრტვინვით ეგებება კარს მომდგარ სიკვდილს, ეს იქნება უტყუარი საბუთი იმისა, რომ შენს წინ სიბრძნის ტრფიალი კი არ დგას, არამედ სხეულის! და არა მარტო სხეულის, ალბათ, სიმდიდრისაც და ბატონისაც — ან ოროიფესი ერთად, ან ერთ-ერთისა მაინც.

— მართალს ბრძანებ, — თქვა მან.

— ახლა მითხარი, ჩემო სიმიო, ის, რასაც სიმაძივეს უწოდებენ, განა ფილოსოფოსთ არ შეჭფერის უპირატესად?

— რასაკვირველია, — მიუგო მან.

— თავდაპირველობისთვის რაღას იტყვი, თავდაპირველობისთვის, რომელიც, უმრავლესობის აზრით, სხვა არა არის რა. თუ არა ვნება-სურვილთა სიძულვილი და დაურჩევა? განა ასეც იმ ადამიანთათვის არ შეადგენს მხოლოდ, რომელნიც არად აგდებენ სხეულს და სიბრძნის ტრფილში ხედავენ სიცოცხლის აზრს?

— უცილობლად, — თქვა მან.

— რადგან, თუ დაუკვირდები სხვა კაცთა სიმამაცეს და თავდაპირველობას, უცნაურად გეჩვენება ისინი.

— ეგ როგორ, სოკრატე?

— იცი თუ არა შენ, რომ სხვანი უდიდეს ბოროტებად მიიჩნევენ სიკვდილს? — ჰკითხა სოკრატემ.

— ვიცი, — მიუგო მან.

— მაშასადამე, როცა ისინი მამაცურად ხედებიან სიკვდილს, მხოლოდ იმიტომ, რომ შიშობენ, უფრო დიდი ბოროტება არ დაგვატყდესო თავს.

— აგრეთა.

— ამრიგად, ფილოსოფოსთა გამოკლებით, ყველა სხვა კაცის სიმამაცე შიშისგან იღებს დასაბამს, თუმცა სისულელეცა, სიმამაცის სათავედ შიში და სიმზღალე მიაჩნდეს კაცს.

— მართლაც რომ სისულელეა.

— და მასვე ვიტყვით თავდაპირველთათვის: განა მათაც იგივე არ მოსდით? განა მათი თავდაპირველობაც თავაშვებულობისაგან არ წარმოსდგება? ჩვენ ვამბობთ, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ სწორედ თავაშვებულობაში ძევს მათი ფუჭი თავდაპირველობის სათავე. მართლაც, ერთი სიამოვნებისაგან მხოლოდ იმიტომ იკავებენ თავს, რომ შიშობენ არ დაპ-

კარგონ მეორე, რომელსაც ასე ეტრფიან და ემონებიან. და თუმცა ვნებათაგან ძლეულს თავაშვებულს უწოდებენ ისინი, თვითონ მხოლოდ იმიტომ იურგებენ ერთ ვნებას, რათა სავსებით მიწებდნენ მეორეს, რომელიც თავის ნებაზე ათამაშებს შათ. ეს კი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათი თავდაპირველობა თავაშვებულობისაგან იღებს დასაბამს.

— სწორია.

— მაგრამ, ჩემო ნეტარო სიმიო, იქ, სადაც სათნოებს ეხება საქმე, მართებული როდია ისეთი სახის გაცვლა-გამოცვლა, როცა, მონეტების მსგავსად, სიამოვნებას სიამოვნებაზე ცვლიან. მწუხარებას—მწუხარებაზე, შიშს—შიშზე, უდიდესს—უმცირესზე. რადგან სიბრძნეა ერთადერთი ჭეშმარიტი მონეტა, რომელზედაც ყველაფერი ეს უნდა გაიცვალოს. მხოლოდ სიბრძნით იყიდება და გაიყიდება ყოველი: სიმამაცე, თავდაპირველობა, სიამოღიანიობა; მოკლედ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი სათნოება განუყრელია სიბრძნისაგან, სიამოვნების, შიშის და სხვა მისთანათა მიუხედავად. მაგრამ თუ სათნოება სიბრძნესთან არაა წილნაყარი და ისეა ქცეული გაცვლა-გამოცვლის საგნად, მაშინ ის სათნოება კი არა, მხოლოდ ჩრდილია სათნოებისა, მაშინ ის მონური სათნოებაა, რომელსაც ჯახსალი და ჭეშმარიტი არა გააჩნია რა. რადგან ჯახსალი ამ შემთხვევაში ვნებათაგან განწმენდას გულისხმობს და თავდაპირველობა, სიამოღიანიობა, სიმამაცე და თვით სიბრძნეც განწმენდის საშუალებებს წარმოადგენენ. და, მე მგონია, მაღლად მზედნი იყვნენ ისინი, ვინც მისტერიები დაგვიდგინა ჩვენ: მართლაც ოდიტგანვე ბუნდოვანი ნიშნებით გვანიშნებენ, რომ ის, ვინც განუწმენდა და უზიარებლად ჩავა ჰადესში, უწმინდურების მწვირუში დაეფლობა უთუოდ, ხოლო განწმენდილი და ზიარებული

უკვდავთა შორის დაიდებს ბინას. მისტერიოთა გამრიგენი გვეუბნებიან: მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ³. ჩემის აზრით, ამ მცირერიცხოვან რჩეულთა დასს ჭეშმარიტი ფილოსოფოსნი შეადგენენ მხოლოდ. მე კი ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ არაფერში ჩამოვრჩენოდი შათ. ეს იყო ჩემი სიცოცხლის მიზანი; მაგრამ წრფელი იყო თუ არა იგი? მივალწიე თუ არა მას? მე მგონია, ეს სულ მალე ვაცხადდებო ჩემთვის, როცა, ღვთის შეწვევით, მივალწევ პადესს. აჰა, ჩემო სიმია და ჩემო კებეს, ყველაფერი, რითაც ვაპირებდი თქვენს წინაშე შეშართლა თავი და მეთქვა, ასე უღრტვისველად რატომ ვტოვებ შეგობრებს და პატრონებს ჩემსას? მე ხომ მწამს, რომ არანაკლებ კეთილ პატრონებს და შეგობრებს ვპოვებ იქ. მართალია, ზევრს ნაკლებსარწმუნოდ ეჩვენება ჩემი სიტყვები, მაგრამ თქვენ მაინც თუ დაგარწმუნეთ და უკეთაჲ დაგარწმუნეთ. ვიდრე ათენელი მსაჯულნი, მე ესეც შეყოფა.

XIV

როცა სოკრატე ლაპარაკს მორჩა, კებესმა თქვა: — მე მგონია, შენ ყველაფერი თქვი და კარგადაც აქევა, ჩემო სოკრატე. მაგრამ კაცნი ეჭვის თვალთ უყურებენ ერთ რამეს, კერძოდ მას, რაც სულის შესახებ ითქვა. რადგან, მათის აზრით, სხეულს რომ ეყრება, სული წყვეტს არსებობას და კაცის სიკვდილისთანავე ისიც იშლება და იღუპება სხეულს გაყრილი. სხეულს განშორებული სული მყისვე განქარდება სუნთქვისა თუ კვამლის დარად და არარაობის ერთვის. ცხადია, ცალკე რომ არსებობდეს, მხოლოდ თავის თავში რომ არსებობდეს, იმ ბოროტებათაგან თავდასხნილი და თავისუფალი, რომლე-

ბიც წელან დაგვიხატე, ჩვენ ჭეშმარიტებად მივიჩნევდით შენს სიტყვეს და ეს იქნებოდა დიდი და ნათელი იმედი ჩვენი. მაგრამ ის, რომ სული კაცის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და ინარჩუნებს ძალას და აზრს, ჯერ კიდევ ბევრ მტკიცებას და დასაბუთებას მოითხოვს.

— შენ მართალი ხარ, კებეს. — თქვა სოკრატემ, — მაგრამ რა ექნათ, ხომ არ გასურს ვისაუბროთ და ვნახოთ, მართლა ასეა ეს თუ არაა ასე?

— ო, როგორის სიამოვნებით მოვისმენდი შენს აზრს ყოველივე ამის შესახებ, — მიუგო კებესმა.

— მე მგონია, ვერავინ, — თქვა სოკრატემ, — ვინც არ უნდა მისმენდეს ახლა, თვით კომიკოსი პოეტიც კი, ვერ იტყვის, რომ ამოდ ვლავობ⁴ და ვლაპარაკობ მისზე, რაზეც, საერთოდ, არ უნდა ლაპარაკობდეს კაცი და თუ შენც ასე გგონია, დავიწყოთ ბარემ.

XV

ჯერ ეს ვნახოთ: მიცვალებულთა სულნი მართლა ჰვიან პადესში თუ არა ჰვიან? არსებობს ძველი გადმოცემა⁵, რომელიც უკვე ვახსენეთ და რომელიც ამბობს, რომ აქედან წასულთა სულნი იქ აგრძელებენ არსებობას და მერე უკანვე ბრუნდებიან, რათა მკვდართაგან აღდგენ ცოცხალნი. და თუ ეს ასეა, თუ კაცნი სიკვდილის შემდეგ ახალი სიცოცხლისათვის იბადებიან, აქედან მხოლოდ ის შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ჩვენი სულნი ჰვიან პადესში. რადგან, ცხადია, უკან ვედარ მობრუნდებოდნენ, პადესში რომ არ აგრძელებდნენ არსებობას. და თუ ვირწმუნებთ, რომ ცოცხალნი მკვდართაგან იბადებიან, მართოდენ ესეც იკმარებდა პადესში სულთა არსებობის და-

სამტკიცებლად. ხოლო თუ ამას ვერ ვირწმუნებთ, სხვა საბუთს უნდა დავუწყოთ ქებას.

— რა თქმა უნდა, — თქვა კებესმა.

— მაგრამ მართო კაცთავენ ნუკი მიმართავ მხერას, თუ გინდა უფრო იდვილად ირწმუნო ეგ, არამედ ყველა ცხოველისა და მცენარისკენ, ერთის სიტყვით, ყველაფრისკენ, რაც იზადება. ჩვენ ვნახავთ, რომ ერთნაირად იზადება ყოველი არსი; ეს კი ასე უნდა გვესმოდეს: ყველაფერი, რაც იზადება, თავისი მოპირისპირესგან იზადება მხოლოდდამხოლოდ, რამდენადაც მას თავისი მოპირისპირე მოეძებნება. ასე მაგალითოდ, მშენიერს მახინჯი უპირისპირდება, სამართლიანს — უსამართლო და ასე შემდეგ, შეიძლებოდა ათასი მსგავსი მაგალითის დასახელება. ახლა ვნახოთ, აუცილებელია თუ არა, რომ ის, რასაც მოპირისპირე მოეძებნება, სხვისგან კი არა, ამ მოპირისპირესგან იზადებოდეს მხოლოდ? მაგალითად, როცა რაიმე დიდი ზღვება, აუცილებლად იგულისხმება თუ არა, რომ ვიდრე დიდი გახდებოდა, პატარა იყო იგი?

— დიახ.

— ხოლო როცა რამე პატარავედება, იგულისხმება თუ არა, რომ დიდი იყო დაპატარაებამდე?

— იგულისხმება.

— სწორედ ასევე, უფრო მძლავრისგან წარმოსდგება უფრო სუსტი, უფრო ნელისგან კი — უფრო სწრაფი, არა?

— რა თქმა უნდა.

— კეთილი და პატიოსანი; განა უარესიც უკეთესისგან არ წარმოსდგება, ხოლო უფრო სამართლიანი — უფრო უსამართლოსგან?

— რასაკვირველია.

— ამრიგად, — თქვა სოკრატემ, — ჩვენ საკმარისად დავამტკიცეთ, რომ ყველაფერი, რაც იზადება, თავისი მოპირისპირესგან იზადება მხოლოდ.

— საკმარისად.

— მაგრამ, რას იტყვი, ყოველ ამ მოპირისპირე წყვილს შორის ძევს თუ არა ერთგვარი შუალედური ფენომენი ორი დაბადების სახით, რომელთაგან ერთს პირველი მოპირისპირედან მეორე მოპირისპირესკენ მიეყვება, ხოლო მეორეს, პირუკუ, მეორედან პირველისკენ. უფრო დიდსა და უფრო პატარას შორის მატება ძევს და კლება სწორედ მატებას მიეყვება პატარიდან დიდისკენ, ხოლო დიდიდან პატარისკენ — კლებას.

— დიახ, — თქვა მან.

— განა მასვე არ ვიტყვით, როცა ვაყოფას და შეერთებას, გაცივებას და გათბობას ან სხვა მათს მსგავსთ ეხება საქმე? და თუმცა ზოგიერთისთვის სახელი არც კი მოგვეძებნება, ჩვენ გვწამს, რომ გამონაკლისს არც ისინი წარმოადგენენ იმ კანონიდან, რომლის მიხედვითაც ერთი მეორისგან იზადება და ერთი მეორეში გადადის შუალედური ფენომენის საშუალებით.

— რა თქმა უნდა, — თქვა კებესმა.

XVI

— ვინაგრძობო, — თქვა სოკრატემ, სიცოცხლესაც უპირისპირდება თუ არა რაღაც, ისევე როგორც დეიძილს უპირისპირდება ძილი?

— უპირისპირდება, — მიუგო მან.

— რა?

— სიკვდილი, — თქვა კებესმა.

— და, რაკი უპირისპირდება, ცხადია, ერთი მეორისგან იღებს დასაბამს, ცხადია, მათ შორისაც ძვეს შუალედური ფენომენი, რომლითაც ერთი მეორეში გადადის, არა?

— რა თქმა უნდა.

— ახლა მე შენ დავისახელებ მოპირისპირეთა ერთ წყვილს, რომელიც წელანაც ვახსენე, — განაგრძო სოკრატემ, — და იმ ორ დაბადებასაც, ერთმანეთში რომ გადაჰყავს ისინი. შენ კი მეორე წყვილი დამისახელე. მე ვგულისხმობ ძილსა და ღვიძილს. ძილისგან ღვიძილი იღებს დასაბამს, ღვიძილისგან კი — ძილი. ხოლო რაც შეეხება ორ დაბადებას, დაძინებაა ერთის სახელი, მეორესი — გამოღვიძება. გაკმაყოფილებს თუ არა ეს?

— საესებით.

— მაშინ, — განაგრძო სოკრატემ, — იგივე შითხარი სიცოცხლის და სიკვდილისთვისაც, ამბობ თუ არა შენ, რომ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან?

— ვამბობ.

— და რომ ერთმანეთისგან იბადებიან?

— ღიახ.

— მაშ, ისიც თქვი, რა იბადება ცოცხლისგან?

— მკვდარი, — მიუგო კებესმა.

— მკვდრისგან?

— მეტი რა გზა მაქვს, უნდა ვაღიარო ცოცხალი-მეთქი.

— ამრიგად, მკვდართაგან იბადება ყველა ცოცხალი, ყველა სულდგმული, კებეს.

— როგორც ჩანს, — თქვა კებესმა.

— მაშისადამე, — განაგრძო სოკრატემ, — ჩვენი სულნი ჰგებან ჰაღესში.

— იგრე გამოდის.

— იმ ორი დაბადებისთვის რაღას იტყვი, რომელსაც ერთმანეთში გადაჰყავს ისინი? ერთი მაინც ხომ ცხადია ჩვენთვის? მე ვგულისხმობ გარდაცვალებას.

— ცხადია, — მიუგო კებესმა.

— გერედა რა ვქნათ? ვაღიაროთ, რომ არსებობს მეორე დაბადებაც, თუ მაინცდამაინც აქ კოჭლობს ბუნება? განა გარდაცვალებას მეორე დაბადება არ უნდა უპირისპირდებოდეს უთუოდ?

— რა თქმა უნდა, — თქვა მან.

— მაინც რომელი?

— აღდგომა.

— და თუ ეს ასეა, — თქვა სოკრატემ, — მაშ, აღდგომა ყოფილა ის დაბადება, რომელიც მკვდართაგან აღადგენს ცოცხალთ.

— ჭეშმარიტად.

— ამრიგად, ჩვენ შევთანხმდით უკვე, რომ ცოცხალნი მკვდართაგან იბადებიან, ისევე როგორც ცოცხალთაგან — მკვდარნი! ეს კი საესებითო საქმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი სულები სიკვდილის შემდეგაც არსებობენ საღდაც, საიდანაც ახალი სიცოცხლისათვის ბრუნდებიან უკან.

— მე მგონია, სოკრატე, — თქვა კებესმა, — ჩვენი შეთანხმებიდან გარდუეალად გამომდინარეობს ეგ.

XVII

— მე კი მგონია, თუ დაუკვირდები, ნახავ, რომ ჩვენ საესებით მართებულად მივედით ამ დასკვნამდე, კებეს, — თქვა სოკრატემ. — მართლაც, მოპირისპირე წყვილოვან ერთი მეო-

რეს რომ არ ჰბილებდეს, ერთი მეორეში რომ არ გადადიოდეს, წარუღი გზით და იყოს მხოლოდ სწორხაზოვანი, ცალმხრივი გადასვლა ერთისა მეორეში, გარნა არა პირუკუ, მეორისა— პირველში, გესმის თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რა მოჰყვება ბოლა ამას. ყველაფერი გაერთფეროვნდებოდა, ყველაფერი ერთ მდგომარეობაში გაქვევდებოდა და აღარაფერი დაიბადებოდა ქვეყნად.

— რას ამბობ? — ჰკითხა კებესმა.

— ისეთს არაფერს, რომ ვაგება ვაგიჭირდეს, — მიუგო სოკრატემ, — იცი რა მინდა ვითხრა? რომ იყოს მხოლოდ დაძინება და, მის საპირისპიროდ, აღარ იყოს გამოღვიძება, რომელსაც ძილიდან ღვიძილში გადაყვავართ, როგორ გგონია, უაზრობად იქცეოდა თუ არა მითი ენდიმიონის! შესახებ? რადგან ყველაფერი ენდიმიონს დაემსგავსებოდა, საღათსა ძილით მოეუღს. სწორედ ასევე, ყველაფერი რომ ერთდებოდეს და აღარ ითიშებოდეს მერე, კოსმოსის ნაცვლად მივიღებდით ქაოსს, რომელშიც, ანაქსაგორას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა საგანი ერთმანეთშია აღრეული“. და კიდევ ერთი მაგალითი, ჩემო ძვირფასო კებეს, სიცოცხლესთან წილნაყოფი ყველა არსი რომ კედებოდეს მხოლოდ, მკვდარი კი სამუდამოდ მკვდრად რჩებოდეს და აღარ დგებოდეს სიცოცხლისათვის, რას იტყვი, განა ყველაფერს სიკვდილი არ შთანთქავდა ბოლოს და ბოლოს? განა დარჩებოდა ქვეყნად ცოცხალი? რადგან თუ ცოცხალი სხვა რამისგან იბადება და არა მკვდრიდან, და უკვდავი არაა ცოცხალი, რითღა დაიხსნის თავს სიკვდილისგან?

— ვერაფრით, სოკრატე, — თქვა კებესმა, — და, უნდა ვითხრა, რომ შენი სიტყვები ურყევ ჭეშმარიტებად მიმიჩნია მე

— და შეც, კებეს, — განაგრძო სოკრატემ, — ამიტომ უკებობ, არ შევძლავართ, როცა შევთანხმდით, რომ არაფერს ადღვომა, რომ ცოცხალი მკვდართაგან იბადებიან, რომ მიცვალბულთა სულნი არ წყვეტენ არსებობას და რომ ერთილთა ხვედრი გაცილებით უკეთესია ბოროტთა ხვედრზე.

XVIII

— ეგეც არ იყოს, სოკრატე, — სიტყვა ჩამოართვა კებესმა, — ყოველივე ეს უშუალოდ გამომდინარეობს ერთი შენი შეხებულებიდანაც, რომელსაც ხშირად ვვიმეორებდი: სწავლა მოგონებათ მხოლოდ, სხვა არაფერი. და თუ ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის, რასაც ასლა ვიგონებთ, მოდესლაც უნდა გვცოდნოდა უკვე. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენს სულს რომ სადმე არ ეარსება, სხეულს შეიძლოს და სანამ კაცისას ამრიგად, ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სული უკვდავია.

— კი მაგრამ, კებეს, როგორ ამტკიცებ ამის? — გააწყვეტინა სიმია, — თუ შეიძლება, ვამახსენე, რადგან ვერ ვიტყვი, რომ ამჟამად კარგად მახსოვდეს ეგ.

— სულ უბრალოდ, მიუგო კებესმა, — ერთ საბუთს მოვიყვან მხოლოდ, მაგრამ ბევრზე უკეთესს: როცა კაცს კითხვას უსვამენ, და სწორადაც უსვამენ, ის თავისით პოულობს სოლმე სწორ პასუხს მასზე, მაგრამ როგორ შეძლებდა ამას, თანდაყოლილი ცოდნა რომ არ გააჩნდეს და საღი მსჯელობის უნარი? და მერე, საკმარისია გეომეტრიულ ფიგურებთან ან სხვა შათს მსგავს რამესთან მიიყვანო კაცი და შენთვის მყისვე ცხადი გახდება, რომ ეს ასეა სწორად!

— ბოლო თუ აქაც არ გვეთანხმები, ჩემო სიმია, — თქვა მ. უეფონი

სოკრატემ, — ვნახოთ, დაგვეთანხმები თუ არა, როცა ასე მივუდგებით საკითხს: ეჭვი ხომ არ გეპარება იმაში, რომ სწავლა მოგონებაა მხოლოდ?

— ეჭვი შეპარება-მეთქი, ვერ ვიტყვი მაგას, — მიუგო სიმია, — მაგრამ მე მინდა გავიგო, რა არის ის, რაზედაც უმსგელობთ, მინდა გავიგო, რა არის მოგონება? და თუ მტკიცების სიტყვამ ხეკრი რამ გამოახსენა და ათაქმის დამარწმუნა კიდევ, მაინც დიდის სიამოვნებით მოვიმსენდი, რა იტყვი შენ?

— აი რას, — თქვა სოკრატემ, — ყველა ჩვენგანს, ცხადია, სჯერა, რომ ის, რასაც ახლა ვიგონებთ, ოდესღაც უნდა გვეცოდნოდა უკვე.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მან.

— მაგრამ გვჯერა თუ არა ძლიერ, რომ ცოდნა მოგონებაა მხოლოდ, როცა ასეთი გზით მოღის ჩვენთან? ასეთი გზით, რომ ვამბობ, მე მინდა ვთქვა: თუ კაცი, რომელიც ხედავს ისმენს ან სხვაგვარად აღიქვამს რამეს, არა მარტო მას შეიცნობს, რასაც აღიქვამს, არამედ, ამასთან, დაფიქრდება მეორე რამეზეც, რისი ცოდნაც მისთვის სულ სხვაა, ეიდრე პირველს, როგორ გვინია, განა მართალი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ამ კაცს მოაგონდა, ის, რაზეც დაფიქრდა?

— რას ამბობ, არ შესმის.

— აი, რას: ხომ სხვაა სცნობდნე კაცს და სხვა — სცნობდნე ლირას?

— რა საკითხავია?

— ეი მაგრამ, — თქვა სოკრატემ, — ნუთუ არ აცო უნდა რას განიცდიან მიჯნურნი სატროფოს ლირის, სამოსის ან სხვა რამის დანახვისას? იცნობენ თუ არა ლირას, მათ სულზე მეტსვე ამოტივტივდება ხატება ლირის პატრონის. აი, რა

არის მოგონება. სწორედ ასევე, როცა ხშირად ვხედავთ სიმიას, უნებურად გვახსენდება კებესი. შეიძლებოდა ათასი მსგავსი მაგალითის დასახელება.

— ათასის, ვიფიცივ ზევსს, — თქვა სიმია.

— ამროგად, — განაგრძო სოკრატემ, — ყველაფერ ამას ხევენ მოგონებას ვუწოდებთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საგნებს, რომელნიც დროის სიმორისა თუ დაუდევრობის ჩვენის წყალობით დიდი ხანია დავიწყებას მიეცნენ უკვე.

— რა თქმა უნდა.

— და მერე, — თქვა მან, — შეიძლება თუ არა ცხენის ან ლირის გამოსახულებამ კაცი გაგვახსენოს, ხოლო სიმიას გამოსახულებამ — კებესი?

— შეიძლება.

— მაგრამ თუ შეიძლება სიმიას გამოსახულებამ სიმია გაგვახსენოს თვითონ?

— ცხადია, ეგვე შეიძლება, — მიუგო მან.

XIX

— მაშასადამე, მოგონებას ხან საგანთა მსგავსება იწვევს, ხან არამსგავსება მათი.

— აგრეთა.

— მაგრამ როცა კაცი მსგავსების საფუძველზე იგონებს რამეს, როგორ გვინია, მოგონებასთან ერთად უთუოდ აღეძვრის თუ არა აზრი, რომ მოცემული საგანი ან ზედმიწევნით ზავს მეორე საგანს, რომელსაც იგონებს, ან ასეთი მსგავსებისათვის რაღაც აკლია მას?

— უთუოდ აღეძვრის, — თქვა სიმია.

— ახლა დაუკვირდი: — უთხრა სოკრატემ, — ასეა თუ

არა ეს: ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ ტოლობა არის რაღაც? მე როდი ვლაპარაკობ ტოლობაზე ხის ერთსა და მეორე ნაჭერს, ან ერთ ქვესა და მეორე ქვეს შორის; არა, მე ვგულისხმობ ტოლობას, საგანთა ტოლობის ვარემე არსებულს, ტოლობას თავის თავში. რას ვიტყვით ამ ტოლობისათვის, არის ის რაღაც თუ არა არის რა?

— ცხადია, ვიტყვით, ვიფასებ შეყვს, რომ ის არის რაღაც, — თქვა სიმამ.

— თუ ვიცით მაინც, რა არის ის?

— რა თქმა უნდა, — მიუგო მან.

— კი მაგრამ, საიდან მივიღეო მაგ ტოლობის ცოდნა, თუ არა იმ საგნებიდან, რომლებზეც წელან ვლაპარაკობდით? აი, რა მინდა ვითხრა: ხის ტოლი ნაჭრების, ტოლი ქვების თუ სხვა ტოლი საგნების ქვრეტიდან ჩვენ დაგვებადა იღეა იმ ტოლობისა, რომელიც ხის ნაჭრების ან ქვების ტოლობა კი არაა, განსხვავებულია მისგან. თუ შენ ვერ ხედავ მას, ამ სხვაობას? ერთსაც დაუკვირდი: ხის ტოლი ნაჭრები ან ტოლი ქვები, ყოველგვარი ცვლილების ვარემეც, ზოგჯერ ტოლად გვეჩვენება, ზოგჯერ კი არა.

— დიახ.

— კეთილი და პატიოსანი. მაგრამ განა შეიძლება ტოლი თავის თავში უტოლოდ გვეჩვენოს ოდესმე, ხოლო ტოლობა — უტოლობად?

— არასდროს, სოკრატე.

— ამრიგად, ერთი საგანთა ტოლობა და მეორე — ტოლობა თავის თავში, არა? — ჰკითხა მან.

— როგორც ჩანს.

— მაგრამ, — განაგრძო მან, — განა სწორედ ამ უკანა-

სენელი ტოლობისაგან განსხვავებული ტოლი საგნების წყალობით არ ეზიარე შენ თავისთავში არსებული ტოლობის ცოდნას?

— სრული სიმართლეა, — მიუგო სიმამ.

— მაშინ, როცა ეს ტოლობა საგანთა ტოლობას ჰგავდა ან არა ჰგავდა მას?

— რა თქმა უნდა.

— თუმცა, ეს რა მოსატანია? — თქვა სოკრატემ, — როცა შენ ჰქვრეტ რაიმე საგანს და მისი მჭვრეტელი წარმოიდგენ მეორეს, სულ ერთია, პირველის მსგავს თუ არა მსგავს საგანს, ამ წარმოდგენას მოგონება ერქმევა მაინც.

— რასაკვირველია.

— მაგრამ რას ვიტყვით, — განაგრძო სოკრატემ, — როცა საქმე ეხება ხის ტოლ ნაჭრებს და, სიეროოდ, ყველა ტოლ საგანს, რომლებზეც წელან ვლაპარაკობდით? მათი ტოლობა სწორედ ისე წარმოგვიდგება ჩვენ, როგორც ტოლობა თავის თავში თუ ასეთი ტოლობისათვის რაღაც აკლიათ მათ?

— აკლიათ და ბლომადაც აკლიათ, — მიუგო სიმამ.

— ამრიგად, თუ კაცი ხედავს რაიმე საგანს და ასე ფიქრობს: საგანი, რომელსაც მე ვხედავ ახლა, ილტვის გაუტოლდეს მეორე საგანს, მაგრამ ამისთვის მას რაღაც აკლია, მიტოლაც არ ძალუძს ზედმიწევნით ისეთი იყოს, როგორც მეორეა და, მაშასადამე, განსხვავდესაო მისგან, — ჩვენ უდავოდ დავასკვნით, რომ ამ კაცს, უთუოდ, ადრე უნდა სცოდნოდა მეორე საგანი, რომელსაც, მისი აზრით, თუმცა არა ზედმიწევნით, მაინც ჰგავს პირველი.

— აუცილებლად.

— განა იგივე არ მოგვდის ჩვენ, როცა საქმე გვაქვს ტოლ

საგნებთან, ერთის მხრივ, და ტოლობასთან თავის თავში, მეორეს მხრივ?

— საესებით.

— ამრიგად, ტოლობა თავის თავში უთუოდ უნდა გვცოდნოდა მანამ, სანამ პირველად ვინღაველით ტოლ საგნებს და ვიფიქრებდით, რომ ყოველი მათგანი ილტვის სრული ტოლობისაკენ, თუმცა ამისთვის ბევრი რამ აკლია მათ.

— ჯერჯერ.

— მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სხვა გზით კი არ მოესულვართ ამ აზრამდე, და არც შეგვეძლოს მოესულიყოფათ, არამედ მხოლოდ ხედვის, შეხებისა თუ სხვა გრძობადი აღქმის გზით; ჩემის აზრით, ეს სულ ერთია.

— მართლაც, სულ ერთია, სოკრატე, ყოველ შემთხვევაში იმის ნათელსაყოფად, რის ნათელყოფასაც ჩვენ ვცდილობთ ახლა.

— მაშასადამე, მხოლოდ შეგრძნებათა გზით თუ მივა კაცობრივ აზრამდე, რომ ყველა ტოლობა, რომელიც გრძნობებით აღიქმება, სრული ტოლობისკენ ილტვის, თუმცა ამისთვის ბევრს რამ აკლია მას, ასეა, არა?

— ასეა.

— ამიტომ, ვიდრე ხედვის, სმენის თუ სხვა გრძნობის ნიჭი მოგვეცემოდა, ჩვენ სადღაც უნდა ვზიარებოდით თავის თავში არსებული ტოლობის ცოდნას, რაკი გრძნობებით აღქმულ ყველა ტოლ საგანს უნებურად ვაკავშირებთ მასთან და ვასკვნით, რომ, თუმცა ზვითველი მათგანი ილტვის სრული ტოლობისაკენ, მაინც ვერასდროს მისწვდება მას.

— ეგ უშუალოდ გამომდინარეობს ზემოთქმულიდან, ჩემო სოკრატე.

— რას იტყვი, განა დაბადებისთანავე არ მოგვეცა ჩვენ ხედვის, სმენის თუ სხვა გრძნობის ნიჭი?

— დაბადებისთანავე.

— მაგრამ ზომ ითქვა უკვე, რომ მანამდე უნდა ვზიარებოდით თავის თავში არსებული ტოლობის ცოდნას?

— ღიას.

— მაშ, როგორც ჩანს, უთუოდ დაბადებამდე უნდა ვზიარებოდით მას.

— როგორც ჩანს.

XX

— ხოლო თუ დაბადებამდე ვეზიარეთ და, ამრიგად, დაბადებითვე თან დაგვეცა იგი, ცხადია, დაბადებამდეც და დაბადებისთანავეც გვეცოდინებოდა არა მარტო ტოლი თავის თავში, არ უფრო დიდი თუ უფრო პატარა, არამედ ყველა სხვა მათი შესავსიც; რადგან ახლა დაბადებიდან გვაქვს არა მარტო ტოლობაზე თავის თავში, არამედ მშვენიერებაზეც თავის თავში, სიკეთეზეც თავის თავში, სამართლიანობასა და სიწმინდეზედაც, ერთის სიტყვით, ყველაფერზე, რაც ჩვენს საუბარში, კითხვებისას თუ პასუხებისას, თავის თავში არსებულის სახელით აღვბეჭდეთ. ამრიგად, ყოველივე ამის ცოდნას დაბადებამდე უნდა ვზიარებოდით უთუოდ.

— აჯერჯერ.

— მაგრამ ამ ცოდნას ერთხელ ზიარებულნი ყოველი ახალი დაბადების შემდეგ თანდათან რომ არ ვკარგავდით მას, არა მარტო დაბადებითვე დაგვეცებოდა იგი, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზეც გავვეცებოდა თან და, ამრიგად, მიწყვი მცოდნენი ვიქნებოდით კაცნი. რადგან იცისო, მასზე იტყვიან,

ვინც ფლობს ერთხელ შეძენილ ცოდნას და არ კარგავს მას სოლო რას ვუწოდებთ დავიწყებას, ჩემო სიმია, თუ არა ერთხელ შეძენილი ცოდნის დაკარგვას?

— სხვას არაფერს, ჩემო სოკრატე, — მიუგო მან.

— მაგრამ თუ დაბადებამდე შეძენილ ცოდნას დაბადებამ შემდეგ ვკარგავთ და მერე გრძნობათა წყალობით უკანვე ვიბრუნებთ მას, რასაც უკვე ვფლობდით ოდესღაც, როგორ გგონია, რა იქნება ეგრეთ წოდებული სწავლა, თუ არა ხელახალ შეძენა ოდესღაც ჩვენი კეთილი ცოდნის? და, აღმათ, ამ ცვლებით, როდესაც მოგონებას ვუწოდებთ მას.

— რა თქმა უნდა.

— რადგან ხომ ვაღიარეთ შესაძლებლობა იმისა, რომ საგანი, რომელსაც ხედივთ, სმენით ან სხვა გრძნობით აღიქვამთ კაცი, მასში იწვევს წარმოდგენას მეორე საგნისას, როდესაც ამ კაცს დაავიწყდა და რომელსაც მსგავსებისა თუ არამსგავსების საფუძველზე უახლოვდება აღქმული საგანი. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ვთქვით, ორიდან ერთი უნდა მოვილოთ უთუოდ: ან ამ ცოდნას ზიარებულნი მოვედით ქვეყნად და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვინახავთ მას, ანდა ისინი ვიზრუნებთ ვამბობთ სწავლობენო, დაბადების შემდეგ არას აკეთებენ, გარდა მოგონებისა და ამ შემთხვევაში სწავლა მოგონებებ იქნება სწორედ.

— სრული სიმართლეა, ჩემო სოკრატე.

XXI

— მაშინ მითხარი, რომელს ირჩევ ორთავან, სიმია? მართლა ამ ცოდნას ზიარებულნი მოვედით ქვეყნად თუ შემდეგ მოგონებთ მას, რაც აღარ ვიცოდით უკვე?

— მართალა ვითხრა, ამჟამად მიჭირს არჩევანი, ჩემო სოკრატე.

— რატომ? იქნებ ამაზე მაინც მიპასუხო: მას, ვინც იცის, რომ რაღაც იცის, შეუძლია თუ არა გვითხრას: ვიცით რაღაც?

— ცხადია, შეუძლია.

— მაგრამ, როგორ გგონია, ყველას შეუძლია თუ არა გვითხრას ის, რაზეც ახლა ვლაპარაკობდით?

— მე ვისურვებდი, სულით და გულით ვისურვებდი, სოკრატე, მაგას, — თქვა სიმია, — მაგრამ ვშიშობ, რომ ხვალ ამ დროს აღარ იქნება არც ერთი კაცი, ვინც შეძლებდა უთქვამდ ჩვენთვის ისე, როგორც წესი და რიგია.

— მაშ, შენის აზრით, ყველამ როდი იცის ეგ.

— რა თქმა უნდა.

— ამრიგად, კაცი იგონებენ მას, რაც ოდესღაც უსწავლიათ, არა?

— რასაკვირველია.

— კი მაგრამ, როდისღა შეიძინეს ჩვენმა სულებმა ეგ ცოდნა? რადგან, ცხადია, მას შემდეგ როდი შეუძენიათ, რაც ჩვენ გავჩნდით ამქვეყნაზე.

— როგორც ჩანს.

— ესე იგი მანამდე, არა?

— დიახ.

— მაშასადამე, ჩვენი სულები არსებობდნენ მანამ, სხეულს შეიმოსდნენ სანამ კაცისას, არსებობდნენ სხეულის გარეშე და გააჩნდათ ცოდნა.

— თუკი, რა თქმა უნდა, დაბადებისას არ ვიძენთ მას, ამ ცოდნას. რადგან ეგ დრო კიდევ გვრჩება, არ დაგავიწყდეს.

— კეთილად, ჩემო მეგობარო, მაგრამ როდისღა ვკარგავთ

მას? რადგან, როგორც ამ ერთი წუთის წინათ შევთანხმდით, დაბადების შემდეგ როდი შეგვიძენია იგი. თუ, გგონია, მაშინვე ეკარგავთ, როგორც კი ვიძენთ? ან იქნებ სხვა დრო დაშინახელი?

— ვერ დაგისახელებ, ჩემო სოკრატე, გეტყვი მხოლოდ, რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ წამოვროშე ცრუ და რიოში.

XXII

— ამრიგად, საქმე ასე წარმოგვიდგება, ჩემო სიმია: თუკი, ჩვენი დაუინებელი მტკიცებისა არ იყოს, მართლაც არსებობს მშვენიერება, სიკეთე და ყველა სხვა მსგავსი არსი, რომლებსაც უპირველეს ყოვლისა, ჩვენში გამოულობთ და რომლებსაც, როგორც პროტოტიპებს, ვუყავშირებთ და ვუდარებთ ყველაფერს, რასაც გრძნობები გვაწვდიან ჩვენი, ვიმეორებ. თუკი მართლაც არსებობს ყველა ეს არსი, ისღა დაგერჩენია, ვაღიაროთ, რომ ჩვენს სულსაც უნდა ეარსება მანამ, სანამ ამქვეყნად მოვიდოდით ჩვენ. ხოლო თუ ეს არსნი არ არსებობენ, განა წყლის ნაყვია არ იქნება ჩვენი სიტყვები? როგორ გგონია, თაბამირად აუცილებელია თუ არა, როგორც ამ არსთა, ისე ჩვენს დაბადებამდე ჩვენი სულების არსებობის აღიარება, რაკი ერთთა არყოფნა გამოირიცხავს მეორეთა ყოფნას?

— ეგ მე სავსებით აუცილებლად მიმაჩნია, ჩემო სოკრატე, — თქვი სიმია, — და მისხარია, ასეთ მშვენიერ დასკვნამდე რომ მივყავართ მსჯელობას ჩვენსას; ცხადია, ჩვენი სულები ჩვენს დაბადებამდე არსებობდნენ იმ არსთა მსგავსად, რომელთაც შენ ახლა ახსენებ. რადგან ჩემთვის არა არის რა უფრო ნათელი, ვიდრე ყველა ამ არსის — მშვენიერების, სიკეთის და სხვა

ათ მსგავსთა კვშმაროტი არსებობა. დიას, ჩემთვის ეს სავსებით სარწმუნოა და გარკვეული.

— მაგრამ ებებსზე რაღას იტყვი? — ჰკითხა სოკრატემ, — რადგან ჩვენი ვალია დაგარწმუნოთ ისიც.

— მე გგონია, ეს არც მისთვის უნდა იყოს მაინცდამაინც გაურკვეველი, — მიუგო სიმია, — თუმცა ყველაზე მეტის უნდობლობით კი ეკიდება ჩვენს სიტყვებს. მოუხედავად ამისა, ეფიქრობ, მანაც ირწმუნა, რომ ჩვენი სულა ჩვენს დაბადებამდე არსებობდა სადღაც.

XXIII

— ხოლო რაც შეეხება სულის არსებობას ჩვენი სიკვდილის შემდეგ, — განაგრძო სიმია, — ეს ჩემთვისაც აუხსნელი რჩება, სოკრატე. მეტაც, ხომ გახსოვს, რას ამბობდა წედან ებებსი: კაცნი ეჭვობენ, ვინ იცის, იქნებ ჩვენი სიკვდილისთანავე მართლაც იფანტება და ილუბებაო სული? ჰოდა, ეს ეჭვი საფუძველს მოკლებული როდია ჯერაც. რადგან, კაცმა რომ თქვას, რა გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ ვიდრე სხეულს შეიშოსდეს კაცისას, სული იბადება და იზრდება სადმე სხვაგან, ხოლო როცა ეყრება სხეულს, ილუბება და იშლება ისიც?

— სრული სიმართლეა, ჩემო სიმია, — თქვა ებებსმა, — როგორც ჩანს, ჩვენ დავამტკიცეთ მხოლოდ ნახევარი იმისა, რისი დამტკიცებაც გვსურდა; დავამტკიცეთ მხოლოდ ის, რომ ჩვენი სული არსებობდა მანამდეც, სანამ ჩვენ მოვიდოდით ქვეყნად. მაგრამ თუ გვსურს სრულყოფით მტკიცება, უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი სიკვდილის შემდეგაც ისევე იარსებებს იგი, როგორც ჩვენს დაბადებამდე არსებობდა, არა?

— მაგრამ ეგ ისედაც დამტკიცებულია, ჩემო სიმია და კებეს, — თქვა სოკრატემ, — ამაში თვითონაც დამეთანხმებით, თუ ინებებთ და ჩვენს უკანასკნელ საბუთს შეუერთებთ მეორეს, რომელიც აღრე ერთხმად მივიღეთ და რომლის მიხედვითაც მკვდართაგან იბადება ყველა ცოცხალი. რადგან, თუ ჩვენი სული ჩვენს დაბადებამდეც არსებობდა და თუ ზეგარდამო გარდამოსული ამქვეყნიური სიცოცხლისათვის სხვა რამისგან კი არა, კვდომისა და სიკვდილისგან იბადება მხოლოდ, ცხადია, ჩვენი სიკვდილის შემდეგაც იარსებებს, აუცილებლად იარსებებს, რაკი ჰმართებს ახალი სიცოცხლისათვის მარტოვეს მკვყნად. ამრიგად, ის რასაც თქვენ ითხოვთ, დამტკიცებულია უკვე.

XXIV

— მიუხედავად ამისა, მე მგონია, ორივეს გსურთ უფრო დრამად ჩასწვდეთ საკითხის არსს, რადგან შიშს შეუბუყრისართ ორივენი, ბავშვურ შიშს: ვაითუ ქარმა მხრთლაც განდანტოს და განაქაროს სხეულს გაყრილი სული, განსაკუთრებით მაშინ, როცა უქარობისას კი არა, ქართ ბოპოქრობისას კვდებათ კაცი.

მაშინ კებესმა გაიციინა და თქვა: — ჰოდა, ეცადე დაგვიხსნა მაგ შიშისგან, ჩემო სოკრატე, ან, უფრო სწორად, ჩვენ კი არა, ეცადე დაიხსნა პატარა ბავშვი, რომელიც ჩვენში ზის და რომელსაც ეშინია ამის. ჰო, ეცადე დაიხსნა და დაამშვიდო იგი, რათა არ ეშინოდეს სიკვდილისა, როგორც ბუასი.

— ამისთვის, — თქვა სოკრატემ, — დღემულამ ჩადოსნურთ

სიმღერები უნდა ვუმღეროთ მას, ვიდრე სრულიად არ განვუტრნავთ ამ შიშისაგან.

— მაგრამ, თუკი შენ გეტოვებ, ჩემო სოკრატე, — ჰკითხა კებესმა, — სადღა ვიპოვით მაგ ჯადოქარ მომღერალს ჩვენ?

— საბერძნეთი დიდია, კებეს, — მიუგო სოკრატემ, — და, ალბათ, ასეთი ჯადოქრებიც მოეძებნებიან მას. ეგეც არ იყოს, რაკი ჩამდენი უცხო თესლი არსებობს ქვეყნად? და თქვენ მართებთ ყველას ეწვეოთ, ყველგან გამოიკითხოთ, ყველგან ეძიოთ ეგ ჯადოქარი, ეძიოთ ძალ-ლონისა და სახსრების დაუზოგავად, რადგან უკეთესს რას მოახმართ სიმღიდრეს თქვენსას? და მერე, ავიდა თქვენშიც უნდა ეძიოთ იგი, რადგან ძნელია, ძალზე ძნელია პოვნა იმისი, ვინც თქვენზე უკეთ უმღერებდა მაგ ჯადოსნურ სიმღერებს ბავშვს.

— აგრეც ვიქმთ, — მიუგო კებესმა, — მაგრამ თუ შენ არ გეწყინება, მოდი, მივუბრუნდეთ მას, რაზეც შევჩერდით.

— პირიქით, რატომ არ უნდა მივუბრუნდეთ ვითომ?

— აი, ეს მესმის, — თქვა კებესმა.

XXV

— ამრიგად, — განაგრძო სოკრატემ, — ჯერ ასეთი კითხვა უნდა მივცეთ საკუთარ თავს: საგანთა რომელი გვარი განიცდის განდუნტვა-განქარებას? რომელ საგანთათვის უნდა ვშიშობდეთ, ვაითუ დაიშალონო ისინი ან რომელთათვის არ უნდა ვშიშობდეთ ჩვენ? და მერე, საჭიროა გავარკვიოთ, ამ ორ გვართაგან მაინც რომელს ეკუთვნის სული და ამის მიხედვით დავასკვნათ, მისთვისაც გემართებს შიში თუ არა?

— მართალი ბრძანდები, — თქვა კებესმა.

— რას იტყვი, განა სწორედ ის საგნები არ განიცდიან

დაშლას, რომელნიც შედგენილნი ანუ რთულნი არიან ბუნე-
ბით? რადგან, შედგენილნი რომ არიან, შემადგენელ ნაწილე-
ბად იშლებიან კიდევ; ხოლო მარტივი საგნები, რომელთაც
შემადგენელი ნაწილები არ გააჩნიათ, დაშლას როდი განიც-
დიან შედგენილი საგნების მსგავსად.

— აგრეთა, — თქვა კებესმა.

— მაგრამ მარტივს ხომ ისეთ საგნებს ვუწოდებთ ჩვენ,
რომელნიც არასოდეს არ იცვლებიან და ერთი და იგივენი
არიან მუდამ, და პირიქით, რთულ საგნებად ვთვლით ისეთ
საგნებს, რომელნიც მიწევიც იცვლებიან და არასოდეს არ არი-
ან ერთი და იგივე.

— დიახ.

— ახლა კი მივუბრუნდეთ მას, რაზეც წუღან ვლადიმერობ-
დით, — განაგრძო სოკრატემ, — როგორ გგონია, არსი თავის თავ-
ში, რომელსაც ჩვენი კითხვებისას და პასუხებისას კეშმარტი
არსებობას მივაწერთ, მუდამ ერთი და იგივეა თუ ერთ შემ-
თხვევაში ისეთია, სხვაში — ისეთი? ავიღოთ ტოლობა თავის
თავში ან რომელიმე სხვა არსი თავის თავში. განა ისინი გა-
ნიცდიან რამე ცვლილებას? ვფიქრობ, პირიქით, თავის თავში
რომ არსებობენ, მარტივნი და ერთსაზოგადები, ერთი და იგივე-
ნი რჩებიან მუდამ და არსად და არსდროს არაფერს არ და-
ლუძს მათი შეცვლა.

— არაფერს, რა თქმა უნდა არაფერს, ჩემო სოკრატე, —
თქვა კებესმა.

— მაგრამ, მეორეს მხრივ ხომ არსებობს მშვენიერ საგან-
თა, ეთქვათ, კაცთა, ცხენთა, სამოსთა თუ სხვა მათ მსგავსთა
ლიდი სიმრავლე, რომელთაც ისევე მივაწერთ ტოლობას,
მშვენიერებას ან რომელიმე სხვა თვისებას, როგორც თავის

თავში არსებულ მათ სუბნიებს? რას იტყვი, ისინიც უცვლელ-
ნი არიან მუდამ თუ, ამ უკანასკნელთა საპირისპიროდ, არსად,
არსდროს, არც თავის თავთან, არც ერთმანეთთან მამართუ-
ბაში არ არიან ერთი და იგივე?

— არა, — თქვა კებესმა, — არასოდეს არ არიან ერთი და
იგივე.

— მაგრამ შინ შევიძლია შეხებით, ხედვით ან სხვა გრძნო-
ბით აღიქვა ისინი, მაშინ როდესაც მარად უცვლელ საგნებს
აზრით თუ მისწვდები მხოლოდ, რადგან უნივეთონი არიან და
უხილავნი.

XXVI

— მართალია, — თქვა კებესმა.

— მაშ, მოდი, მივიღოთ, რომ არსებობს საგანთა ორი გვა-
რი: ერთი — ხილულთა, მეორე — უხილავთა, — უთხრა სოკრა-
ტემ.

— მივიღოთ, — მიუგო მან.

— და რომ, თუ უხილავნი ერთი და იგივენი არიან მუდამ,
ხილულნი არასოდეს არ არიან ერთი და იგივენი.

— ეგეც მივიღოთ, — დაეთანხმა კებესი.

— ახლა მითხარი, რისგან შევდგებით ჩვენ, თუ არა სულ-
სა და სხეულისაგან? — ჰკითხა სოკრატემ.

— მაგათგან მხოლოდ, — მიუგო მან.

— კი მაგრამ, ამ ორ გვართაგან რომელს უფრო ემსგავსება
და ენათესავება სხეული?

— რა თქმა უნდა, ხილულთა გვარს.

— ჩვენი სულსათვის რაღას იტყვი, ხილულია თუ უხი-
ლავი?

— უხილაგია, ჩემო სოკრატე, ყოველ შემთხვევაში, კაცთათვის მაინც.

— მაგრამ, როცა ხილულზე ვმსჯელობთ და უხილაგზე, განა კაცის ბუნებიდან არ გამოვდივართ? ან, იქნებ, სხვა ბუნებას გულისხმობ შენ?

— არა, კაცისას.

— მაშასადამე, რას ვიტყვით სულზე, ხილულია თუ უხილაგი?

— უხილაგი.

— ესე იგი, უნივთო, არა?

— დიახ.

— ამრიგად, სული უფრო მეტად უხილაგს წააგავს, სხეული კი—ხილულს.

— უცილობლად.

X XVII

— მაგრამ ადრე ხომ იმასაც ვამბობდით, რომ როცა რაიმეს ძიებისას სული იყენებს ხედვას, სმენას ან სხვა რამ გრძნობას, ერთის სიტყვით, იყენებს სხეულს (რადგან რაიმეს ძიებისას გრძნობათა გამოყენება სხეულის გამოყენებას ნიშნავს), ეს უკანასკნელი მიწყვიტ ცვლად საგანთა სამყაროსკენ იტაცებს მას. და, როცა თავს ამოყოფს ამ სამყაროში, იბნევა სული, გზააბნეული აწყდება საგნიდან საგანს და ზარბაცებს შემთვრალესავით.

— სრული სიმართლეა.

— და, პირიქით, როცა რაიმეს ძიებისას სული თავის თავს ეყრდნობა მხოლოდ, სიწმინდის, მარადისობის, უკვდავებისა

და უცვლელობის სამყაროში გადადის იგი და იქვე რჩება, ნაწილი და ნათესავი ამ სამყაროსი, რჩება მანამ, სანამ თავის თავში ჰგვიეს და სანამ ძალი შესწევს ამისთვის. და მაშინ მის ცთომასაც ედება ბოლო, რადგან უცვლელობის სამყაროს რომ სწელება და ეზიარება, ემსგავსება კიდევაც მას. ხოლო სულის ამ წვდომას და ამ ზიარებას აზროვნებას ვეძახით ჩვენ

— მართალს ბრძანებ, ჩემო სოკრატე,—თქვა კებესმა.

— მაშინ, ჩვენს ძველსა თუ აწინდელ სიტყვებზე დაყრდნობით, მითხარი, საგანთა რომელ გვარს უფრო ემსგავსება და ენათესავენ სული?

— მე მგონია,—მიუვო კებესმა,—შენი მტკიცების შემდეგ თვითონ ბრძევიც კი აღიარებს, რომ მარად უცვლელს უფრო ჰგავს იგი, ვიდრე მიწყვიტ ცვლადს.

— სხეული?

— სხეული კი—ამ უკანასკნელს.

X XVIII

— ერთი ამასაც დაუკვირდი. ერთად რომ შეჰკრა სული და სხეული, ბუნებამ სხეულს მონობა და მორჩილება არგუნა წილად, ხოლო სულს—ხელმწიფება და მეუფება. ახლა მითხარი, ამ ორთაგან რომელი ჰგავს ღვთაებრივს და რომელი მოკვდავს? როგორ გგონია, განა ბუნებამ სწორედ ღვთაებრივს არ მოჰმადლა ხელმწიფებისა და მეუფების ნიჭი, ხოლო მოკვდავს მონობის და მორჩილებისა?

— დიახ.

— მაშასადამე, რომელს ჰგავს სული?

— ცხადია, ღვთაებრივს, ჩემო სოკრატე, ხოლო სხეული—
მოკვდავს.

— მერედა, ჩემო ძვირფასო კებეს,—განაგრძო სოკრატემ,—
თუ ჩვენი სიტყვებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ სუ-
ლი ყველაზე მეტად წააგავს ღვთაებრივს, უკვდავს, ერთსახო-
ვანს, გონით საცნაურს, უშლელს, მარადის უცვლელსა და თა-
ვისთავადს, სხეული კი — კაცურს, მოკვდავს, მრავალსახოვანს,
არა გონით—გრძნობით საცნაურს, შლადს, მიწყობ ცვლადსა
და არათავისთავადს, განა შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მათს
სიმართლეში და ვთქვათ, რომ ეს არაა ასე?

— არ შეიძლება.

XXIX

— და თუ ეს ასეა, მაშ, სხეულს დაშლა უწერია, ხოლო
სულს სრული უშლულობა თუ რაღაც ასეთი, არა?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ შენ იცი, რომ კაცის სხეული, კაცის ხილული
და ნივთიერი ნაწილია, რომელსაც სიკვდილის შემდეგ გვაქვს
ვეწოდებთ და რომელიც დასაშლელად და დასაბრუნებლად
განწირული, სიკვდილისთანავე კი არ იხრწნება, არამედ მხო-
ლოდ კაი ხნის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეგ გვა-
ში აყვავებული სხეულია ყმაწილი ქალისა ანდა ჭაბუკის.
მეტეც, დამკენარი და მეგვიპტელთა¹ წესით დაბალხამებული
სხეული თითქმის უცვლელად ინახება წარმოუდგენლად ხან-
გრძლივი დროის განმავლობაში. მაგრამ მაშინაც კი, როცა
სხეული იხრწნება, ზოგიერთი მისი ნაწილი და ნამუსრევი, რო-
ნი

ლოც მავალითად, ძვლები, ძარღვები და მისთანანი, იმდენხანს
ძლებს, რომ უკვდავი ეგონება კაცს. ასე არაა?

— დიახ.

— და რაღა სული. უხილავი ნაწილი ჩვენი, კეთილი და
ბრძენი ღვთაებისკენ მიდრეკილი და მიქცეული მსავით წმინ-
და, ნათელი და უხილავი² სამყაროსკენ, რომელსაც ჰადესს ვუ-
წოდებთ მართებულად და რომელსაც, თუ ღვთის ნება იქნება,
ჩემმა სულმაც უნდა მიაშუროს მალე, ვიმეორებ, რაღა მარც-
დიმინც სული, ეგ ჩვენი წმინდა და უხრწნელი სული, გაქრება
და განქარდება სხეულიდან ამოსვლისთანავე, როგორც უმ-
რავლესობას წარმოუდგენია კაცთა? მე კი სულ სხვაგვარად
წარმომიდგენია, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სიმია და კებეს:
ჩემის აზრით, როცა სული წმინდად და შეურყვანელად ეყრება
სხეულს, როცა ნივთიერი ბუნების ნატამალიც არ მიჰყვება
თან და ეს იმიტომ, რომ ამ სიკვდილში სხეულთან ნებისითი
ურთიერთობით კი არ ისვრებოდა, პირიქით, შეძლებისამებრ,
გაურბოდა მას და თავის თავში ოდენ შთენილი მთელის არ-
სებით ეძლეოდა სიბრძნის სიყვარულს და ზრუნვას მშვიდი
აღსასრულისთვის; რას იტყვით, განა სწორედ ეს არაა ნამ-
დილი ზრუნვა სიკვდილისათვის?

— რა თქმა უნდა, — მიუგო კებესმა.

— ჰო, იმას გეუბნებოდით, რომ, როცა სული აგრე წმინ-
დად და შეურყვანელად ეყრება სხეულს, მისივე მსგავს სამ-
ყაროში გადადის იგი, ღვთაებრივ, უხილავ, უკვდავსა და
ბრძნულ სამყაროში, სადაც, ყველა ძველ ცთომათა, სიშლევგე-
თა, შიშთა, შმაგ ვნებათა თუ სხვა კაცურ გულისთქმითაგან გან-
რინებული, ნეტარებას ეზიარება და სადაც, როგორც ნათელ-

დებულთათვის იტყვიან, უკვდავთა სიახლოვით იშვებს და იხარებს მარადის. რას იტყვი, განა ავრე არაა, ჩემო კებეს?

— ავრეა, ვითიცავ ზევსს,—მიუგო მან.

XXX

— მაგრამ რას ვიტყვით, როცა სული შერყვნილი და შებიწული ეყრება სხელს? რადგან, თუ ამქვეყნად მიწყვი სხელის სიცოცხლით ცოცხლობდა, სხელს ემსახურებოდა, სხელს ეტრფოდა და იმდენად იხიბლებოდა მისი ვნებებით და სურვილებით, რომ აღარაფერს რაცხდა ჭეშმარიტად, გარდა იმისა, რასაც სხელის სახე აქვს, რასაც შეიძლება ხელით შეეხთ, რაც შეიძლება დაინახო, შექაშო, შესვა ანდა ვნებათა დაცხრომისთვის გამოიყენო, მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, ზიზლით უმწურდა, უფრთხობდა და გაურბოდა მას, რასაც თვალთაგან წყვედიადი ფარავს, რაც უხილავია, რაც მხოლოდ ჯონით საცნაურია და ფალოსოფიით საწვდომი,—როგორ გგონია, განა ეგ სული წმინდად და შეურყვნელად გაეყრება სხელს?

— ვერაფრისდიდებით, — მიუგო კებესმა.

— ბირიქით! წმინდად და შეურყვნელად კი არა, გფიქრობ ნივთიერი ბუნებით გასერილი და განწონილი გაეყრება მას, რადგან სხელთან მუდმივი ერთობა და ურთიერთობა, სხელისთვის მუდმივი ზრუნვა ნივთიერ ბუნებასთან შეზღუდის და შეანივთებს სულს.

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ, როგორც ჩანს, ეგ ნივთიერი ბუნება ქვე-დამ-ზიდველია, ჩემო ძვირფასო კებეს, მძიმე, ხილული და მიწიე-

რი, რაკი მის მიერ განწონილი სული სიმძიმის გავლენით უკან, ხილული სამყაროსკენვე მოისწრაფვის, უხილავი სამყაროს და მისი მეუფის წინაშე წარდგომის შიშით შემკრთალი; და კვლავ ამ ქვეყნად მო-რა-იქცევა, როგორც ამბობენ, სამარხთა და სამარის ქვათა ირგვლივ იწყებს ბორიალს, რომელთა შორიახლოს მართლაც ხედავენ ხოლმე მწუხარე აჩრდილებს: ამ სახით გვეცხადებიან სულნი, რომელნიც წმინდად კი არ გაპყრიან სხელს, არამედ ხილულის უწმინდურებაც წარიტანეს თან და, ამიტომ, ხილულნი ხდებიან თავადაც.

— მართალია, ჩემო სოკრატე.

— რა თქმა უნდა მართალია, კებეს, მართალია ისიც, რომ ეგ სულნი კეთილთა სულნი კი არ არიან, არამედ ბოროტთა სულნი, რომელთაც ყველა ძველი ბოროტებისთვის საფლავთა შორის ბორიალი ერგოთ სასჯელად. და ბორიალებენ ეგ სულნი მანამ, სანამ მაწყავ მათი თანამდევნი ნივთიერი ბუნების წყურვილით დევნილნი ახალ სხელს არ შეიმოსენ.

XXXI

— ხოლო შემოსვით, ბუნებრივია, იმ არსთა სხელს შეიმოსენ, რომელთაც ზნით წააგავდნენ ძველ სიცოცხლესი.

— რომელ არსთათვის იტყვი მაგას, ჩემო სოკრატე?

— ასე მაგალითად, იმ კაცთა სულნი, რომელნიც მხოლოდ საყროვანებას, მრუშობას და მემთერაღეობას ეძლეოდნენ მთელის არსებით, ყარათა და მათგვარ ცხოველთა სხელს შეიმოსენ. ავრეა, არა?

— მართალს ბრძანებ.

— ხოლო მათი სულები, ვინც უსამართლობა, ტირანია და ძარცვა-გლეჯა არჩია ყველაფერს, მგლებსა, ქორებსა და ძერებს-

ში გარდასხეულდებიან უთუოდ. აბა, სხვაგან სად წავლენ ისინი?

— რა თქმა უნდა, ვერსად, — მიუგო კებესმა, — მათს იქით გზა არა აქვთ.

— ასე რომ, — განაგრძო სოკრატემ, — ცხადია, ყველა დაინარჩუნდა სულელები იმ არსთა სხეულებს შუამოსენ, რომელთაც ზნით წააგავდნენ ძველს სიციცხლეში.

— ცხადია, — დაუდასტურა კებესმა.

— ხოლო მათგან ყველაზე სვებედნიერნი არიან და ყველაზე მწვენიერ სხეულებში გარდასხეულდებიან მათი სულელები ვინც მსგავსი სიციცხლის მახდილზე სრულყოფდა თავის თავში საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სათნოებას, რომელსაც თავდაჭერილობას და სამართლიანობას უხმობენ და რომელსაც მხოლოდ ზრუნვით ეზიარა და რუდუნებით, ფილოსოფიისა და აზროვნების დაუბმარებლად.

— კი მაგრამ, სხვებზე ბედნიერნი ვითომ რითი არიან ისინი?

— იმით, რომ მათსავე საზოგადოებრივ და თვინიერ არსთა, ვთქვათ, ფუტკრების, კრაზანების თუ ჭიანჭველების სხეულებში შებრუნდებიან, ანდა, სულაც, ადამიანის სხეულს შემოსენ ხელახლა და მაშინ მათგან დაიბადებიან კეთილნი კაცნი.

— შეიძლება.

XXXII

— ხოლო უკვდავთა დასს ვერვინ მიეახლოს, ფილოსოფოსთა და მათ გარდა, ვისი სულიც სავსებით წმინდად ეყრება სხეულს; ეს კი ცოდნის ტრფიალთ ხელეწიფების მხო-

ლოდ. სწორედ ამისთვისაა, ჩემო ძვირფასო, სიმია და კებეს, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსნი ყოველნაირად ეკრძალებიან უკლებლივ ყველა ხორციელ ვნებას და მტკიცედ იზღუდავენ თავს მათგან. მაგრამ ასე იმიტომ კი არ იქცევიან, თითქოს ოჯახის დაქცევის და გაღატაკების შიში ჰქონდეთ ვერცხლის-მოყვარეთა მსგავსად, არც ამიტომ, თითქოს პატივის აყრას და სახელის გატეხას უფრთხოდნენ, როგორც პატივისა და ძალაუფლების მოყვარენი უფრთხიან ამას.

— ეგ არც შეჰფეროს მათ, სოკრატე, — შენიშნა კებესმა.

— არ შეჰფერის, ვიფიცივე ზევსს, — განაგრძო მან, — ამიტომ ისინი, ვინც თავისი სხეულისაგან კერბებს არ კმნიან და სულისთვის ზრუნავენ მხოლოდ, იმ კაცთა გზას როდი მისდევენ, რომელთაც არ უწყვიან საით მიდიან. პირიქით, რაკი სწამთ, რომ არ უნდა განუდგნენ ფილოსოფიას, არც ფილოსოფიით ბოძებულ განწყენდას და განთავისუფლებას ისინი მისკენ მიდრეკებიან და მისდევენ იმ გზას, რომელზეც სიმბრძნის სიყვარული მიუძღვით წინ.

— რას ამბობ, სოკრატე?

XXXIII

— ახლავე მოგახსენებთ, — მიუგო მან. — ცოდნის ტრფიალთათვის ნათელია, რომ, როცა ფილოსოფია მიირქმევს მათ სულს, სხეულს მიკრულს და მოწებებულს მიირქმევს მას. ამიტომ სული იძულებულია თავის თავიდან კი არა, სხეულის დილეგიდან უმზიროს საგნებს და, ამრიგად, სრული უმეცრების წყვედიადში იბორიალოს. და ჭვრეტს აგრე ტყვექმნილი სული მაგ შემზარავ, ვნებათაგან შობილ უკუნეთს და გრძნობს, ყველაზე შიტად თვითონვე რომ მიუძღვის ბრალი თავის

ტყვექმნაში. მერე, ვამტკიცებ მე, ცოდნის ტრფილოთათვის ისიც ნათელია, რომ როცა ფილოსოფია აგრე ტყვექმნილს მიიჩქმევს მათ სულს, წყნარად და მოთმინებით იწყებს მის ვამხნევებას, განთავისუფლებას და განსწავლას: უხსნის, რაოდენ ყალბია ხედვით, სმენით ან სხვა გრძნობით აღქმული საგანი, უჩრევს თავი ანებოს გრძნობებს და მხოლოდ აუცილებლობისას მიძართოს მათ, უბრძანებს, შეკრბეს და შეიკრას საკუთარ თავში და არაფერს ენდოს, გარდა თავისი თავისა მაშინ. როცა თავისივე თავით ჭვრეტს თავის თავში არსებულ საგნებს, ხოლო როცა, პირიქით, სხვა რამით ჭვრეტს და სხვა რამეს ჭვრეტს, არაფერი მიიხხიოს ჭეშმარიტად, რადგან ეგ სხვა რამე გრძნობით საცნაურია და ხილული, ის კი, რასაც სული ჭვრეტს, მხოლოდ გონით საცნაურია და უხილავი. და მაშინ, ჭეშმარიტი ფილოსოფოსის აგრე განთავისუფლებული სული ხვდება, რომ არ უნდა ეურჩოს თავისი მხსნელის ხეობას. ამიტომ, შეძლებისამებრ, თავს არიდებს ყველა განცბრომას, ვნებას, მწუხარებას და შიშს, რადგან იცის, რომ მეტისმეტი განცბრომა, მწუხარება, შიში თუ ვნება მარტოოდენ იმ ბოროტებას კი არ დაატებს თავზე, რასაც ბრბო იელის ბოროტებად—სნებას რაიმეს ან განცბრომათა გულისთვის ქონების განიავებას—არამედ ყველაზე შემზარავ და დიდ ბოროტებასაც, თუმცა თვითონ ვერც კი გრძნობს ამას.

— რა ბოროტებაა ეგ, სოკრატე? — ჰკითხა კებესმა.

— იი, რა: კაცის სული, როცა მას მეტისმეტად ახარებს ან აწუხებს რამე, ძალაუნებურად ფიქრობს, რომ ის, რაც მასში ამ გრძნობებს იწყებს, ყველაზე უფრო ნამდვილია და ჭეშმარიტი, თუმცა, სინამდვილეში, აგრე სულაც არაა საქმე, რად-

გან ყველა მაგ სიხარულის თუ წუხილის სათავე უბიარტესად ხილულ სამყაროში ძევს. აგრე არაა?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ სული ყველაზე მეტად განა მაშინ არ იკერის და იბოჭება სხეულის მიერ, როცა ეგ გრძნობები ამღვრევენ მას?

— როგორ?

— ყველა სიხარული, ყველა წუხილი სულს თითქოს სამსჭვალით ამსჭვალავს და, ერთგვარად, კიდეც ამსგავსებს სხეულს, ასე რომ, მისთვის ჭეშმარიტად იქცევა ის, რასაც სხეული აჩვენებს ჭეშმარიტად. ხოლო სხეულის თანამოაზრედ ქცეული, მისი თანამავალი და თანამეინახეც ხდება და წმინდად კი აღარ ეყრება სხეულს, არამედ ნივთიერი ბუნებით სავსე და გასერილი. ამიტომ მალე სხვა სხეულში გარდასხეულდება იგი, სადაც ღივდება, ფესვს იღვამს თესლივით და, ამრიგად, კარგავს თავის კუთვნილ წილს ღვთაებრივთას, წმინდასთან და ერთსახოვანთან თანაარსებობისას.

— სრული სიმართლეა, ჩემო სოკრატე, — თქვა კებესმა.

XXXIV

— სწორედ ეგაა, ჩემო კებეს, ცოდნის ჭეშმარიტ ტრფილოთა თავდაჭერილობის და სიმამაცის მიზეზი და არა ის, რაც უმრავლესობას ჰგონია კაცთა. თუ შენც მათსავეთ ფიქრობ?

— არა.

— კარგია, რომ არა, რადგან ისინი ცდებიან, კებეს. ჭეშმარიტი ფილოსოფოსის სული არასდროს არ ფიქრობს, რომ

ფილოსოფიამ მხოლოდ იმიტომ უნდა გაანთავისუფლოს იგი, რათა განთავისუფლებული კვლავ მიეცეს სიხარულს და მწუხარებას, კვლავ მიუბრუნდეს თავის ბნელ დილეგს და, ამგვარად, პენელოპის დაუსრულებელი რუდუნების გზას შეუდგეს, ოღონდ საპირისპირო მხრივ! არა, ეგ სწული მხოლოდ ძუღროების სადგურს დაეძებს, ვნებათაგან აღმღვრეველ სადგურს, მხოლოდ გონების მისდევს და წამითაც არ სწყდება მას, მხოლოდ ქეშმარიტს, ღვთაებრივს და ზეცნობიერს უჭკრეტს და ამ ჭკრეტაში პოულობს საზრდელსაც, რადგან სწამს, რომ ვიდრე სხეულს არ გაჰყრია, მაგ სიცოცხლით უნდა იცოცხლოს, რათა სხეულის სიკვდილის შემდეგ თავისი მშობლიური, თავისივე მსგავსი სამყაროს წილს მიაშუროს, ყველა ხორციელი სიბილწისგან თავდახსნილმა და თავისუფალმა. ხოლო მაგ საზრდელით რომ საზრდობს, მაგ სიცოცხლით რომ ცოცხლობს, სულს უკვე არაფერი აღარ აშინებს, ჩემო სიმია და კებეს, აღარ აშინებს ის, რომ სხეულს გაურილი ქარის მიერ განქარდება და განიფანტება, გაქრება და კვალიც არსად დარჩება მისი.

XXXV

როცა სოკრატე ლაპარაკს მორჩა, სიჩუმე ჩამოეარდა დიდის ხნით. ჩანდა, თვითონვე ჩააფიქრა მისმა სიტყვებმა. ჩააფიქრა ბევრი ჩვეხგანიც, მხოლოდ კებესი და სიმია ჩურჩულებდნენ ერთმანეთს შორის. ეს რომ შენიშნა, სოკრატემ — რას ჩურჩულებთო, — ჰკითხა მათ, იქნებ ჩემი სიტყვები არ გაქმყოფილებთ? ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მათში სადავო და საჭოჭმანო მართლაც ბევრი რამაა მისთვის, ვინც ამი-

რებს გამოწველივით განხიროს და განიხილოს ისინი. თუ სხვა რამეზე ჩურჩულებთ, რა შეთქმის, მაგრამ თუ ჩემი სიტყვები გაეჭვებთ, ნუ გერიდებთ, პირდაპირ თქვეით თქვენნი სათქმელი, იქნებ ჩემზე უკეთ თქვათ რამე. მეც დამიხმარეთ, თუ ფიქრობთ, რომ ჩემი დახმარებით უფრო მალე უკუშეერთდებით.

— მართალი ვითხრა, ჩემო სოკრატე, — თქვა სიმია, — ორივეს დიდი ხანია გვაწვალებს ეჭვი და ერთმანეთს ჩაეციებოვართ, არა შენ ჰკითხე და არა შენო. ხომ იცი, როგორ გვაინტერესებს შენი აზრი. მაგრამ გვეშინია ჩვენი უადგილო კითხვით არ შეგაშფოთოთ, რადგან შენ შენი უხეღურებაც გეუოფა.

ეს რომ ისმინა, სოკრატემ წყნარად გაიცინა და თქვა:

— ვაი ჩემს თავს, მართლა უბედურს, ეს რა მესმის, ჩემო სიმია? როგორღა ეარწმუნო სხვები, თავს სულაც არ ვთვლიმეთქი უბედურად, თუკი თქვენც მერ დამირწმუნებინათ? თუკი მართლაც შიშობთ, რომ თქვენი შეკითხვის შემდეგ უფრო უბედურად ვიგრძნობ თავს, ვიდრე ოდესმე? როგორც ჩანს, გედებზე უარეს წინასწარმხედად მთელით და წინასწარმეტყველად, რადგან გედები სიკვდილის წინ მღერიან ხოლმე; მღერიან ისე ნაზად და წარმტაცად, როგორც არასდროს არ უმღერიათ! და ეგ სიმღერა სიხარულის სიმღერაა: მათ ახარებთ იმ ღვთაებისკენ მიქცევა, რომელსაც ემსახურებიან. ხოლო კაცნი, სიკვდილის შიშით შემკრთალი კაცნი, ცილს სწამებენ გედებს, როცა ამბობენ, რომ ეგ სიმღერა სიხარულით კი არა, მწუხარებით შობილი სიმღერაა, რომლითაც ისინი საკუთარ სიკვდილს დასტირიან თითქოს. რატომ არ ესმით, ნეტა, რომ არც ერთი ფრინველი არ დაიწყებს სიმღე-

რას მაშინ, როცა შშია, როცა სცივა, ანდა სხვა რამ აწუხებს
მას. და ამ ფრინველებს ბუღბული, მერცხალი და ოფოფიც
უნდა მივათვალოთ, რომელთა სიმღერა, როგორც ამტკიცე-
ბენ, საკუთარი უბედობის გლოვია მხოლოდ. მე კი ვამტკიცებ,
რომ მწუხარება როდი ამღერებს მაგ ფრთოსნებს და
მით უმეტეს, ვედებს, აპოლონის წმინდა ფრინველებს,
რომელთაც წინასწარხედვის ნიჭი უწყალობა პატრონმა; და
რაკი წინასწარ ჭერებენ ჰადესის ყველა სიკეთეს, ამიტომ
სიკვდილის დღეს უფრო ტკბილად შდერიან და უფრო ხარო-
ბენ, ვიდრე ოდესმე. ხოლო მეც, ჩემის მხრივ, მწამს, რომ
აპოლონს ვემსახურები, აპოლონსვე შეწირული, ვედების
მსგავსად და რომ წინასწარმეტყველების ნიჭი ვედებზე ნაკ-
ლები როდი მომმადლა პატრონმა ჩემმა. ამიტომ მათსავით
მშვიდად და უდრტვინველად ვეთხოვები სიცოცხლეს. პოდა,
ნუ გერიდებათ, მკითხეთ რაც გინდათ, რაც გაწუხებთ, მკითხეთ,
ვიდრე თერთმეტი ათენელი გვრთავს მაგის ნებას.

— კეთილი, — თქვა სიმიაშ, — მაშინ ჭერ მე გამოგიტყ-
დები, გეტყვი, რა მიჭირს, რა მაეჭვებს და მერე, დაე, კებესმა
თქვას, რატომ არ ეთანხმება შენს სიტყვებს. შენი არ იყოს,
მეც მგონია, ჩემო სოკრატე, რომ ყოველივე იმის ცოდნა, რა-
ზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით, ამ სიცოცხლეში ან, საერთოდ,
შეუძლებელია, ან მეტისმეტად ძნელი. მაგრამ, მეორეს მხრივ,
რაოდენ მხდალი და სულმოკლე უნდა იყოს კაცი, რომ უარი
თქვას იმის ყოველმხრივ, ძირფესვიან განხილვაზე, რაც ჩვენი
მსჯელობის საგანს ეხება, და ნაადრევად მიიქცეს უკან. რად-
გან აქ ორი გზაა და ამ ორიდან ერთი მაინც უნდა ვირჩიოთ:
ან სხვებისგან ვისწავლოთ ჭეშმარიტება, ანდა ჩვენით მივაკვ-

ლით მას. ხოლო თუ ორივე გზა მცდარი აღმოჩნდა, მაშინ,
ისღა დავგრჩება, კაცთა ყველა ნააზრევს და ნაფიქრალს შო-
რის ამოვარჩიოთ ყველაზე უკეთესი, ყველაზე ძნელად უკუ-
საედები, მივენდოთ მას, როგორც მცირე ორჩხომელს რასზე
და მაგ ორჩხომელით გადავეუროთ ცხოვრების ზღვა, რაკი
არა ღირს ვართ უფრო უშიშრად, უფრო მტკიცე და მკვირვ
ხომალდზე აღვასრულოთ ეგ ხიფათით სავსე მგზავრობა; ხო-
ლო მტკიცე ხომალდიო რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ უფლის
გამოცხადებას. ახლა უკვე აღარ შემრცხვება შეკითხვისა, რად-
გან თვითონვე მაქვებ ამისთვის და ეგვეც არ იყოს, ვაითუ მე-
რე ვინანო, რატომ არ ვარტყვი-მეთქი, რასაც ვფიქრობდი. მარ-
თალი ვითხრა, ჩემო სოკრატე, როცა მარტო თუ კებესთან ერ-
თად ვჩხრეკ შენს სიტყვებს, თავიდან ბოლომდე დამაკმაყო-
ფილებელი როდი მეჩვენება ისინი.

XXXVI

— და, შესაძლოა, სამართლიანადაც გეჩვენება, ჩემო მე-
გობარო, — უთხრა სოკრატემ, — მაგრამ თქვი, რა არ გაკმა-
ყოფილებს მაინც?

— რა და ის, რომ შენი სიტყვები შეიძლებოდა ჰარმო-
ნიის, ღირსისა და სიმების მიმართაც თქმულიყო, რადგან ძნო-
ბილი ღირის ჰარმონიაც უხილაყო, უსხეულა, დცთაებრივი
და დიდშენიერი, ხოლო ღირა სიმებითურთ ნივთიერი, შედ-
გენილი და მიწიერი სხეულია, მოკვდავის ნათესავი და თვის-
ტომი. პოდა, თუ ვინმე დაამსხვრევს ღირას, ან მის სიმებს
დაგლეჯს და დაწვეტებს, ხომ შეუძლია მასაც სწორედ შენი

სიტყვებით ამტკიცოს — პარმონია არ დაღუპულა და არსებობას აგრძელებსო აუცილებლად? რადგან ყოვლად წარმოუდგენელია არსებობდეს ღირა, რომლის სიმებიც დაწყვეტილია, არსებობდეს სიმები, რომელთა ბუნება მოკვდავია, ხოლო პარმონია, ღვთაებრივისა და უკვდავის თვისტომი და მონათესავე, არსებობას წყვეტდეს და იღუპებოდეს მასზე ადრე, რაც მოკვდავია. პირიქით, კაცს შეუძლია თქვას, რომ პარმონია აუცილებლად აგრძელებს არსებობას სადღაც და რომ ზე და სიმები უფრო უმაღლეს იხრწნებიან, ვიდრე თვითონ განიცდიდეს ამის მსგავსს რასმე. მე მგონია და, ჩანს, შენც ასე გგონია, სოკრატე, რომ სული უპირატესად ამ სახით წარმოგვიდგება ჩვენ: სწორედ ისევე, როგორც ჩვენი სხეული ცხელის და ცივის, მშრალის და სველის და მათს მსგავსთა მიერაა შეკრული და შეერთებული, ჩვენი სულიც ამავე საწყისთა ნარევი და პარმონიაა, როცა ისინი ზუსტად და ზომიერად ერწყმიან და ერევიან ერთმანეთს. მაგრამ თუ სული ერთგვარი პარმონიაა, ცხადია, როცა ჩვენი სხეული მეტისმეტად ეშვება ან იჭიშვება სნების ან სხვა ბოროტებისგან, მან, თავისი ღვთაებრივი ბუნების მიუხედავად, უთუოდ მყისვე კვლამა უნდა იწყოს და დაიღუპოს სხვა, ვთქვათ, ბგერების თუ ფერების პარმონიათა მსგავსად. ხოლო სხეულის ზოგმა ნაშთმა და ნამუსრევმა შესაძლოა კაი ხანს გაძლოს, ვიდრე ცეცხლით არ დამწვარან ახ არ გახრწნილან ისინი. ახლა დაფიქრდი, რა ვუთხრათ მას, ვისც დაივიწყებს, რომ სული იმავე საწყისთა ნარევიცაა, რომელთაგანაც შედგება სხეული და რომ ყველაზე უმაღლეს იღუპება ვერც ერთ წოდებული სიკვდილის მიერ.

სოკრატემ თავისი ბასრი მხერა მოგვავლო, როგორც ხშირად სჩვეოდა, გაიღიმა და — სიმია მართალს ამბობსო, — თქვა. — და თუ თქვენს შორის მოიძებნება ჩემზე უფრო ეხადპევერი, რად არ პასუხსსცემს მას? მე მგონია, სიმამ მარჯვედ დამიგო მახე. მაგრამ, ვფიქრობ, ვიდრე პასუხს გავცემდეთ, აჯობებს კებესსაც მოვუსმინოთ: ვნახოთ, თავის მხრივ, რას გვეტყვის იგი? ამითი ჩვენ დროსაც მოვივებთ, რადგან, ვიდრე ილაპარაკებს, მოვიფიქრებთ, რა მიუღოთ მას, ხოლო როცა ორივეს მოვუსმენთ, ახ დავეთანხმებით, თუ ვნახავთ, რომ ისინი ბანს გვაძლევენ, ან არადა ვეცდებით დავიცვათ ჩვენი მოსაზრებანი, მაშ, ახლა სიტყვა შენზეა, კებეს, თქვი, რა გაწუხებს.

— ვიტყვი, თქვა კებესმა. — მე მგონია, ჩვენი მსჯელობა ჯერჯერობით ერთ ადგილს ტკეპნის და ამიტომ საყვედური, რომელიც ადრე მის მიმართ გამოვთქვით, კვლავ იხარჩუნებს ძალას. ის დებულება, რომ ჩვენი სული არსებობდა მანამდე, სხეულს შეიმოსდა სანამ კაცისას, ჩემის აზრით მშვენივრადაა დამტკიცებული და, თუ თავხედობაში არ ჩამომერთმევა ამისი თქმა, სავსებით დამაჯერებლადაც. მაგრამ, იარსებებს თუ არა იგი ჩვენი სიკვდილის შემდეგ? ამის მტკიცება არც ისე დამაჯერებელია ჩემთვის. მე არ ვიზიარებ სიმიას აზრს, რომლის მიხედვითაც სული უფრო სუსტია და უფრო დღემოკლე, ვიდრე სხეული, რადგან, ვფიქრობ, ამ მხრივ იგი გაცილებით მაღლა დგას სხეულზე. — კი მაგრამ, — შეუძლიათ მკითხონ, — რაღა გაეჭვება? ხომ ხედავ, რომ კაცის სიკვდილის შემდეგ მისი უსუსტესი ნა-

წილიც კი აგრძელებს არსებობას? ნუთუ აქედან ცხადი არ არის შენთვის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში კაცის უფრო დღეგრძელი ნაწილიც უნდა ინახებოდეს აუცილებლად? ახლა დაუვირდი, მართალს ვამბობ თუ არა? მაგრამ აქ, სიმიასი არ იყოს, შედარება მჭირდება მეც. შენი მსჯელობა იმ კაცის სიტყვებს მაგონებს სწორედ, ეინც შიკ ვალებულ ბებერ ფეიქარზე იტყოდა, რომ ის კი არ მომკვდარა, არამედ, საღსალამათი არსებობას აგრძელებს სადღაც და ამის დასამტკიცებლად გვიჩვენებდა მის მიერ მოქსოვილ სამოსს, რომელსაც ეგ ფეიქარი სიკვდილიაღე ატარებდა და რომელიც მისი სიკვდილის შემდეგაც მთელი დარჩა და უვნებელი. ხოლო თუ ამ მტკიცებას საკმარისად არ მივიჩნევდით, იგი გვკითხავდა: — კი მაგრამ, რომელი გვარი უფრო დღეგრძელია, კაცთა თუ სამოსთა, რომელთაც ატარებენო კაცი? და რა მიიღებდა პასუხს — ცხადია, კაცთათ, დასკვნიდა, რომ ფეიქარი მართლაც საღსალამათი და არსებობას აგრძელებს სადღაც, რაკი არ დაღუპულა ის, რისი დღეც მოკლეა უფრო. მაგრამ, ვფიქრობ, ჩემო სიმიას, ასე სულაც არაა საქმე; აი, რა მინდა გითხრა: თვითუღ ჩვენგანს ესმის, რომ სისულულეს ამტკიცებს ის, ვინც ამას ამტკიცებს. რადგან მაგ ფეიქარმა თავისი სიცოცხლის მანძილზე ბევრი ასეთი სამოსი მოქსოვა და ვაცვითა კიდევ, და მხოლოდ უკანასკნელის ვაცვეთა ვეღარ მოასწრო, ისე ჩავიდა საფლავში. მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, კაცი უფრო სუსტია და უფრო დღემოკლუო, ვიდრე სამოსი. მე მგონია, ეს შედარება კარგად გამოხატავს სულის მიმართებას სხეულთან და მართალს ამბობს, ვინც ამბობს, რომ სული უფრო დღეგრძელია, ხოლო სხე-

ული — უფრო სუსტი და უფრო დღემოკლე. მას შეუძლია ისიც თქვას, რომ სული მრავალ სხეულს იცვლის და ცვეთს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდხანს ჰგეხს ამტკვეყნად, რადგან თუ ჯერ კიდევ კაცის სიცოცხლეში სხეული გაბუდმებით ცვეთა და კვდება, ხოლო სული გამუდმებით ქსოვს და კემსაეს ვაცვეთილს, ცხადია, სიკვდილის წინ სული თავის უკანასკნელ სამოსს ატარებს და სწორედ ეგაა ერთადერთი სამოსი, რომელზე აღრე თვითონვე წყვეტს არსებობას. ხოლო როცა მოკვდება სული, სხეული მყისვე ამქლავნებს თავისი ბუნების სისუსტეს: სწრაფად იბრწინება და იღუპება. ამრიგად, ასეთი მტკიცება ვერავითარ შემთბევაში ვერ მოგვეცემს იმის ღრმა რწმენას, რომ ჩვენი სული ჩვენი სიკვდილის შემდეგაც იარსებებს სადღაც, ვინაიდას, თუ მოიძებნება კაცი, რომელიც დაეთანხმება მის სიტყვებს, ეინც უფრო მეტსაც კი ამტკიცებს, ვიდრე შენ, დაეთანხმება და შესაძლებლად მიიჩნევს არა მარტო იმას, რომ ჩვენი სულები არსებობდნენ ჩვენს დაბადებამდე, არამედ იმასაც, რომ ზოგიერთი მათგანი ჩვენი სიკვდილის შემდეგაც ვაგრძელებს არსებობას, რათა მრავალგზის შეიმოსოს სხეული და მრავალგზის ვაეყაროს მას (რადგან სულის ბუნება იმდენად ძლიერია, რომ მრავალ დაბადებას უძლებს), დიახ, ეიმეორებ მე, თუ მოიძებნება კაცი, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ყოველივე ამას, ისიც კი ვერ დაეთანხმება იმ აზრს, რომ სული არ იღლები ამდენი დაბადებით და არ იღუპება მისი ერთ-ერთი სამოსის სიკვდილთან ერთად. მე-რე, მას შეუძლია ისიც დანძინოს, რომ არავინ არაფერი არ უწყის სხეულის იმ კვდომის და იმ ბრწინის შესახებ, რომელსაც სულისთვის საბოლოო სიკვდილი მოაქვს, რადგან

არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს ამის წინასწარგანობა. ამიტომ არაინ უნდა გულოვნობდეს სიკვდილის წინ; რადგან, თუკი სულის სრული უკვდავებისა და უხრწნადობის დამტკიცება არ შეგვიძლია, შლეგის გულოვნობა იქნებოდა ეგ გულოვნობა. პირიქით, ჯველა სასიკვდილოდ განწირული უნდა შიშობდეს, ვაითუ სხეულთან ერთად დაიღუპოსო ჩემი სხეულს გაყრილი სული.

XXXVIII

როცა ორივეს მოვუსმინეთ, თვითეული ჩვენგანი, როგორც შემდეგ გამოვუტყუდით ერთმანეთს, უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. მართლაც, ის-ის იყო შტკიცედ ვიწამეთ წინა მსჯელობის სიმართლედ, და, აჰა, მათმა სიტყვებმა ხელახლა შეგვირყია რწმენა და უნდობლობა დაბადა ჩვენში არა მარტომის მიმართ, რაც უკვე ითქვა, არამედ მის მიმართაც, რაც შემდეგში უნდა თქმულიყო. ჩვენ ვშიშობდით, რომ ან ამ საქმის მსაჯულეზად არ ვივარგებდით, ანდა ჩვენი მსჯელობის საგანს ეჭვის აღძვრა შეეძლო მხოლოდ.

ეხეკრატე: ვიფიქავ ღმერთებს, მე თქვენ გაშართლებთ, ფედონ. რადგან შენ რომ გისმენ, ასეთი კითხვა შეზადება საკუთარი თავის მიმართ: „რადას უნდა ვერწმუნხოთ აწი, თუკი სოკრატეს ეგზომ სარწმუნო სიტყვებმა ჩვენს თვალში სავსებით დაკარგეს ნდობა?“ მართლაც, ის აზრი, რომ ჩვენი სული ერთგვარი პარმონიაა, როგორც ყოველთვის, ახლაც უცნაურ ზეგავლენას ახდენს ჩემზე. სიმბას სიტყვებმა გამახსენეს, რომ წინათ თვითონაც მიფიქრია ეგ, და მე ახლა, ისევე როგორც თნრობის დასაწყისში, დიდად

შკირდება რაიმე ასალი საბუთი, რათა ვირწმუნო, რომ ჩვენი სული არა კედება სხეულის სიკვდილთან ერთად. მაშ, გვიამბე, ზევსის გულისთვის, როგორ განაგრძო სოკრატემ სიტყვა; ისიც თქვენსავით სასომიხდილი ჩანდა და ბევრის ვერაფრის თქმა შეძლო თუ მშვიდად დაიცვა თავისი აზრი და დაგარწმუნათ? ჰო, გვიამბე, რაც შეიძლება დაწვრილებით გვიამბე ყოველი.

ფედონი: მართალი ვითხრა, ჩემო ეხეკრატე, მე არა ერთხელ განვუცვიფრებია სოკრატეს, მაგრამ ასე ძლიერ — არასდროს. მაგრამ საოცარი ის კი არაა, რომ პასუხის ძებნა არ დასჭირებია. აი, რა მოცებს ყველაზე უფრო: უნდა გენახა, როგორის სიმშვიდით, ღმობიერებით და სინარულით მოსმინა მან ორივე ჭაბუკის სიტყვა, როგორის გამჭრიახობით შეიცნო ის შთაბეჭდილება, რაც ჩვენზე მოახდინა მათმა სიტყვებმა, და, დასასრულ, როგორ განგეყურნა, როგორ შემოგვაბრუნა ძლეულთა მსგავსად უკუშტკიულნი, იმედისკენ გვიქცია პირი და კამათში ჩაგება ისევ.

ეხეკრატე: მაინც როგორ?

ფედონი: გეტყვი. მე მისი სკამლოგინის შარვეზხა კიდესთან ვიჯექი დაბალ საკარცხულზე. ის კი გაცილებით მაღლა იჯდა ჩემზე. და აი, სოკრატემ ხელის სმა დაამიწყო თავზე, მიეფერა მხრებზე ჩამოსლილ ჩემს ვარჯებს — მას ჩვევად ჰქონდა ჩემს თმებში თითების თამაში — და მითხრა: ხვალ, ჩემო ფედონ, შენ ალბათ, მოგიწევს მავ მშვენიერი ვარჯების შეჭრა!

— როგორც ჩანს, ჩემო სოკრატე, — მივუგე მე.

— მაგრამ არ შეიჭრი, თუ დამიჯერებ.

— როგორ? — ეკითხე მე.

— მეც და შენც. — მისხრა მან, — დღესვე უნდა შევიტყუოთ თმები, თუ ჩვენი სიტყვა მართლა მოკვდა და აღარ შეგვიძლია მკვდრეთით აღვადგინოთ იგი. მე რომ შენს ადგილას ვიყო და სიტყვამ დამიწყოს ძვირობა, ფიცს დავდებდი, არგოსელთ მსგავსად, მანამდე არ მომეშვა თმები, სანამ არ ვძლევდი კებებს და სიმბას².

— კი მაგრამ, — მივუგე მე, — ნათქვამია, ჰერაკლესაც გაუჭირდებაო ორის წინააღმდეგ ბრძოლა.

— მერედა, მე აქ არა ვარ: მოუხმე შენს იოლეოსს³, ზემო ჰერაკლე, მოუხმე, ვადრე დღე არ მიწურვილა.

— მოვუხმობ, — მივუგე მე. — მაგრამ არა როგორც ჰერაკლე იოლეოსს, არამედ როგორც იოლეოსი — ჰერაკლეს.

— ეგ სულ ერთია, — თქვა მან.

XXXIX

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სიფრთხილე გვმართებს, რათა უაოთრავს რასმე არ გადაეკიდოთ.

— რა ფათერავს? — ეკითხე მე.

— მე მეშინია მიზოლოგებად⁴ არ ვიქცეთ, ისევე როგორც მიზანთრობები ხდებიან კაცნი. რადგან ყველაზე დიდი უბედურება ჩვენთვის მიზოლოგიას მოაქვს. ხოლო მისი სათავე იქვე ძევს, სადაც იბადება მიზანთრობია. ეს უკანასკნელი კი მაშინ აღიძვრის სულში, როცა კაცი უზომოდ და უსაფუძვლოდ ენდობა ვინმეს, რადგან ზედმიწევნით წრფელი, უხადო და მისანდობელი ჰგონია იგი, მაგრამ მალე

არწმუნდება მის ბიწიერებასა და ორგულობაში და, მერე, როცა მეორეც ზუსტად ასევე უტრუებს იმედს. ხოლო თუ მას მრავალჯერ ურყევენ რწმენას, განსაკუთრებით ისინი, ვისაც უახლოენ და უერთგულეს შეგობრებად თვლიდა, საჭმე იმით მთავრდება, რომ ეგ კაცი, ბოლოს და ბოლოს, ყველას იძულებს და ვერც ერთ ჩვენგანში ველარას ხელდას წმინდას და წრფელს. შეგიმჩნევია თუ არა, რომ მიზანთრობია სწორედ ასე ეუფლება კაცის სულს?

— რა თქმა უნდა, — მივუგე მე.

— მაგრამ ეს ხომ სამარცხენიაო, — თქვა სოკრატემ, — რადგან, ცხადია, ეგ კაცი ადამიანებთან ისე ამყარებს ურთიერთობას, რომ არა ესმის რა ადამიანის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ეცოდინებოდა, რომ კეთილთა და ბოროტთა რიცხვი ძალზე მცირეა და რამ კაცთა უმრავლესობას მათ შორის უჭირავს ადგილი.

— რას ამბობ? — ვთქვი მე.

— მასვე, — თქვა მან, — რასაც ძალზე დიდის და ძალზე პატარისთვის იტყვოდა კაცი. როგორ გგონია, რა არის ძალზე დიდ ან ძალზე პატარა კაცზე, ძალზე თუ სხვა მათს მსგავსზე უფრო ძვირი და იშვიათი? იგივე ითქმის სწრაფზე და ნელზე, მშვენიერზე და მახინჯზე, თეთრზე და შავზე. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ყველა ამგვარ საგანთა შორის სწორედ უკიდურესნი არიან ძალზე ძვირნი და იშვიათნი, ხოლო შუალედურნი — მრავალრიცხოვანნი და ხშირნი?

— რა თქმა უნდა, — მივუგე მე.

— ახლა მითხარი, ასპარეზობა რომ მოეწყოს ბოროტ-

ბაში, განა აქაც ძალზე ცოტა არ აღმოჩნდებოდა გამარჯვებული შორის?

— რასაკვირველია, — ვთქვი მე.

— რასაკვირველია, — დამიდარტუტა მანაც, — მაგრამ ამითი როდი ჰგვიანან სიტყვები ადამიანებს, — აქამდე მე შეს მოგდევდი მხოლოდ, — არა, მათ შორის მსგავსება თავს იჩენს მაშინ, როცა მჭევრმეტყველების ხელოვნებაში გაუწაფავი კაცი ჭეშმარიტად მიიჩნევს ამა თუ იმ სიტყვას, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სიყალბეს აღმოაჩენს მასში, ძიულს ხედავად იმისა, მართლა შეიცავს თუ არა იგი სიყალბეს, და, მერე ხან ასე წარმოიდგენს მას, ხან კიდევ ისე. მაგრამ ის, ვინც ერთ შემთხვევაში ამტკიცებს, მეორეში კი უარყოფს მას, რასაც ამტკიცებს, ბოლოს და ბოლოს, იმ დანკვნამდე მიდის, რომ მან ერთადერთმა შეიცხო უოველი, შეიცხო, რომ არც საგნებში, არც სიტყვებში არა არის რა ჭეშმარიტი და წარუდინებელი, და რომ ყველაფერი ევრიბოსის ტალღებით წინაუქმო მიმოიქცევა და ურთის წუთითაც არ ჩერდება ერთსა და იმავე მდგომარეობაში.

— მართალს ბრძანებ, — მივუგე მე.

— ამრიგად, განა სავალალო არ იქნებოდა ასეთი რამ, ჩემო ძვირფასო ფედონ, მაშინ, როდესაც არსებობს სიტყვა ჭეშმარიტი, წარუდინებელი და გონით საცნაური, კაცი ისმენდეს იმ სიტყვებს, რომელნიც ზოგჯერ ჭეშმარიტნი ჩანან, ზოგჯერ კი ყალბნი, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თავის თავს ან თავის უმწეობას სდებდეს ბრალს, ეგ კაცი დაუფიქრებლად ადანაშაულებდეს თვით სიტყვას, სამუდამოდ ჰგმობდეს და იძულებდეს მას და, ამრიგად სელიდან უშეებლეს

ჭეშმარიტებისა და სინამდვილის შეცნობის შესაძლებლობას?

— დიას, ვიფიცავ ზევსს, — ვთქვი მე, — ეგ სავალალო იქნებოდა ფრიად.

XL

— ამრიგად, — თქვა სოკრატემ, — უბირველეს ყოვლისა ევერძალოთ ამას და ნუ შეეუშვებთ სულში იმ აზრს, თითქოს სიტყვებში არა იყოს რა ჭეშმარიტი და ჯანსაღი. პირიქით, მოდი ვაღიაროთ, რომ თვითონ ჩვენ გვაკლია ეგ სიჯანსაღე და რომ ყველაფერი უნდა გავაყეთოთ იმისთვის, რათა ვეზიაროთ მას. შენ და შენს მეგობრებს ეს შემდგომი სიცოცხლისთვის გამოვადგებათ, მე — სიკვდილისთვის; რადგან ვშიშობ, რომ ამჟამად ფილოსოფოსს კი არ ვგავარ, არამედ დავის მოყვარე მდაბიორს, რომელსაც დავისას ფეხებზე ჰყიდია სადავო საგანი და მხოლოდ იმისთვის ზრუნავს, როგორმე ჭეშმარიტად მოაჩვენოს მსმენელებს ის, რასაც თვითონ ამტკიცებს. მე მგონია, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი რამ ვანმასხვავებს მისგან: მე იმას კი არ ვცდილობ, როგორმე ჭეშმარიტად მოეჩვენო-მეთქი მსმენელებს ის, რასაც ვამტკიცებ, — ეგ ნაკლებად მაინტერესებს, — არა, მე მინდა ჩემი მსჯელობის სისწორეში დავარწმუნო ჩემივე თავი. მე ასე ვმსჯელობ (ნახე, როგორის ანგარებიან), ჩემო ძვირფასო მეგობარო: თუ მართალია ის, რასაც ვამტკიცებ, ურიგო არ იქნებოდა თვითონ დავრწმუნებულიყავი ამაში. ხოლო თუ სიკვდილი მართლაც ყველაფრის ბოლია, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც უკანასკნელ ამოსუნთ-

ქვამდე დამჩნა, თავს მაინც არ შეგაწყებო ჩემი ჩივილით. თუმცა უმეცრების ბურუსში დიდხანს აღარ მომიწევს ბორბალი (ეგ მართლაც დიდი უბედურება იქნებოდა ჩემთვის). სულ ცოტაც და ის მთლიანად განიფანტება. ამ სამზადისის შემდეგ მე კვლავ მტკიცებას შევუდგები, ჩემო სიმია და კებეს, თქვენ კი, თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ხურად ჩაადგებით სოკრატეს და ჭეშმარიტებისთვის იზრუნეთ მხოლოდ. თუ ნახავთ, რომ სიმატლეს ეამბობ, დამიდასტურეთ ჩემი სიმატლეს, თუ არა და ნუ დამზოგავთ, ერთად აღსდევით ჩემს წინააღმდეგ, რათა მსჯელობით გატაცებულმა თქვენთან ერთად ჩემი თავიც არ მოვატყუო და, ამრიგად, ფუტკარს არ დავემსგავსო, რომელიც, მსხვერპლს რომ მოწყლავს, ნესტარს სხეულში უტოვებს და ისე მიფრინავს მისგან.

XLI

— მაგრამ დროა საქმეს შევუდგეთ, — თქვა მან, — უპირველეს ყოვლისა, გამახსენეთ, რას ამბობდით, თუ ნახავთ, რომ კარვად აღარ მახსოვს თქვენი სიტყვები. სიმია, ვგონებ, ეჭვობს და შიშობს, რომ თუმცა სული სხეულზე უფრო ღვთაებრივია და მშვენიერია, მაინც შესაძლოა სხეულზე აღრე დაიღუპოს, რაკი ისიც პარმონიაა ერთგვარი. კებესი კი, როგორც ჩანს, თუმცა ჩემთან ერთად იზიარებს იმ მოსაზრების სისწორეს, რომლის მიხედვითაც, სული უფრო დღეგრძელია, ვიდრე სხეული, მაინც დასძენს, რომ არავინ უწყის, იღუპება თუ არა ამდენი სხეულის გაცვეთის შემდეგ თავის უკანასკნელ სხეულს გაყრილი სული, არავინ უწყის, არის თუ არა ეს სიკვდილი ჭეშმარიტი სიკვდილი,

სიკვდილი სულისა, რაკი სხეული განუწყვეტელ კედომას განიცდის. ვანა სწორედ ამის გარკვევა არ გვმართებს ახლა, ჩემო სიმია და კებეს?

— მაგისო, — დაუდასტურა ორივემ.

— ახლა მითხარით, — თქვა სოკრატემ, — ჩვენი წინა მოსაზრებებიდან ყველის უარყოფთ თუ ნაწილს მართო?

— ნაწილს უარყოფთ, — მიუგეს მათ, — ნაწილს კი — არა.

— იმ მოსაზრებისთვის რაღას იტყვით, — ჰკითხა სოკრატემ, — რომლის მიხედვითაც სწავლა მოგონებაა მხოლოდ? და თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებლად უნდა ვალიართოთ, რომ ჩვენი სული მანამდე არსებობდა სადღაც, სხეულს შეიმოსდა სანამ კაცისას.

— რაც შემიხება მე, — თქვა კებესმა, — ეგ მოსაზრება მაშინაც საოცრად დამაჯერებელი მეჩვენა და არც ახლა შემცვლია აზრი.

— მეც აგრე მეჩვენება, — გააწყვეტინა სიმია, — და, აღბათ, ძალზე განცვიფრებული დავრჩებოდი, თუ ოდესმე სხვაგვარად წარმომიდგებოდა ეგ.

— მაგრამ, ჩემო თებელო სტუმარო, — თქვა სოკრატემ, — შენ იძულებული იქნები გამოიცვალო აზრი, თუ ისევ გჯერა, რომ პარმონია რთული საგანია და რომ სული ერთგვარი პარმონიაა, იმავე საწყისთა შერწყმით მიღებული, რომელთაგანაც შედგება სხეული; რადგან თვითონვე უარყოფდი საკუთარ სიტყვებს, თუ იტყოდი, რომ პარმონია მასზე იდრე იშვა, რისგანაც უნდა იშვას იგი. ან, იქნებ დაუშვებ ამას?

— არატრისდიდებით, ჩემო სოკრატე, — მიუგო მან.

— მაგრამ, — გააწყვეტინა სოკრატემ, — ამჩნევ თუ არა შენ, რომ სწორედ ამას ამტკიცებ, როცა ამბობ, რომ სული მანამდე არსებობდა, სხეულს შეიმოსლა ხანამ კაცისას და რომ ის იმ საწყისთაგან შედგება, რომელნიც ჯერ კიდევ არ არსებობენ? რადგან ჰარმონია სრულიადაც არაა ის, რასაც შენ მას ამსგავსებ. პნრიქით, ცხადია, პირველად ღირა, სიმები და ჯერ კიდევ არაჰარმონიული ბგერები ჩნდებიან, ხოლო ჰარმონია მათგან იღებს დასაბამს და მათზე ადრე იღუპება ბოლოს. ახლა მითხარი, ეთანხმება თუ არა ეგ დასკვნითი ნაწილი შენი სიტყვისა მის საწყის ნაწილს?

— არ ეთანხმება, — მიუგო სიმიამ.

— მაგრამ თუ სიტყვის ერთი ნაწილი მეორეს უნდა ეთანხმებოდეს, — თქვა სოკრატემ, — უპირველეს ყოვლისა ეს მოეთხოვება სიტყვას, რომელიც ჰარმონიას ეხება.

მართალი ბრძანდება, — თქვა სიმიამ.

— კი მაგრამ შენი სიტყვის ნაწილები რომ არ ეთანხმებიან ერთმანეთს? ამიტომ დაუფიქრდი შენს წინაშე მდგარ დილემას — ან სწავლა არის მოგონება, ან სულია ჰარმონია — და მითხარი, რომელს ირჩევ ორთაგან?

— ცხადია, პირველს, ჩემო სოკრატე, — მიუგო მან, — რადგან მეორეს ანგარიშმიუცემლად დაგუწყე მტკიცება, მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითი მსგავსებისა და აღბათობის საფუძველზე, როგორც უმრავლესობას სჩვევია კაცთა მაგრამ მე ისიც ვიცი, რაოდენ ყალბია ყველა მტკიცება, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითს მსგავსებაზეა დაფუძნებული, რაოდენ გვაბნევს და გვატუნებს, როცა სიფრთხილით არ ეყვიდებით მას. ასეა გეომეტრიაში, ასეა ცოდნის ყველა სხვა დარგშიაც. ხოლო მტკიცება მოგონებისა და

სწავლის შესახებ ისეთ მყარ საფუძველს ემყარება, რომ, ღმერთმანი, ღირს მისი მიღება. რადგან, ხომ ითქვა უკვე რომ, ვიდრე სხეულს შეიმოსდეს კაცისას, ჩვენი სული არსებობს, როგორც არსი, ჭეშმარიტად არსებული არსი. მე მაშინვე ვაღიარე ამ მოსაზრების სისწორე და, მწამს, არც შევმცდარვარ. ამიტომ იძულებული ვარ, აღარაფის ვათხოვა ყური, არც ჩემს თავს და არც ვინმე სხვას, ვინც ამტკიცებს, რომ სული ჰარმონიაა.

XLII

— ერთი ასეთი კითხვაც, ჩემო სიმია, — განაგრძო სოკრატემ, — როგორ გგონია, განა ჰარმონია, ან რომელიმე სხვა ნაერთი ძირფესვიანად უნდა განსხვავდებოდეს მისი შემადგენელი ნაწილებისაგან?

— არა, არ უნდა განსხვავდებოდეს.

— განა შეიძლება ჰარმონია ქმნიდეს ან განიცდიდეს მას, რასაც მისი ნაწილები არ ქმნიან და არ განიცდიან?

— არ შეიძლება.

— და ბოლოს, განა შეიძლება, ჰარმონია კი არ მისდევდეს, წინ უძღოდეს ნაწილებს თვისას?

— არც ეგ შეიძლება.

— მაშასადამე, შეუძლებელია ჰარმონია სხვაგვარად ირხიოდეს, სხვაგვარად ეღერდეს ან, ასე თუ ისე, უპირისპირდებოდეს თავის ნაწილებს.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მან.

— და მერე, ყველა ჰარმონიის ბუნება ხომ 'შემადგენელ ნაწილთა ძნობითა და თანხმობითა განპირობებული'?

— აი, ეგ არ მესმის, — თქვა სიმიამ.

— ნუთუ ვერ ხედავ, რომ რაც უფრო სრულია და მაღალი ძნობა (თუკი, საერთოდ, შესაძლებლად მივიჩნევთ ამას), მით უფრო სრულია და მაღალი პარმონია, და პირიქით, რაც უფრო დაბალი და არასრულია ძნობა, პარმონიაც მით უფრო დაბალია და არასრული.

— ჭეშმარიტად.

— მაგრამ როცა სულთან გვაქვს საქმე? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ერთი სული, თუნდაც ერთის იოტით, უფრო მეტად ან უფრო ნაკლებადაა სული, ვიდრე მეორე?

— არაფრისდიდებით.

— ახლა ეგ მითხარი, ზევსის გულისათვის. — გახავრძო სოკრატემ. — ამბობენ ხოლმე, ერთი სული გონიერია, სათნო და კეთილი, მეორე კი — უგუნური, ბიწიერი და ბოროტი. როგორ გგონია, მართალს ამბობენ?

— ცხადია, მართალს.

— მაგრამ რას იტყვიან სულის სათნოებისა და ბიწის შესახებ ისინი, ვინც მას პარმონიად თვლიან? იტყვიან, რომ სათნოება პარმონიაა, ხოლო ბიწი დისპარმონია? და რომ სათნო სულიც თავისი ბუნებით პარმონიაა და მეორე პარმონიას ატარებს თავის თავში, ბიწიერი კი — დისპარმონიაა და თავის თავში არ ატარებს სხვა პარმონიას?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი მაგას, — მიუგო სიმამ.

— მაგრამ ცხადია, რაღაც ამგვარს იტყვიან ისინი, ვინც სულს პარმონიად თვლიან.

— მაგრამ ჩვენ უკვე შევეთანხმდით, — თქვა მან, — რომ არც ერთი სული არაა უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად სული, ვიდრე მეორე. ეს კი იმის აღიარებას ნიშნავს,

რომ არც ერთი პარმონია არაა უფრო მეტად ან, პირიქით, უფრო ნაკლებად პარმონია, ვიდრე მეორე. აგრე არაა?

— რა თქმა უნდა.

— ხოლო, რაკი პარმონია არც უფრო მეტადაა პარმონია, არც უფრო ნაკლებად, არ შეიძლება უფრო მეტად პარმონიული იყოს იგი ან უფრო ნაკლებად.

— რასაკვირველია

— და, რაკი არც უფრო მეტადაა პარმონიული, არც უფრო ნაკლებად, როგორ გგონია, პარმონიასთან მეტად ან ნაკლებად წილნაყარი იქნება ის თუ მხოლოდ თანაბრად?

— მხოლოდ თანაბრად.

— ამრიგად, სული, რაკი ისიც არც უფრო მეტადაა სული არც უფრო ნაკლებად, ვიდრე მეორე, არ შეიძლება უფრო მეტად პარმონიული იყოს, ან, პირიქით, უფრო ნაკლებად.

— დიახ.

— და თუ ეს ასეა, შეუძლებელია ერთ სულს დისპარმონიასა თუ პარმონიაში უფრო მეტი წილი ედოს, ვიდრე მეორეს.

— რა თქმა უნდა.

— მაშასადამე, თუ სათნოება პარმონიაა, ხოლო ბიწი დისპარმონია, განა შეიძლება ერთი სული უფრო მეტად სათნო იყოს ან ბიწიერი, ვიდრე მეორე?

— არაფრისდიდებით.

— მე გგონია, აჯობებს ვთქვათ, ჩემო სიმამ, რომ ბიწს ხელი არა აქვს სულთან, თუკი სული პარმონიაა. რადგან პარმონია, თუ ის მართლა პარმონიაა, სიხლოვეს არ გაიქარებს დისპარმონიას.

— რა თქმა უნდა, არ გაიკარებს.

— ისევე როგორც სული, თუ ის მართლა სულია, —
ბიწს.

— მეტი რა გვეთქმის იმის შემდეგ, რაც უკვე ითქვა.

— ამრიგად, ჩვენი მსჯელობის თანახმად, ყველა სულ-
დგმულის სული თანაბრად კეთილი იქნება ჩვენთვის, თუ
ყველა სული თავისი ბუნებით სულია მხოლოდ, სხვა არა-
ფერი.

— აგრე გგონია, ჩემო სოკრატე, — თქვა სიმიაშ.

— მაგრამ შენ, იქნებ, ისიც გგონია, რომ ეს კარგად
არის ნათქვამი და რომ სწორედ ასეთ დასკვნამდე მსვილო-
დით, თუ მართალი ყოფილიყო შენი აზრი სულისა და პარ-
მონიის იგივეობის შესახებ?

— არა, ღმერთმანი, ეგ უკვე აღარ გგონია, — მიუგო
მან.

XLIII

— ახლა მითხარი, — განაგრძო სოკრატემ, — გარდა
სულისა სხვას რას ჰპოვებ კაცში ისეთს, რასაც ხელთ ებუ-
რას შეუფლება, მით უმეტეს, თუ ეგ სული ბრძენი სულია.

— სხვას ვერაფერს.

— როგორ გგონია, სული თავის ნებაზე უშვებს სხეუ-
ლის ვნებებს თუ ეწინააღმდეგება მათ? აი, რა მინდა ვითხ-
რა: როცა ცხელა და კაცს სწყურია, სული სულ სხვას ეუბ-
ნება — ნუ სვამო, ურჩევს, ვშიერს — ნუ ჭამო და ასე შემ-
დეგ; შეიძლება ათასი მსგავსი მაგალითი მოგიყვანოთ იმის
ნათელსაყოფად, თუ როგორ ეწინააღმდეგება იგი სხეუ-
ლის ვნებებს, არა?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ ჩვენ ხომ უკვე შევთანხმდით, რომ სულს, თუ
ის პარმონიაა, მხოლოდ ისეთი ქღერა შეიძლება ჰქონდეს,
როგორსაც მას მიანიჭებს მოშვება, დაჭიმვა ან ნებისმიერი
სხვა ცვლილება მისი შემადგენელი ნაწილებისა, რომელთაც
წინ კი არ შეიძლება უძლოდეს, არამედ უკან მასდევდეს
უნდა.

— შევთანხმდით, — მიუგო სიმიაშ, — სხვაგვარად არც
შეიძლებოდა.

— მე რე, ამის ნაცვლად რას ეხედავთ ახლა? გამოდის,
რომ სული წინ უძღვის და წარმართავს ყველა იმ ნაწილს,
რომელთაგან, როგორც ამბობენ, თვითონ შედგება, მთელი
სიცოცხლის განმავლობაში ყოველნაირად ეწინააღმდეგე-
ბა მათ და, მკაცრი მბრძანებელივით, ზოგს სასტიკად უს-
წორდება და თრგუნავს ვიმნასტიკისა და მედიცინის საშუ-
ალებით, ზოგს კი — უფრო ღმობიერად, მხოლოდ მუჭარით
და შეგონებით; ეს მაშინ, როცა საქმე ეხება ვნებებს, რისხ-
ვას, შიშსა თუ ძრწოლას, თითქოს მათი ბუნება საეხეებით
განსხვავდებოდეს თვითონ მისი საკუთარი ბუნებისაგან,
სწორედ ამას გულისხმობს პომეროსი, როცა „ოდისეაში“
ამბობს, რომ ოდისეესმა —

„მკერდს მჯილი იკრა და გულს აგრე უთხრა ბორგნეულს:
დამშვიდდი, გულო, უარესი დავიამუნია“¹.

იქნებ გგონია პომეროსი იტყოდა ამას, სული რომ პარ-
მონიად მიეჩნია, რომელსაც სხეულის ვნებები მართავენ?
პირიქით, პოეტი, აღბათ, თელიდა, რომ სული თვითონ მარ-

თავს და წინ უძღვის ვნებებს და რომ ის გაცილებით უფრო ღვთაებრივია, ვიდრე პარმონია, არა?

— ვიფიცივე ზევსს, აგრე მგონია, ჩემო სოკრატე.

— ამრიგად, ჩემო საყვარელო, ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ სული პარმონიაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც პომეროსს დავეთანხმებოდით. მაგ ღვთაებრივ ბოეტს, და ვერც საკუთარ თავს.

— აგრეა, — მიუგო სიმამ.

XLIV

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა სოკრატემ, — თებელ პარმონიას! როგორც იქნა მოვუღბეთ გული, მაგრამ როგორ, რა სიტყვებით მოვალბოთ კადმოსი, ჩემო ძვირფასო კებეს?

— მე მგონია, — მიუგო კებესმა, — შენ შეძლებ ამას, რაკი, წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, აგრე საოცარის ხელოვნებით დაამტკიცე, რომ სული არ არის პარმონია. როცა სიმამ თავის ეჭვებს და გასაჭირს გვაცნობდა, მე შეშფოთებული ვფიქრობდი, ვის შეძლებს სათანადო პასუხი გასცეს-მეთქი მას. მით უფრო განცვიფრებული დავრჩი, როცა მან შენი პირველი შეტევაე ვერ მოიგერია. ამიტომ არ გამიკვირდება, თუ კადმოსიც მალე დაემხობა შენს წინაშე.

— ნუ აჭარბებ, ჩემო ძვირფასო, — თქვა სოკრატემ, — თორემ, შესაძლოა, მოშურნე თვალმა წინასწარ გათვალოს ის, რის თქმასაც აწი ვაბირებთ. თუმცა, მოდი, ეს ღვთაების ნებას მივანდოთ, ჩვენ კი პომეროსის გმირებობით შევებათ ერთმანეთს და ვნახოთ, მართალს ამბობ თუ არა. მთავარი,

რასაც შენ ეძებ, ეგაა: შენ გსურს დავამტკიცოთ, რომ ჩვენი სული მართლაც უკვდავია და უხრწნელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ ფილოსოფოსის რწმენა, რომელიც უშიშრად ეგებება კარს მომდგარ სიკვდილს, რადგან სჯერა, რომ, რაკი ფილოსოფოსის სიცოცხლით ეოცხოვდა, იმქვეყნად გაცილებით უფრო დიდ ბედნიერებას ეზიარება, ვიდრე ის. ვინც სხვაგვარად განვლო წუთისოფელი, — მღვდის რწმენას ემსგავსება და დამთხვეულის. ის აზრი, რომ სული ძღვევა მოსილია და ღმერთის ნადარი და რომ ის მანამდეც არსებობდა, სანამ კაცებად ვიქცეოდით ჩვენ, შენის ღრმა რწმენით, სრულიადაც არ ამტკიცებს სულის უკვდავებას; ის, უმაღლეს, დღეგრძელობას გვიმოწმებს სულისას, რომელიც აღრეც, წარმოუდგენლად ხანგრძლივი ღრთის განძავლობაში, არსებობდა სადღაც, მრავლის მცოდნე და მრავლის მოქმედი. მაგრამ აქედან სრულიადაც არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ის უკვდავია და უხრწნელი, რადგან კაცის სხეულში შესვლა ერთგვარი სნებაა მისთვის და დასაბამი მისი კვდომისა. და ჰგვის აგრე შეჭირვებული სული ამქვეყნად, ვიდრე საბოლოოდ არ დაინგრევა ეგრეთ წოდებული საკვდილის მიერ. ხოლო რაც შეეჩება ჩვენს შიშს სიკვდილის მიმართ, შენ ამბობ, რომ, სულ ერთია, სული მრავალგზის განსხეულდება თუ მხოლოდ ერთხელ, ყოველი ჰქუათამყოფელი კაცი უნდა უფრთხოდეს სიკვდილს, რადგან არ იცის და არც შეუძლია იცოდეს, რომ მისი სული მართლაც უკვდავია და უხრწნელი. ჩემის აზრით, შენ სწორედ ამას ამტკიცებ, კებეს. მე განზრახ კიდევ ერთხელ გავიმეორე ეგ, რათა არაფერი გამოგვპარვოდა და თანაც, თუ ისურვებდი, რამე დაგემატებინა ან დაგეკლო მისთვის.

მაშინ კვბებსა — ამეიამად ვერაფერს დავუმატებ, ვერც და-
ჯაკლებო, — თქვა, — სწორედ ეგაა ის, რასაც ვამტკიცებ.

XLV

სოკრატე დადხანს დუმდა, ფიქრში წასული. მერე მან
თქვა: — ძნელი საკითხის გადაჭრა გახვიზრახავს, ჩემო
ძვირფასო კვბებს, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ გვძარტებს
საფუძვლიანად გამოვიკვლიოთ მიზეზი შობისა და კვლო-
მისა საერთოდ. თუ ვნებავს, გეტყვი, რა ვადაძნადა თავს შავ
მიზეზის კვლევისას; შენ კი, თუ შენთვის სასარგებლოდ მი-
იჩნევ ჩემს სიტყვებს, შეგიძლია გამოიყენო ისინი, რათა
შენივე მოსაზრება ირწმუნო თავად.

— ცხადია, მნებავს, — მიუგო კვბებსმა.

— მაშ, მისმინე. ახალგაზრდობაში მე, ჩემო კვბებს, გა-
საოცარის ძალით მიზიდავდა ის შეცნობა, რომელსაც
ბუნებისმეტყველებამ ჰქვია; რადგან უმადლეს ცოდნად ვთვლი-
დი თვითვეული საგნის მიზეზთა ცოდნას; რა ჰბადებს მას,
რა ჰკლავს, რა აძლევს ნიჭს არსებობისას? ხშირად ვიცვლი-
დი აზრს, ვიკვლევდი რა უპირველეს ყოვლისა შემდეგს:
როდის ჩნდებიან ქვეყნად სულდგმულნი? მაშინ ხომ არა,
როცა, ზოგიერთთა მტკიცებით, ხრწნას იწყებენ ცივი და
ცხელი? რა არის ის, რითაც ვაზროვნებთ: სისხლი⁶, ჰაერი⁷ თუ
ცეცხლი⁸? ან, იქნებ, არც ერთი მათგანი, და ტვინი⁹ გვაძლევს
სმენის, ხედვისა და ყნოსვის გრძნობათა ნიჭს, რომელთაგა-
ნაც იბადება მოგონება და წარმოდგენა, ხოლო ჩამოყალი-
ბებული და მოწესრიგებული მოგონებისა და წარმოდგენი-

საგან დასაბამს იღებს ცოდნა? და მერე, როცა მივიქცევი
იმის ჰერეტად, თუ როგორ იღუპება ყოველივე ეს, როგორ
იცვლება ცა და მიწა, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მი-
ვედი, რომ სრულიად უმწეო და უსუსური ვიყავი ამგვარი
სახის კვლევა-ძიებინათვის. აჰა, უტყუარი საბუთიც ამისა:
უწინ რაღაც მაინც მესმოდა ნათლად, აგრე მეგონა მე და
ეგონათ სხვებსაც; ხოლო ჩემმა კვლევა-ძიებამ იმდენად და-
მივსო თვალი, რომ იმასაც კი ვეღარ ვარჩევდი, რაზეც მა-
ნამდგ „ვიცი-მეთქი“ შემეძლო მეთქვა. მრავალთაგან ერთ
მაგალითს მაგიყვან მხოლოდ: როგორ იზრდება კაცი? ადრე
მეგონა ყველასათვის ცხადი იყო, რომ კაცს ჰამა ზრდის და
სმა. რადგან, საზრდელის წყალობით, ხორცი ხორცს რომ მი-
ვმატება, ძვალი — ძვალს, სხეულის ყველა სხვა ნაწილი —
თავის მსგავს ნაწილს, ის, რაც მცირე იყო, გაიზრდება და
გადიდდება და, ამრიგად, პატარა კაცი დიდად იქცევა-მეთ-
ქი? ვფიქრობდი მაშინ. როგორ გგონია, მართებულად ვფიქ-
რობდი აგრე?

— მე გგონია, მართებულად, — მიუგო კვბებსმა.

— მაშინ ამასაც დაუკვირდი. როცა პატარა კაცთან
მდგარ დიდ კაცს ვხედავდი, ან დიდ ცხენს — პატარა ცხენ-
თან მდგარს, ჩემთვის კმაროდა ასეთი დასკვნა: ერთი მეო-
რეზე დიდია იმიტომ, რომ მთელი თავით შალალია-მეთქი
მასზე. ან უფრო თვალსაჩინო მაგალითით: ათი რვაზე მეტი
მეგონა იმიტომ, რომ ორით აღემატება რვას, ხოლო ორი
წყრთა — ერთ წყრთაზე მეტი, რადგან ნახევრით სჭარბობს
მეორეს.

— კი მაგრამ, ახლა რას იტყვი ყოველივე ამის შესახებ? —
პკითხა კებესმა.

— ვიფიქრებ, — მიუგო სოკრატემ, — მე შორსა ვარ
იმ აზრისაგან, თითქოს მიზეზი ვიცოდე მათი. რადგან ისიც კი
არ მესმის, რომ, როცა ერთს უმატებენ ერთს, სწორედ ის ერ-
თი იტყევა ორად, რომელსაც მეორე ერთს უმატებენ, თუ ერ-
თი, რომელიც ემატება და ერთი, რომელსაც ემატება, ორივე
ერთად იძლევა ორს მიმატების ჩვენს წყალობით. მე ვგ მათ-
ცებს: როცა ორივე ცალ-ცალკე ეგო, თვითიული მათგანი ერ-
თი იყო და ორი ერთი არ იყო ორი, ხოლო როცა ერთმანეთს
მიუახლოვდნენ, სწორედ ეს მიახლოება და მიახლება გახდა
მათი ორად ქცევის მიზეზი. არც ის შემიძლია ვირწმუნო, რომ
როცა ერთს ორად პყოფენ, ეგ გაყოფა, თავის მხრივ, მიზეზი
ხდება ორად ქცევისა, რადგან ამ შემთხვევაში, ორი სრულიად
საპირისპირო გზით მიიღება. მიმატებისას ორს ამასტამ ვი-
ღებთ, რომ ორი ერთი ვახლება და ემატება ერთიმეორეს, გა-
ყოფისას კი, პირიქით, ერთი ერთი ეყრება და ეყოფა მეორეს.
სწორედ ასევე, არც ის მჯერა, თითქოს ვიცოდე, როგორ მიი-
ღება ერთი. მოკლედ რომ მოგჭრა, არ ვიცი და, თუ ამ გზას
გავეყვები, არც მეცოდინება, რატომ იხადება რამე, რატომ
ვვდება ანდა არსებობს. ამიტომ კვლევის სხვა გზას ვირჩევ
ალაღმედღზე, რადგან პირველი არაა ჩემი გზა.

XLVI

ერთხელ ასეთი რამ ვაგიგე: ვილაცხს, როგორც თვითონ ამ-
ბობდა, ანაქსაგორას წიგნში წაუკითხავს — გონებაა ის, რაც
ყოველს აწესრიგებს, გონებაა მიზეზი ყოველის! ამან დიდად

გამახარა და მაფიქრებინა, რომ გარკვეული თვალსაზრისით
მართალიც იყო გონების მიჩნევა ყოველის მიზეზად. მე ვამ-
ბობდი: თუ ეს ასეა, ცხადია, ყოველისგამრიგე გონება ისე
აწესრიგებს და ისეთ ადგილს უჩენს თვითიულ საგანს, რომე-
ლიც მისთვის უკეთესია-მეტქი. ამრიგად, თუ კაცი ისურვებდა
მიგნებას მიზეზისას, რომლის წყალობითაც ესა თუ ის საგანი
იხადება, იღუბება ანდა არსებობს, მას იმ პირობისათვის უნდა
მიეკვლია, რომელშიც ეს საგანი ყველაზე უკეთ არსებობს, ან
განიცდის თუ სხვას ვახაცდევინებს რამეს. აქედან გამომდინა-
რე, მე ეფიქრობდი, როგორც ამ საგნის, ისე ყველა სხვა საგ-
ნისთვისაც კაცი მხოლოდ მას უნდა ეძებდეს, რაც ყველაზე
უკეთესია და სრულქმნილი-მეტქი; ხოლო ვინც იცის უკეთესი,
უთუოდ შეიცნობს უარესსაც, რადგან ერთის ცოდნა მეორის
ცოდნასაც გულისხმობს. ასე ვფიქრობდი და მიხაროდა, რომ
ანაქსაგორას სახით ვპოვე მიაძღვარი, რომელიც, ჩემის სურ-
ვილისამებრ, ამიხსნიდა ყველა მოვლენის მიზეზს, უპირველეს
ყოველისა კი მეტყუოდა, როგორია მიწა — ბრტყელი თუ მრგვა-
ლი, ხოლო რაკი ამას მეტყუოდა, იმის მიზეზს და აუცილებლო-
ბასაც მამცნობდა, რატომაა ეს უკეთესი და რატომ სჯობია
მიწისთვის, რომ სწორედ ასეთი იყოს, ე. ი. ბრტყელი ან
მრგვალი. მერე თუ ანაქსაგორა იტყოდა, მიწა სამყაროს
ცენტრში მდებარეობსო, მე ვიმედოვნებდი, იმასაც ამიხსნიდა,
რატომაა უკეთესი, რომ ის სამყაროს ცენტრში მდებარეობ-
დეს სწორედ. ხოლო თუ ამას დამიმტკიცებდა, მზად ვიყავი
ყველა სხვა მიზეზის ძიებაზე ამელო ხელი. სწორედ ასევე
ვემზადებოდი რამე გამეგო მზის, მთვარის, სხვა მნათობების,
მათი შეფარდებითი სისწრაფის, მათი მოძრაობისა და ცვლი-
ლებების შესახებ: რატომაა უკეთესი, რომ თვითიული მო-

ძრავს ასე, ან განიცდის მას, რასაც განიცდის? რაჟი ანაქსა-
გორა გონებას მიიჩნევდა ყოვლისგამრიგად, ვერ წარმომედ-
გონა, რომ ის სხვა მიზეზს დაუწყებდა ძებნას და არ იტყოდა,
მათთვის უკეთესია ეგონ ისე, როგორც ჰვიანო. მე მეგონა,
ის, ეინც ამისნიდა როგორც ერთი, ისე ყველა მოვლენის მი-
ზეზს, იმასაც შეტყოდა, რა უკეთესა რაგორც ერთისთვის,
ისე ყველასთვის ერთად. მე ისე ძვირად მიღირდა მაშინ ჩემი
იმედი. ამიტომ დიდის გულმოდგინებით ჩავუყვი წიგნებს და
პირდაპირ შთაგნთქე ისინი, რათა რაც შეიძლება მალე ვზი-
არებოდი ყველაზე უკეთესის და უარესის ცოდნას.

XLVII

მაგრამ რა მალე გამიცრუვდა იმედი, ჩემო მეგობარო! რაც
უფრო წინ მივიწვედი წიგნის კასხვისას, მე ვხუდავდი კაცს,
რომელიც არაფრად აგდებს გონებას და საგანთა შორის არ-
სებული წესრიგის მიზეზად მას კი არ თვლის, არამედ ჰაერს,
ეთერს, წყალს და სხვა მრავალ უადგილო და უაზრო რამეს.
ამან ჩემზე ზუსტად ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორ-
საც მოახდენდნენ მისი სიტყვები, ვინც აგრე მოჰყვებოდა
მტკიცებას: ყველაფერს, რასაც სოკრატე აკეთებს, გონების
კარნახით აკეთებსო და მერე, როცა თვითეული ჩემი ქმედე-
ბის მიზეზზე დაიწყებდა ლაპარაკს, უპირველეს ყოვლისა
იტყოდა, თითქოს დღეს აქ იმიტომ ვზივარ, რომ ჩემს სხეული
ძვლებსა და კუნთებისგან შედგება, რომ ძვლები მკვრივია
და სახსრებით ვაყოფილი ერთმანეთისაგან, ხოლო კუნთებს
დაჭიმვის და მოდუნების უნარი შესწევთ, რომ ძვლებს გარე-
დან ხორცი აკრავს, ხორცს კიდევ — კანი, ამიტომ, რაჟი ძვლე-

ბი თავისუფლად მოძრაობენ სახსრებში, ხოლო კუნთებს უნა-
რი შესწევთ დაჭიმვის და მოდუნებისა, მე შემიძლია ასოები
მოვხარო ჩემი და იმის მიზეზიც ესაა, რომ დღეს აქ ვზივარ,
აგრე მოხრილი. ასეთსავე უაზრობას იტყოდა ისიც, ვინც
თქვენთან ჩემი საუბრის მიზეზად ხმას, ჰაერს, სმენას თუ
ათას სხვა მსგავს რამეს მიიჩნევდა და ერთის სიტყვითაც არ
შეუხებოდა ჰერმარტ მიზეზს, რომელიც იმაში მდგომარეობს,
რომ მას შემდეგ, რაც ათენელებმა უკეთესად მიიჩნიეს ჩემი
დამნაშავედ ცნობა, მეც, ჩემის მხრივ, უკეთესად ჩავთვალე აქ
ემქლაროყავი და მშვიდად დავლოდებოდი სასჯელს, რომელიც
მე მომესაჯა. რადგან, ძალს გეფიცებით, ჩემი ძვლები და ჩე-
მი კუნთები დიდი ხანია უკვე შეგარას იქნებოდნენ, ან ბეოტი-
ას, მე რომ ეს უკეთესად მიმეჩნია და არ მეფიქრა — გაქცე-
ვასა და გაპარვასზე ბევრად უფრო უმჯობესია და მართებული
აქ დავრჩე და შოვიზადო სასჯელი იგი, რომელიც ქალაქმა
მომისაჯა-მეთქი ამრიგად, ყოველივე ამის მიზეზად მიჩნევა
ფრიად უაზროა და უცნაური. თუ ვინმე ასე იტყოდა: რომ
არ გქონდეს ძვლები, კუნთები, ერთის სიტყვით, არ გქონდეს
ის, რაც გაქვს, შენ ვერ შეძლებდი განზრახულის სისრულე-
ში მოყვანასო, უთუოდ მართალს იტყოდა იგი. მაგრამ თუ ის
იტყოდა, რომ სწორედ ჩემი ძვლები და კუნთებია მიზეზი
იმის კეთებისა, რასაც ვაკეთებ, და რომ თუმცა გონების კარ-
ნახით ვაკეთებ ყველაფერს, მაგრამ არა უკეთესის შერჩევის
მიზნით, ეგ აშკარა სისულელე იქნებოდა მისი მხრივ. რადგან
ეს ნიშნავს, ვერ გააჩიოთ რა არის მიზეზი და რა არის ის, რის
გარეშეც მიზეზი ვერასდროს ვერ იქნებოდა მიზეზი. მე მეო-
ნია, კაცთა უმრავლესობა სწორედ ამ უკანასკნელს დაეძებს
ჩელის უათუროთ, ბნელში მოართლთა მსგავსად, და მიზეზის

სახელს რომ უწოდებს ცრუ-მიზეზს, ჭეშმარიტ მიზეზად ასა-
დებს მას. ამიტომია, რომ ზოგის აზრით მიწას ჰაერის შორევი
აქრავს, რომელიც მას უძრავად აჩერებს სამყაროს ცენტრში,
ზოგს კი ვრცელ ვარცლად წარმოუდგენია მიწა, რომელსაც
ჰაერი ებჯინება, როგორც საფუძველს⁵. ხოლო იმ ძალას, რომ-
ლის წყალობითაც თავის აწინდელ, ყველაზე უკეთეს მდგო-
მარეობაში ჰგვიყვამყვამ, კაცნი არ ეძებენ და არ ფიქრობენ,
რომ ლეთაებრივი ძალაა იგი. ამის ნაცვლად ისინი ეძებენ და
იმედოვნებენ პოვონ ატლანტი⁶, უფრო მძლავრი, უფრო უკე-
ლავი, უფრო სრულჭმნილი და ყოვლისმომცველი. ის კი ვერ
წარმოუდგენიათ, რომ მხოლოდ სიკეთით და აუცილებლობით
ერთდება და იკვრის ყოველი. ხოლო რაც შემეხება მე, დიდის
სიამოვნებით დაეუდგებოდი შეგირდად ყველას, ვინც შეძ-
ლებდა ეგ მიზეზი აეხსნა ჩემთვის. მაგრამ, რაკი ერთხელ ვერ
ვპოვე და, შერე, ვერც თვითონ მივაკვლიე, ვერც სხვისი დახ-
მარებით შევიცან იგი, ხომ არ გსურს, კებეს, მოისმინო ამბა-
ვი ჩემი მეორე ნაოსნობისა, რომელიც მაგ მიზეზის საძებნად
აღვასრულე იდუმალების წყლებში?

— დიხაც მსურს, — მიუგო მან.

XLVIII

— რაკი არსთა ძიებაზე ავიღე ხელი, — განაგრძო სოკრა-
ტემ, — გადავწყვიტე, ფრთხილად ვყოფილიყავი, რათა იგივე
არ მომსვლოდა, რაც მზის დაბნელების მჭვრეტელთ მოსდით
ხოლმე, რადგან ზოგი მზერას იფუჭებს, როცა პირდაპირ მზეს
უშვებს და არა მის ანარეკლს წყალში ოთ სხვა რამეში. რა-

დაც ამგვარი შეიძლება მეც დამმართოდა, ჰოდა ვშიშობდი,
ვაითუ სრულად დამეშრიტოს მხერა სულისა, თუ საგნებს
შიშველი თვალებით შევაცქერდები და ვეცდები გრძნობებით
მივწვდე-მეთქი თვითეულ მათგანს. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე
აზრისათვის მიმემართა და მისი მეოხებით მეძია არსთა ჭეშმა-
რიტი ბუნება. მაგრამ, შესაძლოა, ეს შედარება არც იყოს
ზუსტი, რადგან მე არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ, როცა კაცი
არსს იკვლევს და აზრით იკვლევს, მას უფრო უკეთ მაშინ
ჭერეტს თითქოს, როცა არსის ხატს უშვებს და არა თვითონ
არსს⁷. ასეა თუ ისე, მე ამ გზას დაეადექი და საფუძვლად ყო-
ველთვის იმ აზრს ვიღებ, რომელიც უფრო მტკიცე მეჩვენება
და ურყევი. ყველაფერი, რაც ამ აზრს ეთანხმება, ჭეშმარიტად
მიმაჩნია, სულ ერთია, საქმე მიზეზს ეხება, თუ ყველა სხვა რა-
მეს. ხოლო რაც მას არ ეთანხმება, ყალბია ჩემთვის. მე მინდა
უფრო ნათლად გაგავგებინო, რის თქმას ვაპირებ, რადგან,
ეფიქრობ, შენთვის არც ისე ცხადი უნდა იყოს ეგ.

— ჰო, არც ისე ცხადია, — მიუგო კებესმა, — ვიფიცავ
ზევსს.

XLIX

— თუმცა მე ახლაც მხოლოდ მას გეუბნები, რასაც წელან
გეუბნებოდით და რაც უწინაც მრავალგზის მითქვამს. მინდა
აგიხსნა ბუნება იმ მიზეზისა, რომელსაც ასე დიდხანს ვეძებ-
დი. ამიტომ ხელახლა ვუბრუნდები მრავალგზის თქმულს, სწო-
რედ მას ვიღებ ამოსავალ წერტილად და ვიმეორებ, რომ არ-
სებობს მშვენიერი თავის თავში, კეთილი, დიდი და ასე შემ-
დეგ სხვა დანარჩენი თუ შენ მეთანხმები და ჩემთან ერთად
აღიარებ, რომ ყოველივე ეს არსებობს, ვიმედოვნებ მათზე

დაყრდნობით ავიხსნა მიზეზი და გავიხსნა სიიღუმლო სულის
შეკვდავებისა.

— მე გეთანხმები, — მიუგო კებესმა, — ოღონდ ჩქარა
მამცნე ვოველი.

— მაშინ დაფიქრდი, — უთხრა სოკრატემ, — შენც ჩემსა-
ვით აღიარებ თუ არა შემდეგს? მე მგონია, თუ არსებობს
მშვენიერი გარდა მშვენიერისა თავისთავში, ის მშვენიერია
მხოლოდ იმიტომ, რომ წილნაყარია მშვენიერთან თავის თავში
და მასვე ვიტყვი ყველა სხვისთვისაც. აღიარებ თუ არა შენ
რომ სწორედ ესაა ამის მიზეზი?

— ვაღიარებ, — მიუგო მან.

— იმიტომ, — თქვა სოკრატემ, — მე არ მესმის და არც
ვცნობ არც ერთ სხვა ყურით მოთრეულ მიზეზს. თუ ეინმე მე-
ტყვის, მშვენიერი საგანი სხვა მიზეზის გამოაო მშვენიერი და
ამ მიზეზად მის ფერს მიიჩნევს, მის ფორმას ან სხვა მსგავს
რაიმეს, მე უყურადღებოდ ვტოვებ მის სიტყვებს, რომლებიც
მამღვრევენ და მამბნევენ მხოლოდ, და უბრალოდ, გულწრფე-
ლად და, შესაძლოა, ცოტა გულუბრყვილოდაც ვუბასუნებ —
საგანი მშვენიერია მეთქი იმიტომ, რომ ჭეშმარიტ, თავისთავად
მშვენიერთანაა წილნაყარი, თავისთავად მშვენიერს ზიარებუ-
ლი, მიუხედავად იმისა, თუ რა გზითაა წილნაყარი და ზიარე-
ბული. რადგან მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ მშვენიერს
მშვენიერი ანიჭებს მშვენიერებას. აი, ყველაზე სწორი პასუხი,
რომლითაც კი შემოძლია ვუბასუნსა რასგორც ჩემს თავს, ასე-
ვე სხვასაც. და თუ ამ აზრს ჩავეჭიდებით, არასოდეს წავი-
ბორძივებთ, არ მოვიტყუებთ თავს და სხვასაც არ მოვატყუე-
ვებთ, როდესაც ვიტყვით, რომ მშვენიერი მშვენიერთაა მშვე-
ნიერი. ვანა შენც ავრე არა გგონია?

— დიახ, ავრე მგონია მეც.

— სწორედ ასევე, სიდიდეა იმის მიზეზი, რომ დიდი დი-
ლია, უფრო დიდი კი — უფრო დიდი, ხოლო უფრო მცირე
სამცირის გამოა უფრო მცირე, არა?

— დიახ.

ამრიგად, შენ უკვე აღარ დაეთანხმები მას, ვინც იტ-
ყვის, რომ ერთი საგანი თავითაა მეორეზე უფრო დიდი ან
თავითვეაო უფრო პატარა. თანხმობის ნაცვლად შენ დაიწყებ
იმის მტკიცებას, რომ თუ ერთი საგანი მეორეზე უფრო დიდაა,
სიდიდითაა უფრო დიდი და რომ მხოლოდ სიდიდე ზღის მას უფ-
რო დიდად, ხოლო თუ ერთი მეორეზე უფრო მცირეა, სიმც-
რითაა უფრო მცირე და რომ მხოლოდ სიმცირე ზღის მას უფ-
რო მცირედ. რადგან, თუ იტყვი, რომ ერთი თავითაა მეორეზე
უფრო დიდი ან უფრო მცირე, სულ იმის შიშში უნდა იყო-
ვაიოთ უაიბათილონო ჩემი სიტყვები; მართლაც, ხომ შეუძ-
ლიათ გკითხონ, ჯერ ერთი, „როგორ? უფრო დიდი იმითვეა
უფრო დიდი, რითაც უფრო მცირე მცირეა უფრო?“ და მერე,
„უფრო თავი, ეგ ერთი ციციქნა თავიო იმის მიზეზი, რომ უფრო
დიდი დიდაა უფრო?“ მაგრამ შლევის მეტი ვინ იტყვის, დიდი
მცირითააო დიდი? თქვი, შეგაკართობდა თუ არა ეს?

კებესმა გაიცინა და — შემაკართობდაო, — უთხრა.

— სწორედ ასევე, შეგაკართობდა თუ არა იმის მტკიცებაც,
რომ ათი ორითაა რვაზე მეტი და რომ პირველი რიცხვი სწო-
რედ ამით სჭარბობს მეორეს და არა რაოდენობით და რაო-
დენობის წყალობით? ხოლო ორი წყრთა თითქოს იმითაა მე-
ტი ერთ წყრთაზე, რომ ნახევრით სჭარბობს ამ უკანასკნელს
და არა სიდიდის თვისის წყალობით? რადგან აქაც იგივე სა-
ფრთხე გმუქრება — გაბათილების.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მან.

— მერე? როცა ერთს ერთი ემატება ანდა ერთი იყოფა ორად, გაგვიჩივდება თუ არა იმის მტკიცება, რომ პირველ შემთხვევაში მიმატებაა მიზეზი ორის მიღებისა, ხოლო მეორეში — გაყოფა? აყვირდები თუ არა შენ, რომ არ იცი სხვა გზა, რომლითაც არსებობა ენიჭება თვითეულ საგანს, გარდა მისი თვითეულ იმ არსთან თანაზიარებისა, რომელიც თვითეულ მათგანს შეესაბამება და რომელსაც უნდა ეზიაროს იგი, და რომ, ამიტომ, არც ორის მიღების სხვა მიზეზს იცნობ, გარდა ორებისთან თანაზიარებისას, რადგან ის, რაც ორი უნდა გახდეს, ორებას უნდა ეზიაროს უთუოდ, ხოლო ის, რაც ერთი უნდა გახდეს — ერთებას! დაეხსნები თუ არა ყველა ამ გაყოფას, მიმატებას თუ სხვა ლამაზ-ლამაზ გარდაქმნებს, რათა ასეთი პასუხებით მათ გააბრუნონ მსმენელნი, ვინც შენზე მეტი იცის, ჩემო ძვირფასო; შეხ კი, როგორც იტყვიან, საკუთარი ჩრდილისა და უმეცრების შიშით შემკრთალი, ალბათ, ჩვენს მიერ მიღებულ ერთადერთ სწორ საწყისს ამოეფარები და მაგ საფარიდან გასცემ პასუხს ყველა ცნობისმოყვარეს. და მერე, თუ რომელიმე მათგანი შენი საფარის აღებას მოინდომებს და თავს დაგესხმება, განა უპასუხოდა არ დასტოვებ მის შემოტევას, სანამ გულდასმით არ აწონ-დაწონი ჩვენის საწყისიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგს და არ დარწმუნდები, ეთანხმებიან თუ არა ისინი ერთმანეთს? ბოლოს, თუ იძულებული გახდები ანგარიში ჩააბარო ვინმეს, განა საფუძვლად ახალ საწყისს არ აიღებ, შენის აზრით ყველა ძველზე უფრო მაღალს და სრულფასოვანს, ვიდრე არ მიადგები საგნებით კმასაყოფელ დასკვნას? ამასთან, თუ მოინდომებ არსთა შეცნობას, ერთმანეთში არ აურევ საწყისს და შედეგს, დავისმოყვარეთა?

მსგავსად, რომელთაც ფეხებზე აკილიათ ჭეშმარიტება და რომელნიც, მეტისმეტი სიბრძნის წყალობით, ყველაფერს ერთმანეთში ურევენ და ამითი მოაქვთ თავი. შენ კი, თუ მართლა ფილოსოფოსი ხარ, ვფიქრობ, ისე მოიქცევი, როგორც მე გირჩევ.

— თვით ჭეშმარიტება ლაღდებს შენი პირას! — ერთხმად შესძახეს კებესმა და სიმამ.

ეხეკრატე. ვიფიქვავ ზევსს, ისინი მართალნი იყვნენ, ფედონ. ვისაც ჭკუის ნასახი მაინც გააჩნია, ჩემის აზრით, უთუოდ უნდა გაეგო სოკრატეს სიტყვები, ისე ნათლად და დამაფერებლად ულაპარაკია მას.

ფედონი. ჰო, ჩემო ეხეკრატე, აგრე გვეჩვენა ჩვენც, მაშინ იქ მყოფთ.

ეხეკრატე. და როგორც ზედავ, ჩვენც, თუმცა მაშინ იქ არ ვყოფილვართ და ახლა შენგან ვისმენთ სოკრატეს სიტყვებს. მაგრამ ბარემ ისიც გვითხარი, რა ითქვა მერე.

L

ფედონი. მას შემდეგ, რაც სოკრატეს დაეთანხმნენ და აღიარეს, რომ თვითეული იდეა მართლაც არსებობს და რომ საგნები, რომელნიც ამ იდეებს ეზიარებიან, სწორედ მათგან იღებენ სახელს, თუ არ ვცდები, მან ასეთი კითხვა მისცა კებესს:

— თუ შენს აზრით ეს მართლაც ასეა, მაშინ, როდესაც იტყვი, სიმია სოკრატეზე უფრო დიდია, მაგრამ ფედონზე უფრო პატარაო, სხვას რას იტყვი, გარდა იმისა, რომ სიმიაში ჰკიფს ორივე, სიდიდეც და სიპატარავეც?

— რა თქმა უნდა, მაგას ვიტყვი მხოლოდ და მხოლოდ.

— მაგრამ ამითი შენ აღიარებ, რომ წინადადება „სიშია უფრო დიდია, ვიდრე სოკრატე“ არასწორად ასახავს სინამდვილეს, რადგან სიშია სოკრატეზე უფრო დიდია. არა იმიტომ, რომ ის სიშიაა, არამედ მხოლოდ სიდიდის წყალობით, რომელიც მას ურგო წილად. ზუსტად ასევე, სიშია სოკრატეზე უფრო დიდია არა იმიტომ, რომ სოკრატე სოკრატეა, არამედ იმიტომ, რომ, სიშიას სიდიდესთან შედარებით, სოკრატეს სიმცირე ხვდა წილად.

— მართალია.

— და ფედონიც იმიტომ როდია სიშიაზე უფრო დიდი, რომ ის ფედონია, არამედ იმიტომ, რომ, სიშიას სიმცირესთან შედარებით, სიდიდე მოსავს.

— აგრეა.

— ამრიგად, სიშიას შეიძლება ერთდროულად ეწოდოს დიდიც და პატარაც, რადგან ერთის სიმცირეს სიდიდით რომ აღემატება, მეორის სიდიდეს ჩამოუფარდება სიმცირით და ამიტომ საშუალო ადგილი უჭირავს მათ შორის.— აქ მან გაიღიმა და — მგონი მეტისმეტად დაგწერილმანდიო, თქვა, — მაგრამ რა ექნა, როცა ეს მართლა ისეა, როგორც მე ვამბობ.

კებესი აქაც დაეთანხმა.

— ხოლო ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა, შენც ჩემსავით სჯიდე. მე კი მგონია, რომ სიდიდე თავის თავში არ შეიძლება ერთდროულად დიდიც იყოს და მცირეც: ის კი არაა, ჩვენში გამოვლენილ სიდიდეც არასოდეს იღებს მცირეს და არ ითმენს, რომ მას აღემატონ. ორში ერთია: სიდიდე ან ილტვის და იმალება, როცა თავისი მოპირისპირე უახლოვდება — სიმცირე, ან თუ მცირე მიეახლა, წყვეტს არსებობას. მაგრამ მას არ შეუძლია მიიხსლოს სიმცირე, მიიღოს ის და, ამრიგად, დიკარ-

გოს თავისი რაობა და სხვა რამედ იქცეს. მაგალითისათვის მე გამოვდგები: ახლოს რომ მოვუშვი და მივიღე სიმცირე, სანამ მე მე ვარ, მცირე ვარ, ის კი ვერ ითმენს სიმცირეს, რადგან დიდია. ზუსტად ასევე, ჩვენში გამოვლენილი სიმცირეც ყოველთვის გაუბრის სიდიდედ ქცევას ანდა ყოფნას. და საერთოდ, ვერც ერთი მოპირისპირეთაგანი, ვიდრე ის ისაა, რაც არის, ვერ ითმენს თავის მოპირისპირედ ქცევას ანდა ყოფნას: ერთი ან ილტვის მეორისაგან, ან, თუ მეორე მიეახლა, წყვეტს არსებობას.

— მეც აგრე მგონია, — თქვა კებესმა.

LI

ეს რომ ესმა, ერთმა ჩვენგანმა (კარგად არ მახსოვს, კერძოდ რომელმაც) თქვა: — ღმერთო დიდებულო, კი მაგრამ, წელან ხომ იმაზე შევთანხმდით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს ახლანდელ მტკიცებას? მაშინ ჩვენ ვაღიარეთ, რომ მცირისგან დიდი იღებს დასაბამს და დიდისგან — მცირე და რომ ყოველი მოპირისპირე თავისი მოპირისპირესგან იბადება მხოლოდ. ახლა კი ირკვევა, რომ ეს შეუძლებელია.

სოკრატე მისკენ მიბრუნდა და უთხრა: — აფერუმ შენ ვაუკაცობას, სწორედ დროზე გამახსენე ეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევ განსხვავებას ჩვენს მაშინდელ და ახლანდელ სიტყვებს შორის. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ ყოველი მოპირისპირე საგანი თავისი მოპირისპირე საგნისაგან იღებს დასაბამს, ახლა კი ვამბობთ, რომ მოპირისპირე თავის თავში არასოდეს არ იქცევა თავისთავის მოპირისპირედ, არც ჩვენში და არც ბუნებაში. მაშინ, ჩემო მეგობარო, ლაპარაკი გვქონდა სავნებზე, რომელთაც მოპირისპირენი მოეძებნებოდათ და ამ მოპირ-

რისპირეთა სახელებით ვასახლებდით მათ, ახლა კი მხედველობაში გვყავს მოპირისპირენი თავის თავში, რომელთაგანაც იღებენ სახელს ის საგნები, რომლებშიც ისინი პვიან, ხოლო თვით ეს მოპირისპირენი დასაბამს არასდროს არ იღებენ ერთმანეთისგან. აქ მან კვებეს გადახედა და უთხრა: — რაო, კვებეს, ხომ არ შეგაკრთო მისმა სიტყვებმა?

— არა, — მიუგო მან, — განა ისევ ისე მხდალი ვარ, თუმცა ვერ ვიტყვი, აღარაფერს აღარ ძალუძს შემაკრთოს-მეთქი.

— მაშასადამე, — თქვა მან, — ჩვენ შევთანხმდით, რომ მოპირისპირე თავის თავში არასოდეს არ იქცევა თავის თავის მოპირისპირედ.

— ქეშმარიტად, — მიუგო კვებესმა.

LII

— ერთი ამასაც დაუკვირდი, — თქვა სოკრატემ, — და მითხარი, მეთანხმები თუ არა. შენ ხომ რაღაცას ცხელს უწოდებ და რაღაცას — ცივს?

— დიახ.

— მაგრამ რას გულისხმობ შენ. — ცეცხლსა და თოვლს?

— არა, ვიფიცივ ზევსს.

— მაშასადამე, ცხელი განსხვავდება ცეცხლისგან და ცივი — თოვლისგან, არა?

— დიახ.

— მე მგონია, ჩვენი წედანდელი მტკიცების თანახმად, შენ, ალბათ, იმასაც აღიარებ, რომ თოვლი, თუ მან ცხელი მიიღო, უკვე აღარ იქნება ის, რაც იყო, რადგან ერთად არ ეგებ მის თოვლი და ცხელი. ამიტომ, ცხელი რომ მიეახლება, თოვ-

ლი ან უკან დაიხევს და ადგილს დაუთმობს მას, ან უთუოდ დაიღუპება!

— რა თქმა უნდა.

— თავის მხრივ, ცეცხლიც, როცა მას ცივი მიეახლება, ან უკან დაიხევს, ან დაიღუპება; ხოლო თუ ცივი მიიღო, ცეცხლი უკვე აღარ იქნება ის, რაც იყო, რადგან ერთად არ ეგებების ცეცხლი და ცივი.

— მართალს ბრძანებ, — მიუგო მან.

— ამრიგად, არიან საგნები, რომელთა მიმართ შეიძლება ითქვას, რომ მართო მათი იდეა ეს არ ინარჩუნებს ყოველთვის ერთსა და იმავე სახელს, არამედ ავრთვევ სხვა რამ, რაც ამ იდეისაგან განსხვავდება, მაგრამ მისი ფორმა აქვს მანამ, სანამ ეგ საგნები არსებობენ. თუმცა, იქნებ, ამ მაგალითმა უფრო ბათლად გითხრას ის, რაც მე მსურს გითხრა: რას იტყვი, განა კენტი ყოველთვის იმ სახელით არ უნდა იწოდებოდეს, რასაც ჩვენ მას ვუწოდებთ ახლა?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ საკითხავი იმ ეს არის: მხოლოდ მას უნდა ეწოდებოდეს ეს სახელი, თუ სხვა რამესაც, რაც, მართალია, თვით კენტი არაა, მაგრამ ყოველთვის იწოდება კენტის სახელით, რადგან ბუნება მისი ისეთია, რომ არასოდეს არ წყდება კენტს. ამას რომ ვამბობ, სამს ვგულისხმობ და მრავალ სხვა რიცხვს. ავიღოთ სამი. როგორ გგონია, საკუთარ სახელთან ერთად სხვა სახელიც უნდა ეწოდოს თუ არა მას — კენტის სახელი, თუმცა კენტი სხვაა და სხვა არის სამი? ასეთია ბუნება სამის, ხუთის და, საერთოდ, რიცხვთა მთელი რაოდენობის ნახევრისა, რომელთაგან თვითეული, მართალია, განსხვავდება

კენტისგან, მაგრამ ამასთან კენტია მუდამ. იგივე ითქმის რიცხვთა მეორე ნახევრის, მაგ. ორის, ოთხის და სხვათა მიმართ: თეთვეული მათგანი განსხვავდება ლუწისგან, მაგრამ მაინც ლუწია მუდამ. მეთანხმები თუ არა შენ?

— აბა, როგორ არ დაგეთანხმო, — მიუვო კებესმა.

— ახლა დაფიქრდი, — თქვა სოკრატემ, — აი, რა მინდა გითხრა: როგორც ჩანს, არა მარტო ეგ ურთიერთობისპირე იდეები არ იღებენ ერთიმეორეს, არამედ არც საგნები. რომლებიც თუმცა ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, რაღაცას მაინც უპირისპირდებიან მუდამ. ამიტომ არ იღებენ იმ იდეის შობირასპირე იდეას, რომელიც მათში ჰვიეს, და როცა ეგ იდეა უახლოვდებათ, ისინი ან იღუბებიან, ანდა ადგილს უთმობენ მას. ვიტყვით თუ არა ჩვენ, რომ სამი, სანამ ის სამობს, უფრო უმალ დაიღუბება, ან დაითმენს სხვა რამ ცვლილებას, ლუწ რიცხვად იქცევა ვიდრე?

— რა თქმა უნდა, — მიუვო კებესმა.

— მიუხედავად იმისა, რომ ორი არ უპირისპირდება სამს.

— ცხადია.

— მაშასადამე, არა მარტო ურთიერთობისპირე იდეები არ აცარებენ სიახლოვეს ერთიმეორეს, არამედ პევერი სხვა რამეც არ უშვებს მოპირისპირის მოახლოებას.

— სრული სიმართლეა, — თქვა მან.

LIII

— ახლა, თუ გსურს, განსაზღვროთ ისინი, — თქვა სოკრატემ, — როგორც ძალგვიძს, ისე განვსაზღვროთ.

— ცხადია, მსურს.

— მაგრამ ისინი ხომ იმ ფენომენთა რიცხვს ეკუთვნიან,

90

ჩემო ძვირფასო კებეს, რომელსაც, რაშიაც არ უნდა გამოვლინდნენ, აიძულებენ მას, დაიმარხოთ არა მარტო საკუთარი იდეა, არამედ იდეა მოპირისპირისაც, რომელსაც მიწყვი უპირისპირდება რაღაც!

— რას ამბობ?

— მხოლოდ მას, რასაც წყლან ვამბობდი. შენ რა თქმა უნდა, იცი, რომ ის, რაშიც სამის იდეა ვლინდება, იძულებულია, არა მარტო სამი იყოს, არამედ კენტიც.

— რასაკვირველია.

— ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ საგანს ვერასდროს ვერ მიეახლება იმ იდეის მოპირისპირე იდეა, რომელიც ფორმას ანიჭებს მას.

— ვერა.

— ხოლო მას ფორმას ანიჭებს კენტის იდეა, არა?

— დიახ.

— კენტის იდეას კი ლუწის იდეა უპირისპირდება.

— დიახ.

— მაშასადამე, ლუწის იდეა ვერასდროს ვერ გამოვლინდება სამში.

— ვერასდროს.

— ამრიგად, სამი ლუწის იდეასთან წილუყრელია.

— წილუყრელია.

— ესე იგი სამი — კენტია.

— დიახ.

— აი, მე უკვე განვსაზღვრე ისინი, რომელნიც, მართალია, სწევებს არ უპირისპირდებიან, მაგრამ მაინც არ იღებენ მათ. ისევ ჩვენს შიგაღმის მიუებრუნდეთ: სამი არ უპირისპირდება ლუწს, მაგრამ მაინც არ იღებს მას, რადგან სამს ლუწის

91

მოპირისპირე მოპყვება მუდამ: სწორედ ასევე, ორს კენტის მოპირისპირე მოსდევს, ცეცხლს — ცივისა და ასე შემდეგ ახლა დაფიქრდი, ასე ხომ არ განსაზღვრავ ამას: არც ერთი მოპირისპირე არ იღებს თავის მოპირისპირეს, მაგრამ მართლ მოპირისპირენი როდი გაურბიან ერთიმეორეს. არა, ისიც, რასაც თან მოსდევს მოპირისპირე იმ საგნისა, რომელსაც იგი უახლოვდება, არასდროს არ იღებს თავისი თანამდევის მოპირისპირეს. მოდი, ერთხელ კიდევ მიუბრუნდი ზემოთქმულს (რადგან არ გვაწყენს მისი ხშირად გამეორება): ხუთი არასდროს არ მიიღებს ლუწს, ხოლო ათი, მრჩობლი ხუთი, — კენტს, დიახ, ევ მრჩობლი (ნუთო) არასდროს არ მიიღებს კენტის იდეას, მიუხედავად იმისა, რომ კენტი არ უპირისპირდება მას. სწორედ ასევე, ერთნახევარი, ნახევარი, მესამედი და სხვა მათი მსგავსი არასდროს არ მიიღებს მთელის იდეას, თუკი ჩემს აზრს იზიარებ და შეთანხმები.

— ცხადია, ვიზიარებ და შეთანხმები, — მიუგო კებესმა.

LIV

— ახლა თავიდან დაიწყე, — განაგრძო სოკრატემ, — მაგრამ იმ სიტყვებით კი ნუ მიპასუხებ, რომელთაც ჩემი კითხვები შეიცავენ, არამედ მომბაძე მე. აი, რა მინდა გითხრა: გარდა პასუხის მიგების იმ ზუსტი გზისა, რომელსაც ადრე მივმართავდით, ჩვენი ახლანდელი სიტყვების შემდეგ მე ვხედავ ახალ, არანაკლებ ზუსტ გზას. ვთქვით, მკითხე: რა უნდა გამოვლინდეს სხეულში, რომ ცხელი იყოს იგი? მე როდი გოპასუხებ — სიცხე-მეთქი, რადგან ეს იქნებოდა ზერულე, თუმცა ზუსტი პასუხი: არა, ჩვენს ახლანდელ სიტყვებს გავითვალისწინებ და უფრო დახვეწილ პასუხს გავცემ: ციცილი-მეთ-

ქი, გეტყვი. თუ მკითხავ: რა უნდა გამოვლინდეს სხეულში, რომ დასნეულდესო იგი? ჩემი პასუხი იქნება არა „სნება“, არამედ „ცხელება“. ხოლო კითხვაზე: რა უნდა გამოვლინდეს რიცხვში, რომ კენტი გახდესო იგი, მე არ გეტყვი კენტიო, არამედ ერთი და სხვა მისთანანი-მეთქი. დაფიქრდი, კარგად გესმის თუ არა, რას მოვითხოვ შენგან?

— ძალიან კარგად, — მიუგო მან.

— მაშინ მითხარი, — თქვა სოკრატემ, — რა უნდა გამოვლინდეს სხეულში, რომ ცოცხალი იყოს იგი?

— სული, — მიუგო კებესმა.

— მაგრამ ყოველთვის ასეა ეს?

— აბა, როგორ? — თქვა მან.

— მაშასადამე, სულს ყოველთვის სიცოცხლე შეაქვს მასში, რაშიც იგი ელინდება, არა?

— რა თქმა უნდა, — იყო პასუხი.

— მაგრამ სიცოცხლეს უპირისპირდება თუ არ უპირისპირდება რაღაც?

— უპირისპირდება, — მიუგო კებესმა.

— რა?

— სიკვდილი.

— ამრიგად, როგორც ზემოთ შეეთანხმდით, სული არასდროს არ მიიღებს მოპირისპირეს მისას, რაც მუდამ თანა სდევს მას!

— რა თქმა უნდა, არასდროს, — თქვა კებესმა.

LV

— მერე, რას ვუწოდებთ მას, რაც არ იღებს ლუწის იდეას?

— კენტს.
— ხოლო მას, რაც არ იღებს სამართლიანს ანდა მუსიკურს?

— ერთს არამართლიანს, — მიუგო მან, — მეორეს კი არამუსიკურს.

— კეთილი და პატიოსანი. ახლა მითხარი, რას ვუწოდებთ მას, რაც არ იღებს სიკვდილს?

— უკვდავს, — მიუგო კებესმა.

— მაგრამ სული ხომ არ იღებს სიკვდილს?

— არა.

— მაშასადამე, სული უკვდავია.

— უკვდავია.

— კეთილი, — თქვა მან. — როგორ გგონია, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ეს დამტკიცებულია?

— დამტკიცებულია და საგნებით დამაჯერებლადაც, ჩემო სოკრატე.

— მერედა, ჩემო ძვირფასო კებეს, — გააწვევტინა მან, — თუ აუცილებელი იქნებოდა კენტი უხრწნელი ყოფილიყო, განა უხრწნელი არ იქნებოდა სამიც?

— რა თქმა უნდა.

— და თუ აუცილებელი იქნებოდა უხრწნელი ყოფილიყო ის, რაც ცხელი არ არის, ყოველთვის, როცა ცხელს მიიტანდნენ ოთხლთან, განა ეს უკანასკნელი, მყისვე უკუ არ იქცეოდა, უვნებელი და დაუღონებელი? რადგან არ დაიღუბებოდა, არ დაპყარგავდა თავის რაობას და არ მიიღებდა ცხელს.

— მართალს ბრძანებ, — თქვა მან.

— სწორედ ასევე, თუ აუცილებელი იქნებოდა უხრწნელი

ყოფილიყო ის, რაც ცივი არ არის, ყოველთვის, როცა ცივს მიიტანდნენ ცეცხლთან, ეს უკანასკნელი კი არ დაქრებოდა და დაიღუბებოდა, არამედ უაუიქცეოდა, უვნებელი და დაუზრეტელი.

— უიპველად. — თქვა კებესმა.

— მაშინ უკვდავისათვისაც იგი უნდა ითქვას აუცილებლად. თუ უკვდავი ამავე დროს უხრწნელიცაა, შეუძლებელია სული დაიღუბოს, როცა სიკვდილი მიუახლოვდება მას. რადგან, როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, ის არასდროს არ მიიღებს სიკვდილს და მკვდრად არ იქცევა, ისევე როგორც სამი არ იქცევა ლუწად, ლუწი, თავის მხრივ. — კენტად, ხოლო ცეცხლი ანდა სიცხელე ცეცხლისა — ცივად. თუმცა აქ შეუძლიათ შენიშნონ: მართალია, ჩვენ შევთანხმდით, რომ ლუწის მიახლებისას კენტი არ იქცევა ლუწად, მაგრამ რა უშლის მას ხელს დაიღუბოს ამ მიახლების შედეგად და ადგილი დაუთმოსო ლუწს? ამ შენიშვნაზე ჩვენ ვერაფერს მივუგებთ მათ, ვერ ვიტყვით, რომ კენტი არ დაიღუბება, თუკი უხრწნელი არ არის კენტი. მაგრამ თუ შევთანხმდებით, რომ ის უხრწნელია, ჩვენ ადვილად შევძლებთ ბრძოლაში ჩაებათ მათთან და ვამტკიცოთ, რომ ლუწის მიახლებისას კენტი და სამი ილტვიან მისგან; იგივე შეგვიძლია ვთქვათ ცეცხლის, ცხელის და ყველა სხვა საგნისთვისაც. აგრე არაა?

— რა თქმა უნდა.

— მაშასადამე, უკვდავისთვისაც, რომელზედაც ჩვენ ვმსჯელობთ ახლა, თუ ვაღიარებთ, რომ უკვდავი ამავე დროს უხრწნელიცაა, ცხადია, სული უკვდავი კი არ იქნება მხოლოდ, არამედ უხრწნელიც. ხოლო თუ ამას არ ვაღიარებთ, სხვა საბუთის უნდა დავუწყოთ ძებნა.

— არა, ეგ უკვე ზედმეტად მიმაჩნია, — თქვა კებესმა, — რადგან თუ ზრუნა უწყერია უკვდავსა და მარადის მყოფს, რა იქნება მაშინ უზრუნელი?

LVI

— მე მგონია, — თქვა სოკრატემ, — ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ ღმერთი, იღუპა სიცოცხლისა და თუ ქვეყნად კიდევ არის რამე უკვდავი, არასოდეს არ იღუპება.

— ვიფიცავ ზევსს, — თქვა კებესმა, — მე მგონია, აქ ჩვენ დაგვეთანხმება ყველა კაცი, და, მით უმეტეს, ყველა ღმერთი.

— მაგრამ თუ უკვდავი ამავე დროს უზრუნელიცაა, განა შეიძლება უზრუნელი არ იყოს სული, რომელიც უკვდავია?

— არ შეიძლება.

— ამრიგად, როცა კაცს სიკვდილი უახლოვდება, როგორც ჩანს, მისი მოკვდავი ნაწილი კვდება, ხოლო უკვდავი თავს აღწევს სიკვდილს და უვნებელი და უზრუნელი ეცლება მას.

— როგორც ჩანს.

— მაშასადამე, ჩემო ძვირფასო კებეს, — თქვა მან, — სული უფრო უკვდავია და უფრო უზრუნელი, ვიდრე სხვა რამე და ამიტომ ჩვენი სულები უთუოდ უნდა არსებობდნენ პადესში.

— მე, ჩემო სოკრატე, — თქვა კებესმა, — არ შემიძლია რამე დავუმატო შენს სიტყვებს, ისევე, როგორც არ შემიძლია არ დავეთანხმო მათ. მაგრამ თუ სიმის ან სხვა ვინმეს რაიმეს თქმა სურს, კარგი იქნებოდა ახლავე ეთქვა, რადგან არ გიცი, როდის პოვებს ამაზე უფრო ხელსაყრელ მომენტს, რა

თა შემდგომისთვის გადასდოს ის, რისი თქმაც სურს ან ვაგონება.

— არა, — სიტყვა ჩაურთო სიმამს, — მას შემდეგ, რაც უკვე ითქვა, არც მე შემიძლია არ დავეთანხმო სოკრატეს. მაგრამ ჩვენი საგანი ისე დიდია, კაცის ბუნება კი ასე პატარა, რომ იძულებული ვარ ჩემდა უნებურად კვლავ ექვის თვალით ვუცქირო მას, რაც ჩვენგან ითქვა.

— შენი შენიშვნა, ჩემო სიმამ, — თქვა სოკრატემ, — მართებულია არა მარტო ჩვენს ახლანდელ, არამედ პირველ საწყისთა მიმართაც: რაიგილ სანდონიც არ უნდა ჩანდნენ თქვენს თვალში, ისინი უფრო ვულდასმით განხილვას მოითხოვენ მაინც. და როცა საფუძვლიანად გაარჩევთ მათ, თქვენთვის ისე სარწმუნონი გახდებიან ისინი, რამდენადაც კაცს შეუძლია ირწმუნოს ეს. ხოლო თუ მათ გაიცხადებთ, სხვა რამეს აღარ დაუწყებთ ძებნას.

— მართალს ბრძანებ, — თქვა სიმამს.

LVII

— ამრიგად, — განაგრძო მან, — მართებული იქნებოდა შეგვეგნოთ, კაცნო, რომ თუ სული უკვდავია, ის ზრუნვას მოითხოვს ჩვენგან არა მარტო იმ ხნის განმავლობაში, რასაც ამქვეყნიურ სიცოცხლეს ვუწოდებთ, არამედ მთელი დანარჩენი დროის მანძილზეც. და თუ ვინმე აგდებით ეპყრობა სულს, ეს შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მისთვის. მართლაც, სიკვდილი რომ ყველაფრისგან გვიხსნიდეს, ის პირდაპირ მისწრება იქნებოდა ზოროტათების, რომელნიც მისი წყალობით თავს დააღწიებდნენ საკუთარ სხეულს და, საკუთარ სულთან

ერთად, საკუთარ ბიწსაც. მაგრამ რაკი სული უკვდავია, მას ბიწისგან თავის დაღწევისა და ხსნის ერთადერთი გზა რჩება მხოლოდ: ამისათვის ის უკეთესი უნდა გახდეს, და უფრო ბრძენი. რადგან საიქიოს რომ აზურებს, სულს არაფერი მიჰყვება თან, ვარდა იმისა, რაც მას ამქვეყნად აცოცხლებდა და ზრდიდა და რასაც, როგორც ამბობენ, ჰადესს ჩასვლისთანავე მისთვის უდიდესი სარგებელი მოაქვს ანდა ზიანი. ვადმოცემით, ამქვეყნად თვითვე კაცს თავისი საკუთარი დემონი მფარველობს და ეგ დემონი სიკვდილის შემდეგ იქით მიუძღვის მას, სადაც ერთად თავმოყრილი მიცვალებულთა სულნი ელიან განაჩენს, რათა შემდეგ ჰადესს მიაშურონ იმ ჰეგემონთან ერთად, რომელსაც ევალება აქედან საიქიოს გადაიყვანოს ისინი. და როცა მიიღებენ მას, რაც უნდა მიეღოთ და სათანადო ხანს დაჰყოფენ იქ, დროის მრავალი და ხანგრძლივი მოქცევის შემდეგ სულნი უკანვე ბრუნდებიან მეორე ჰეგემონის წინამძღოლობით. მაგრამ ეგ გზა ისეთი როდია, როგორც ესქილეს ტელეფოსი აღწერს. მისი სიტყვით, ჰადესს მიმავალი გზა სწორია და პირდაპირი, მე კი ვფიქრობ, რომ ის არც სწორია, არც ერთადერთი, რადგან, რა საჭირო იქნებოდა ჰეგემონი, ან ვინ ასცდებოდა გზას, მხოლოდ ერთი რომ იყოს იგი? ჩემის აზრით, მას მრავალი ვანტოტება აქვს და მებოძირი, როგორც ჩვენი სამსხვერპლო და საწესო რიტუალები მოწმობენ ამას. გონიერი და ბრძენი სული მორჩილად მისდევს ამ გზაზე თავის წინამძღოლს და ისიც იცის, რისთვის მისდევს. ხოლო სხეულს ენებებით მიჯაჭვული სული, როგორც ზემოთ ვთქვით, კვლავ დიდხანს ბორიალობს მის ირგვლივ ამ ხილულ ქვეყნად, დიდხანს ურჩობს და იტანჯება, ვიდრე მისი მფარველი დემონი, ბოლოს და ბოლოს, ძალით არ

წარიტაცებს მას. და როცა მიიღწევს იმ ადგილს, სადაც სხვა სულნი ჰგიან, ამ უწმინდური, უსამართლო მკვლელობითა თუ სხვა მსგავსი ბოროტებით გასვრილი სულის დანახვაზე კრთებიან ისინი, ზურგს აქცევენ და გაუბიან მას, რადგან არ სურთ თან გაიყოლონ ან იახლონ იგი. მაშინ ის კვლავ ბორიალს იწყებს, ტყვილებით განაწამები, ვიდრე არ დაჰკრავს ეამი და მისთვის განკუთვნილი ტანჯვის სადგურისკენ არ წარიტაცებს აუცილებლობა. ხოლო სულს, რომელმაც წმინდად და შეურყვენელად განვლო წუთისოფელი, თვითონ დემონთბი მოუძღვიან იმ სადგურისაკენ, რომელსაც იმსახურებს იგი.

XVIII

მიწაზე მრავალი საოცარი სადგურია, თვითონ კი არც ისეთია და არც იმ ზომისა, როგორც წარმოუდგენიათ მათ, ვინცა სჩვევია ლაპარაკი მიწის შესახებ. ამაში ერთმა ეინშემ და-მარწმუნა!

მაშინ სიმამ — რას ამბობო, სოკრატე, — თქვა. — მიწის შესახებ მეც ბევრი რამ მსმენია, მაგრამ არა ის, რამაც შენ და-გარწმუნა. ამიტომ ხალისით დაგიგდეზ ყურს.

— მე მგონია, ჩემო სიმამ, ამის გადმოცემა სრულიადაც არ მოითხოვს გლავკოსის ხელოვნებას, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მართლაც ასეთა, ჩემის აზრით, თვით გლავკოსის ხელოვნებაც არ იკმარებდა. მე, ალბათ, ვერ შეეძლებდი ამას, მაგრამ კიდევაც რომ შემძლებოდა, უცვამ ისე ცოტა დრო დამ-რჩა, ჩემო სიმამ, რომ ჩემი სიტყოცხლე არ ეყოფოდა ამოდენა რამის მტკიცებას. თუმცა იმაში მაინც არაფერი მიშლის ხელს.

გიაშბო, როგორია, ჩემის რწმენით, სახე მიწისა და ბოვორი
ადგილები აქვს მას.

— ეგვეც საკმარისი იქნება, — თქვა სიშიამ.

— უბირველეს ყოვლისა, — თქვა სოკრატემ, — მე მიწამს,
რომ თუ მიწა სამყაროს ცენტრში მდებარეობს და თუ მრგვა-
ლია მიწა, მას არ სჭირდება არც ჰაერი და არც სხვა მსგავსი
რამ საყრდენი ვარდნის თავიდან ასაცილებლად. ამისთვის საკ-
მარისია მის ირგვლივ თანაბრად გარშემოწერილი ცა და თვი-
თონ მიწის წონასწორობა. რადგან გაწონასწორებული სხე-
ული, მოთვებული მეორე, მასავით გაწონასწორებული სხე-
ულის ცენტრში, არასდროს არ გადახრება აქეთ ან იქით და
თანაბრად გადუხრელი დარჩება მუდამ. უბირველეს ყოვლი-
სა, — გაიომერა მან, — მე აი, ეს მიწამს.

— და მართებულადაც, — თქვა სიშიამ.

— მე რე, — განაგრძო მან, — მე მწამს, რომ მიწა უზარმა-
ზარი სხეულია და რომ ჩვენ მის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილ-
ზე ვსახლობთ, თანხიდან მოკიდებული ჰერაკლესის სვეტება-
მდე, ზღვის გარშემო მიმოფანტულნი, ჭაობის პირას თავშეყ-
რილი ჭიანჭველებისა თუ ბაყაყების მსგავსად. მრავალი სხვა
ბაღნი ბინადრობს მრავალ ასეთსავე ადგილას. რადგან დედამი-
წის ზურგზე მიმოფანტულია მრავალი სხვადასხვა სახისა და
სიდიდის ჭურღმული, რომლებშიც წყალი, ღრუბელი და ჰაე-
რი გროვდება. ხოლო თვით მიწა, წმინდა მიწა, უფრო ზემოთ
პგეის, ზეცის წმინდა და ვარსკვლავიან სივრცეში, რომელსაც
ეთერს უწოდებენ ისინი, ვისაც სჩვევია ლაპარაკი ამის შესა-
ხებ. სწორედ ეთერის ნალექია ის, რაც მიწის ჭურღმულეებში
გროვდება. ამ ჭურღმულეებში კი ჩვენ ვცხოვრობთ, თუმცა არ
ვიციტთ ეგ და ამიტომ მიწის ზედაპირზე გვგონია თავი ეს იმას

პგავს, ზღვის სიღრმეში ცხოვრობდეს კაცი, თავი კი მის ზედა-
პირზე წარმოედგინოს და წყლის წიაღიდან მზისა და სხვა ვარ-
სკვლავთა მკვერტელს ზღვა მიაჩნდეს ცად. თავისი სიმძიმისა
და სისუსტის გამო ეგ კაცი ვერასოდეს მიადწევდა ზღვის ზე-
დაპირს, ვერ ამოყვინთავდა წყლის სიღრმიდან, ვერ იხილავდა,
რამდენად უფრო წმინდაა და უფრო ლამაზი ჩვენი საცხოვრისი
მის სამყოფლოზე და არათუ თვითონ ვერ იხილავდა, ვერც
ჩვენს მხილველს ჰპოვებდა ვინმეს, რათა მისი მეშვეობით შე-
ეცნო ეს. სწორედ მაგ კაცის დღეში ვართ ჩვენც, რადგან, თუმ-
ცა მიწის ერთ-ერთ ჭურღმულში ვცხოვრობთ, მაინც მის ზე-
დაპირზე წარმოგვიდგენია თავი, ჰაერს ვეძახით ცას და გვგო-
ნია, მართლაც ჰაერში ბრუნავენ ვარსკვლავები. და ეს იმიტომ,
რომ ჩვენი სისუსტისა და სიმძიმის წყალობით არ შეგვიძლია
თავზე მოგვევლოთ ჰაერის ზედა ფენებს, რადგან თუ კაცი მიად-
წევდა ამ სიმაღლეს, ანდა ურთებით აფრინდებოდა და გასც-
დებოდა ჰაეროვანი სივრცის საზღვრებს, უცხო სანახავს იხი-
ლავდა იმ თევზთა მსგავსად, ზღვის სიღრმიდან რომ იჭრებიან
ხოლმე ჰაერში. და მე რე, თუ ეგ კაცი დასძლევდა საკუთარი ბუ-
ნების სისუსტეს და თვალს გაუსწორებდა ამ უცხო სანახავს,
შეიცხოვბდა, რომ სწორედ ესაა ჭეშმარიტი ცა, ჭეშმარიტი სი-
ნათლე, ჭეშმარიტი მიწა; რადგან ჩვენი მიწა, ჩვენი ქვები და,
საერთოდ, ჩვენი საცხოვრისი ისეა დაღრღნილი და დახრული,
როგორც ზღვაში მეჩეჩები მლაშე წყლის მიერ; ზღვაში, სადაც
არა არის რა სრულჭმნილი და სრულდამოვანი, სადაც მხოლოდ
მღვიმეებია, ქვიშა და შლაში. ასე რომ, ჩვენი საცხოვრისის
მშვენიებასთან შედარებაც არ შეიძლება მისი, რასაც ზღვის სი-
ღრმე იმარხავს, ხოლო ის, რაც მიწის ჭეშმარიტ ზედაპირზეა,
თავის მხრივ, ვაცილებით ლამაზია ამ ჩვენს ჭურღმულზე. თუ

საჭიროა, მე შემძლია ვიამბოთ მომნიბლავი მითი იმ წმინდა მიწის სილამაზეზე, რომელსაც უშუალოდ ეთერი ეკვრის და ღმერთმანი, ღირს მისი მოსმენა, ჩემო სიამა.

— და ჩვენც სიამოვნებით მოვისმენთ მას, ჩემო სოკრატე. — მიუგო მან.

LIX

— კეთილი, ჩემო მეგობარო, — თქვა მან, — უბიძველეს ყოვლისა, ამბობენ, რომ მაღლიდან დანახული მიწა კაცს წარმოუღებდა როგორც ქრელი, თორმეტი სხვადასხვა ფერის ხატ-რიცხვან ნაყერი ბურთი. ჩვენი მხატვრები დაახლოებით იმ ფერებს იყენებენ, რითაც ეგ მიწა არის ნაფერი. ოღონდ იქ ფერები გაცილებით უფრო ბრწყინვალეა და უფრო წმინდა. მიწის ერთი ნაწილი ძოწისფერია, განსაკვიფრებელი სილამაზისა, მეორე — ოქროცურვილი, მესამე — თეთრი, უფრო თეთრი, ვიდრე ცარცი ან თოვლი, მოკლედ რომ ვთქვათ, მის ყველა ნაწილს ჩვენს ფერებზე გაცილებით უფრო სავსე და ლამაზი ფერები ფარავს. თვით მიწის ჯურღმულები, წყლით და ჰაერით სავსე ჯურღმულები, თავისებურად ბრწყინავენ სხვა ფერთა სიმრავლეში, ასე რომ მიწა მიწყვე სხვადასხვა სახით წარმოგვიღებდა ჩვენ, თუმცა სხვე ურთია მისი. ამ სრულქმნილ მიწაზე ყველაფერი მისებრ სრულქმნილია — მცენარეები, ხეები, ყვავილები, ნაყოფები. ასევე სრულქმნილია მისი მთები და მისი ქვები, გლუვი, გამჭირვალე და ჰაერისფერი ფერებით მოელვარე მთები და ქვები. ჩვენი კენჭები, ჩვენი ძვირფასი თვლები — სარლიონები, იაპები და სმარაგდები მხოლოდ მათი ნამუსრგვია, სხვა არაფერი. იქ კი ყველაფერი კიდევ უფრო ლამაზია და

შვენიერი. ეს იმიტომ, რომ იქ ყველა ქვა წმინდაა, მამინ როდესაც ჩვენი ქვები დაღრღნილია და დაზრული ზღვის სიმლაშითა და იმ ხალექთა გამხრწნელი ზემოქმედებით, რომელნიც ჩვენს ჯურღმულუმში ჩამოედინებიან და ამახინჯებენ და ასწულლებენ ჩვენს ქვებს, ჩვენს მიწას, ჩვენს ცხოველებს და მცენარეებს. გარდა ძვირფასი თვლებისა, მაგ წმინდა მიწას ოქრო, ვერცხლი და სხვა კეთილშობილ ლითონთა სიმრავლე ამკობს. ისინი ბირდაბირ მიწაზე ყრიან, მის მთელ სივრცეზე ვეება ხვავებად მიმოფანტულნი. ასე რომ მისი ქვრეტა ნეტარებით აესებს სულს. ამ მიწაზე ცხოველთა და კაცთა დიდი სიმრავლე ცხოვრობს, რომელთაგან ზოგს მისი შთა ნაწილი უჭირავს, ზოგი ჰაეროვანი სივრცის გარშემო სახლობს, როგორც ჩვენ — ზღვის ირგვლივ, ზოგიც კიდევ — ეპეიროსის ახლომასლო მიმოფანტულ კუნძულებზე, რომელთაც ჰაერის ოკეანე ეკვრის ვარს. ერთი სიტყვით, ის, რაც ჩვენთვის წყალია და ზღვა, მათთვის იგივეა ჰაერი, ხოლო ის, რაც ჩვენთვის ჰაერია, მათთვის იგივეა ეთერი. წელიწადის ყველა დრო იქ ისე რბილია და კეთილად შეხაეებელი, რომ ამ ნეტარი მიწის მცხოვრებლებმა არ იციან, რა არის ავადმყოფობა და გაცილებით უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენ. ხედვის, სმენისა და ყველა სხვა გრძნობის ნიჭითა და გონების სიძლიერით ისინი იმდენად მაღლა დგანან ჩვენზე, რამდენადაც სიწმინდით ჰაერი — წყალზე, ხოლო ეთერი — ჰაერზე. მათს წმინდა ქალებსა და ტაძრებში მართლაც ბინადრობენ ღმერთები. რომლებიც ნიშებითა და წინასწარმეტყველებით იმდენად საგრძნობი ხდებიან მათთვის, რომ ისინი უშუალოდ უკავშირდებიან უკვდავთ. მზეს, მთვარესა და სხვა ვარსკვლავებს ისინი ხედავენ ისე, როგორც სინამდ-

ვილესია თვითეული მათგანი, და ყოველივე ამას გამოეთქმე-
ლი ნეტარება ახლავს თან.

LX

ასეთია ბუნება მთელი მიწისა და მისი, რაც მას გარს იკ-
რავს. ვარდა ჩვენი ჯურღმულეებისა, მიწის სიღრმე იმარხავს
წრიულად განფენილ უფსკრულთა დიდ სიმრავლეს, რომლე-
ბიც მათ გაგრძელებებს წარმოადგენენ და რომელთაგან ზოგი
უფრო ღრმაა და უფრო ფართო, ვიდრე ჩვენი საცხოვრისი,
ზოგი უფრო ღრმა, მაგრამ უფრო ვიწრო, ზოგი კი, პირიქით,
სიღრმით რომ ჩამოუვარდება, სიფართოვით აღემატება ჯურ-
ღმულეებს ჩვენსას. ყველა ეს მიწისქვეშა უფსკრული მეტნაკ-
ლებად ფართო გვირაბებით უკავშირდება ერთიმეორეს, რომ-
ლებითაც ერთი უფსკრულიდან მეორეში, როგორც კრატერი-
დან კრატერში, უხვად ისხმება წყალი. მიედინებიან მიწის ქვეშ
ცხელი და ცივი წყლის უზარმაზარი, მარადმედინი მდინარეები,
ცეცხლის ვეება ჩანჩქერები, შლამის სქმინელი, ალაგ წმინდა,
ალაგ მღვრიე ნაკადები, რომლებიც სიცალიაში ლავის წინ და-
ქანებულ ტალახის მდინარეებს მოგვაგონებენ და თვითონ ლა-
ვას. წყლის, ცეცხლისა და შლამის ეს ნაკადები რიგრიგობით
ავსებენ უფსკრულებს, იმის მიხედვით, თუ როდის რა მიმარ-
თულებას იღებს თვითეული მათგანი. ყველაფერი ეს მოძრაობს
ზემოთ და ქვემოთ, თითქოს საქანელა ირწყევდეს მიწის სიღრ-
მეში; მოძრაობით კი ასე მოძრაობს: მიწის უფსკრულთა შო-
რის თავისი სიდიდით გამოირჩევა ერთი, რომელიც მთელს სი-
ღრმეზე განწონის მიწას. სწორედ ამ უფსკრულს გულისხმობს
პომეროსი, როცა ამბობს — არისო შორს მიწის ქვემოთ უსას-

რულა უფსკრული ერთი! სხვაგან ისტარტაროსს უწოდებს მას
და არა მარტო ის, არამედ ბევრი სხვა პოეტიც. სწორედ ამ
უფსკრულში ჩადინება ყველა ნაკადი და მერე ხელახლა ამო-
ედინება მისგან; ამასთან თვითეული მათგანი ისეთი ხდება, რო-
გორცაა მიწა, რომელზეც მიედინება იგი. ხოლო მიზეზი იმისა,
თუ რატომ ჩადინება მასში ყველა ნაკადი და რატომ ამოედინ-
ება მისგან, ისაა, რომ მთელ ამ თბიერ მასას არც ფსკერი გა-
აჩნია და არც ბაზისი. მიტომ ტორტმანებს და ირწყევა ზემოთ
და ქვემოთ. მისი თანმხლები ჰაერის დინება კი იმეორებს ამ
მოძრაობას, რადგან მიწყვე თანა სდევს მას, მაშინაც, როცა ის
მაღლი იწევს და მაშინაც, როცა დაბლა ეშვება; და როგორც
სუნთქვისას ჩასუნთქება და ამოსუნთქება იწვევს ფშვინვას, ისე
აქაც, ამ თბიერ ნაკადთა თანმხლები ჰაერის დინება მძვინვარე
გრივალებს აჩენს ჩასვლისას და ამოსვლისას. როცა ეგ ნაკა-
დები დაბლა ეშვებიან, მიწისქვეშა სადინარებში იღვრებიან და
ავსებენ მათ, როგორც ჩვენ ვავსებთ არხებს ტუშპოთი. ხო-
ლო როცა ქვესკნელს ტოვებენ და მაღლა იწევენ, ჩვენი მდინა-
რეებს კალაპოტებს აქსებენ და მერე ამ კალაპოტებით მიიგ-
რავნებიან მიწის ზედაპირზე და ჰქმნიან ზღვებს, ტბებს, მდინა-
რეებს და ნაკადულებს. ბოლოს კვლავ მიწის სიღრმეში ეშვებ-
იან და იქ მიიკვლევენ გზას, ხან გრძელსა და მიხვეულ-მოხვე-
ულს, ხან მოკლეს და ნაკლებად კლავნილს, ვიდრე ტარტაროს-
ში არ დაინთქმებიან ხელახლა. ხოლო დაინთქმით ინთქმებიან
მეტნაკლებად დაბლა, მაგრამ ყოველთვის იმ ადგილზე უფრო
დაბლა, საიდანაც ამოედინებიან ისინი. ზოგი ტარტაროსში იმის
საპირისპირო მხრიდან ეშვება, საიდანაც ამოდის. ზოგი იმავე
მხრიდან, ზოგი კი წრეს კრავს მიწის გარშემო და ერთხელ ან
მრავალჯერ გველივით რომ ეხვევა მას, ღრმად, რაც შეიძლება
პ. დედონი

ღრმად ეშვება ქვესკნელში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი ნაკადი ვერ ჩაეშვება ტარტაროსის ცენტრზე უფრო დაბლა, რადგან აქედან უკვე აღმასვლა იწყება მათი.

LXI

არის ბევრი სხვა დიდი და მრავალფეროვანი ნაკადი. მათ შორის უმთავრესია ოთხი, რომელთაგან ერთი, უდიდესი და უკიდურესი დედამიწას უვლის გარშემო. მის ოკეანოსს ვუწოდებთ ჩვენ. ოკეანოსს უპირისპირდება აქერანსა, რომელიც მისი საპირისპირო მიმართულებით მიედინება უდაბურ ადგილთა წიად და აქერუსიადის ტბას ერთვის მიწის ქვეშ. სწორედ ამ ტბასთან გროვდებიან გარდასულთა სულნი, რომლებიც, მათთვის მიზომილ დროს რომ დაპყოდენ იქ (ეს დრო ზოგისთვის უფრო გრძელია, ზოგისთვის უფრო მოკლე), ახალი სიცოცხლისთვის აგზავნიებიან უკან. მესამე ნაკადი, რომელიც ამ ორთა შორის იღებს დასაბამს, სათავეს ახლოს ერთ ცეცხლმოდებულ ტაფობზე გადის, სადაც ჩვენს ზღვაზე უფრო დიდ ტბას ქმნიან; ამ ტბაში წყალი და ტალახი თუხთუხებს ერთთავად. მერე კი წრიულად აგრძელებს თავის ზიგზაგოვან გზას. მღვრიე და პირქუში და აქერუსიადის ტბის ნაპირს აღწევს. მაგრამ არ ირევს მის წყალს და, მიწის ქვეშ რამდენჯერმე რომ შეჰკრავს წრეს, ტარტაროსის სიღრმეში ინთქმება. ეს ის ნაკადია, რომელსაც პირიფლეგეთონს ვუწოდებთ ჩვენ და რომელიც თავის ცეცხლოვან ლავას მიწის ზედაპირზეც ამოაფრქვევს ხოლმე აქა-იქ. პირიფლეგეთონის საპირისპიროდ, შემზარავ და ველურ ტაფობზე, რომელიც მუქი ლურჯი ფერისაა და რომელსაც სტიგიოსი ვუწოდებთ, მიივრავნება მეოთხე ნაკადი. ეს ნაკადი აქ ქმნის სტიქსის ტბას, რომლის წყლებშიც სა-

შინელ ძალას იძენს და მერე მიწის ქვეშ იკარგება, სადაც პირიფლეგეთონის საპირისპიროდ მიედინება კლავნილი ვხით და ბოლოს აქერუსიადის ტბის მეორე, მოპირისპირე ნაპირთან ხვდება მას. არც ეს ნაკადი ირევს სხვა წყლებს და, წრეს რომ შეჰკრავს, ტარტაროსში ინთქმება ისიც, პირიფლეგეთონის პირდაპირ. როგორც პოეტები ამბობენ, ამ ნაკადს კოციტოსი ჰქვია სახელად!

LXII

ბუნებამ ასე ააგო ქვესკნელი. როცა მიცვალებულნი მიადწევინ იმ ადგილს, რომლისკენაც თვითვე უსს მისი დემონი მიაცილებს, განისჯებიან უპირველეს ყოვლისა, განისჯებიან როგორც ისინი, ვინც მართლად და წმინდად განვლო წუთისოფელი. ისე ამქვეყნად ბიწით გასვრილნიც, ხოლო ისინი, რომელთაც სრული სათნოება არ შეუშოსავთ, მაგრამ არც ბიწს დაბმონებიან მთლად, აქერონისკენ ეშურებიან; აქ მათთვის წინასწარ გამზადებულ ნავებში სხდებიან და მდინარის ტალღებით აღწევენ აქერუსიადის ტბას, სადაც ივანებენ, სასჯელს იხდიან, იწმინდებიან ყველა ძველი ბოროტებისგან და თავისუფლდებიან. სათნოების საწაცვლოდ კი სიკეთეს იმკიან, დასახურების მიხედვით. რაც შეეხება მრავალი საზარელი მკრეხელობით, უსამართლო ხოცვა-ჟლეტითა და სხვა მიუტევებელი ცოდვებით დამძიმებულ სულებს, ბედისწერა პირდაპირ ტარტაროსში უძახებს მათ, ტარტაროსში, საიდანაც ველარასოდეს ამოვლენ უკან, და მართო მათ კი არა, ტარტაროსში ტყვეობა არც იმ სულებს ასცდებათ, რომლებმაც მძიმე, მაგრამ მაინც ასე თუ ისე მისატევებელი ცოდვები ჩადინეს (როცა რისხვით ცნობამიზდილთა ხელი აღმართეს მშობლებზე და მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე ინანიებდნენ ამას, ან უნ-

ბურად გაისვარეს სხვის სისხლში ხელი); თღონდ იმ განსჯე-
ვებით, რომ, როცა ტარტაროსში ყოფნის ყველი გაუვათ,
ტალღა უკანვე ამოისვრის მათ და მაშინ კაცისმკვლელთ კოცი-
ტოსი წარიტაცებს, ხოლო დედის ან მამის მკვლელთ — პირი-
ფლევგეთონი. და რა მიადწევნენ აქგურსიადის ტბას, ყვირის
იწყებენ ისინი: მკვლელნი უხმოებენ მათ მიერ მოკლულთ, შე-
ურაცხყოფელნი კი — შეურაცხყოფილთ და ევედრებიან
ნება დართონ ტბაში შესვლისა და შეიწყნარონ საწყალობელ-
ნი. თუ შესძლეს მათი გულის მოღობა, ტბაში შედიან და მათ
ტანჯვასაც ეღებუ ბოლო, თუ ვერა და — ტარტაროსში ცვივი-
ან ისევ, საიდანაც ხელახლა ბრუნდებიან უკან, და ისე გრძელ-
დება მათი ტანჯვა, გრძელდება მანამ, სანამ არ მოღბებიან
ისინი, რომელთა წინაშეც სკოდეს. მსაჯულებმა ასეთი სასჯე-
ლი არგუნეს მათ. და ბოლოს, სულნი, რომელთაც წმინდად
და შეურყენელად განგლეს წუთისოფელი, თავს აღწევენ ქვეს-
კნელის ტყვეობას, ზესკნელის წმინდა სივრცისაკენ ასწრაფვი-
ან და იქ ივანებენ. მათ შორის ფილოსოფიით ვაწმენდილი სუ-
ლები საბოლოოდ თავისუფლებიან ნივთიერი ბუნებისაგან
და კიდევ უფრო მშვენიერ საგანეთა მკვიდრნი ხდებიან. მაგ-
რამ მათი აღწერა ძალზე შორს წაგვიყვანდა, მე კი დრო ხელ-
ში მადნება უკვე. თუმცა, რაც ითქვა, ჩემო სიმიო, ისიც საგ-
სებით საკმარისია, რათა ჩვენი სიცოცხლის მიზნად ეთვლიდეთ
სათნოების და სიბრძნის მოხვეჭას. რადგან ჯილდო კეთილია
და იმედი დიდი.

LXIII

იმის დაქინებით მტკიცება, რომ ყველაფერი ეს მართლა
ისეა, როგორც მე დაგიხატეთ, რა თქმა უნდა, არ შეჰფერის

გონიერ კაცს. მაგრამ თუ სული მართლა უკვდავია, მას' დიასაც
შეჰფერის და ჰმართებს კიდევ ამტკიცოს, რომ ყველაფერი,
რაც ჩვენს სულებს შეეხება და მათ საგანეთ, მთლად ისე თუ
არა, დაახლოებით მაინც ისეა, როგორც მე ვამბობ. და ამის
მტკიცება, ღმერთმანი, ღირს რისკად, რადგან ეგ რისკი იმდე-
ნად მშვენიერია, რომ ჩვენ თვითონვე უსაღა ვიჭადაყბდეთ
თავს მაგ ჯადოსნურ საგალობელთა გალობით. აქი მიტომაც
აგრე გამიგრძელდა მითი. ამრიგად, მას, ვინც მთელი სიცოცხ-
ლის მანძილზე ეკრძალებოდა ყველა ხორციელ ვნებას, ვინც
არად აგლებდა სკლისთეის ქცხო სამკაულებს, რადგან სწამდა,
რომ მათ მხოლოდ წარწყმედა შეეძლოთ სულის, ვინც ვნებია-
ნად მხოლოდ ცოდნას ეწაფებოდა და ყალბი კი არა, ჭეშმარი-
ტი სამკაულებით — ზომიერებით, სამართლიანობით, სიმაჟა-
ციით, თავისუფლებითა და სიმართლით — იმკობდა სულს, შე-
უძლია მშვიდად იყოს სულსთვის და, როცა ბედი მოუხმობს,
ულრტვინველად დაადგეს პადესის გზას, რადგან ამისთვის უკ-
ვე განამზადა თავისი თავი. ამ გზას თავის დროზე თქვენც და-
ადგებით, ჩემო ძვირფასო სიმიო და კებეს, თქვენც და თქვენი
მეგობრებიც. მე კი, როგორც ტრაგიკოსი იტყოდა, ახლავე მი-
ხმობს ბედი და დროა განბანვას შევუდგე უკვე, რადგან, ვფი-
ქრობ, უმჯობესია თვითონვე განვიბანო შხამის მიღების წინ,
რათა ქალები არ ვაეტანჯო უსიცოცხლო გვამის განბანვით.

LXIV

როცა სოკრატე ლაპარაკს მორჩა, კრიტონმა თქვა:

— კეთილი, ჩემო სოკრატე, მაგრამ ხომ არას დაგვიბარებ
განშორების წინ? იქნებ შვილებზე ზრუნვა დაგვეულო, ანდა
სხვა რამე? თქვი, ჩვენ მზად ვართ სამსახურისთვის!

— მე ასლაც მხოლოდ მას გეტყვით, ჩემო ძვირფასო კრიტონ, — მიუგო მან, — რასაც მუდამ გეუბნებოდით: იზრუნეთ თქვენზე! იზრუნეთ და ეგ იქნება ყველაზე დიდი სამსახური ჩემთვის, ჩემიანების და თვით თქვენი თავისთვისაც. იზრუნეთ! მე მოვითხოვ საქმეს და არა აღთქმას! რადგან თუ თქვენზე არ იზრუნებთ და ჩემს ანდერძს არ აღასრულებთ, აღთქმა აღთქმად დარჩება და რა ფასი აქვს მაშინ მას.

— ვეცდებით აღვასრულოთ, — მიუგო კრიტონმა, — მაგრამ როგორღა მიგაბაროთ მიწას?

— როგორც ვენებოთ, — მიუგო მან, — თუკი დამიძვირო და ხელიდან არ გაგისხლტებით. — აქ მან წყნარად გაიცინა. მზერა მოგვეუღო და თქვა: — მე მაინც ვერ შევძელი, კაცნო, დამერწმუნებინა კრიტონი, რომ სოკრატე — ეს მე ვარ, ვინც ლაზარაკობს და საუბარს წარმოართავს ჩვენსას. მას ჰგონია მე ვარ ის, ვისაც მალე უსულოდ მღებარეს იხილავს და მიტომ შეკითხება: როგორ მიგაბაროთ მიწას? და ეს მას შემდეგ, რაც ასე დიდხანს და დაჟინებით ფაქტუციკებდი, მზამს რომ მივიღებ, თქვენთან კი აღარ დავჩივებ, ნეტართა სადგურს მივაშურებ და მათ აღმღვრეველ ბედნიერებას ვეზიარებინ-შეთქი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ. მას ჰგონია, რომ ამითი მხოლოდ თავს ვინუგეშებდი და განუგეშებდით თქვენაც. მაშ, მოდით და თავმდებლად დამიღვეით კრიტონის წინაშე. მაგრამ ისეთ თავმდებობას კი არ მოვითხოვ, როგორც მან მსაჯულთა წინაშე გამოიწია, არამედ სულ სხვას, საპირისპიროს. ის მთავედებოდა, რომ აქ დავჩივებოდი, თქვენ კი მითავმდებდით, რომ სიკვდილის შემდეგ მე დავტოვებ აქაურობას. ასე აჯობებს კრიტონისთვისაც, რადგან, როცა დაინახავს როგორც წვავენ ჩემს გვამს, ანდა როგორ ფლავენ მიწაში, აღარ შეაჩვენებს ჩემს, მისი აზრით,

შავ ბედს და აღარც ამ სიტყვებს დახარჯავს ჩემი გასვენებისას: ვაიმე, ეს ვინ გამომაქვს, ეს ვინ მიმაქვს, ეს ვის ვმარბავო. უნდა იცოდე, ჩემო ძვირფასო კრიტონ, რომ მცდარი სიტყვა ამ შემთხვევაში მარტო ენას კი არ ამღვრევს, არამედ სულსაც! ამიტომ შორს შიში და გწამდეს, რომ მე კი არ მმარბავ, გვამს მარბავ ჩემსას. დამარხვით კი ისე უხდა დამარხო იგი, როგორც თვითონ მოგეპრიანება და როგორც ჩვენი ადათი მიიჩნევს უკეთესად.

LXV

ამ სიტყვებით ის ადგა და გვერდითი სენაკისკენ გაემართა განსაბანად. კრიტონმა უკან გასდია, ჩვენ კი გვიბრძანა დაერჩენილიყავით. ჩვენც დავრჩით და ჩურჩული დავიწყეთ ერთმანეთს შორის: ხელახლა ვარჩევდით მას, რაც ითქვა და დაფსტიროდით თავსდატეხილ უბედურებას. ისეთი განცდა გვექონდა, თითქოს მამას ვკარგავდით და ობლებად უნდა ვყრილიყავით აწი.

განბანას რომ მოჩჩა, შეიღებინ მიჰგვარეს მას (სოკრატეს საში ვაყი ჰყავდა — ორი პატარა, ერთი მოზრდილი). მოვიდნენ დედაწულნიც მისი სახლისა. სოკრატე კრიტონის თანდასწრებით ესაუბრა ქალებს, ზოგიერთი მითითება მისცა მათ და მერე ბავშვებითურთ უკან გაისტუმრა ისინი. თვითონ კი ისევ ჩვენ დაგვიბრუნდა.

მზე იხრებოდა: სოკრატემ დადი დროა მოანდომა განბანას და გამოთხოვებას. დაბრუნებული თავის ძველ ადგილზე ჩამოჯდა და მერე ბევრი აღარაფერი უთქვამს. შემოვიდა თერთმეტთა მსახური, მიუახლოვდა სოკრატეს და უთხრა: მე შენზე სამღურავეი არ შეთქმის, სოკრატე, სხვებს როდი ჰგებნარ: ისი-

ნი ცოფმორეულნი მადინებენ, როცა თერთმეტთა განკარგულეობით, ვუცხადებ, რომ საწამლაფი უნდა დალიონ. ამ ერთი თვის განმავლობაში კარგად ვავიცანი შენ და ვიცი, ვინცა ხარ: ყველაზე ღირსეული, ყველაზე მშვიდი და ყველაზე უკეთესი მათ შორის, ვინც აქ ოდესმე მგდარა. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ არც ახლა აღშფოთდები ჩემს წინააღმდეგ, რადგან მუხუფრო იცნობ ნამდვილ დამნაშავეთ. მაშ ასე, შენ უკვე იცი, რისთვის გაწუხებ. მშვიდობით, ეცადე მშვიდად შეეგებო გარდუვალს. აქ მას ცრემლები წასკდა, პირი იბრუნა და ქვეითინით ვაუარდა ვარუთ. სოკრატემ მზერა გაიფოლა გაქცეულს და მშვიდად წარმოთქვა: — მშვიდობით! ვეცდები შეგასრულო შენი სიტყვები. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: აი, ქეთილშობილი კაცი. აღრეც ხშირად მსახულობდა, მესაუბრებოდა და ყოველთვის საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ახლა კი, ხედავთ, რა გულწრფელად დამტირის მე. მაგრამ მოდი, სათხოვარი შეგესრულოთ მას, ჩემო კრიტონ. უბრძანე, მომართვან საწამლაფი, თუ გახსნილია, თუ არა და, გამიხსნან იგი.

— კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო სოკრატე, — შეერთა კრიტონი, — მზე ჯერ კიდევ არ მიბფარებია მთებს. მე ხომ ვიცი, სხვები ბრძანებას რომ მიიღებენ, მაშინვე როდი იღებენ შხამსაც; ჯერ მაძღრისად ჭამენ და სვამენ, ხოლო ზოგი სასიყვარულლო განცხრომასაც კი ეძლევა სატრფოსთან ერთად. მაშ, რა გვაჩქარებს? დრო კიდევ გვრჩება.

— ე, ჩემო კრიტონ, მე მესმის მათი, — მიუგო მან, — მათ ხომ ჰგონიათ, რომ რაღაცას იგებენ ამით. მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა მივბაძო მათ. დაყოვნებით სხვას რას მოვიგებ. გარდა იმისა, რომ სასაცილო აღმოგჩნდები ჩემსავე თვალში.

ჰოდა, რად უნდა ჩავებღაუჭო სიცოცხლეს, რატომ არ უნდა ვკრა ხელი მას, რაც ბეწვზე ჰკიდია უკვე. მაშ, გასწი, ნუ შეუჩრჩები და გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან.

LXVI

მაშინ კრიტონმა წამუყო აქვე მდგარ მსახურს. ისიც გავიდა და ცოტა მოგვიანებით შემობრუნდა იმ კაცთან ერთად, ვისაც შხამი უნდა შემოეტანა. მოპქონდა კიდევ ფილით. ახლად შემოსულის დანახვისას სოკრატემ ასე მიმართა მას:

— კეთილი, ჩემო ძვირფასო, ახლა, როგორც გამოცდილმა, მითხარი, რა გქნა, რაა საჭირო?

— ბევრი არაფერი, — მიუგო მან, — საწამლავს რომ დიდევ უნდა იარო, იარო, სანამ ფეხები არ დაგიმძიმდება, მერე კი მიწვე. მაშინ შხამი თვითონვე იხამს თავისას.

ამ სიტყვებით მან ფილა გაუწოდა სოკრატეს. — ო, ვზეჯრატე! — სოკრატემაც მშვიდად და წარბშეუხრელად ჩამოართვა იგი. მხოლოდ, ჩვეულებისამებრ, თავისი ბასრი მზერა ესროლა მსახურს და ჰკითხა:

— რას, რას იტყვი ამ სასმისზე? შეიძლება თავი წავუქცოთ მას რომელიმე ლეთების პატივსაცემად თუ არ შეიძლება?

— ჩვენ მხოლოდ იმდენ შხამს ვიძლევი, სოკრატე, რამდენიც საჭიროა, — მიუგო მან.

— გასაგებია, — თქვა სოკრატემ, — მაგრამ ლოცვა ხომ მაინც შეიძლება ღმერთების მიმართ? შეიძლება და უნდა ვილოცოთ კიდევ, რათა მათ კურთხეულჰყონ ჩვენი მგზავრობა და კეთილად დაგვირგვინონ იგი. ჰოდა, აი მეც ელოცულობ და თავს ვავედრებ ღმერთებს.

ამ სიტყვებით მან ბაგესთან მიიტანა ფიალა და მშვიდად, ხელ-ხელა დასცალა იგი. აქამდე ჩვენ, ასე თუ ისე, კიდევ ვიკავებდით თავს. აქ კი, როცა დავინახეთ, როგორ მოიყუდა ფიალა და როგორ დასცალა იგი, ნებისყოფამ გვიმტყუნა ყველას. მე, ჩემდა უნებურად, თვალთაგან ღვარად წამსკდა ცრემლები. მოსახამში თავბარეული ვტიროდი მე, მას კი არა, ჩემს თავს დაესტიროდი, ჩემს უბედურ თავს: ვის ვკარგავდი?! კრიტონი, რომელსაც ჩემზე ადრე წამსკდა ცრემლები, გარეთ გავიდა. რაც შეეხება ამოლოდოროსს, ის ადრეც სულმოუთქმელად ტიროდა, ახლა კი ისე მწარედ იბღაველა, რომ ყველი ჩვენგანი შეირყა, სოკრატეს გარდა.

— ამას რას ვხედავ, ჩემო საყვარლებო, — თქვა მან. — მე ქალებიც სწორედ იმიტომ გავისტუმრე, რომ ცრემლები არ მენახა მათი. გამიგონია, როცა კაცი კვდება, მხოლოდ ლოცვა უნდა ისმოდესო ორგვლივ მის, დამშვიდდით, რა ეატყვის საქმეა ცრემლი?

ჩვენ შეგვრცხვა და ცრემლი შევიშრეთ. ის კი სიარულს მოჰყვა საკანში. მალე ფეხებში სიმძიმე იგრძნო და გულაღმა წამოწვა, როგორც შხამის მომტანმა ურჩია. ამ უკანასკნელმა კი სინჯვა დაუწყო სოკრატეს ფეხებს, სოკრატეს წვივებს. მერე კანჭზე დაჰყირა თითი და ჰკითხა, გრძნობო თუ არა ამას. — არაო, — იყო პასუხი. მაშინ მსახური ზემოთ აჰყვა სოკრატეს ფეხებს, თან გვანიშნებდა, — ცივდებაო უკვე. ბოლოს ერთხელ კიდევ შეეხო მას და გვითხრა, როცა სიცოცხე ვულამდე მიადწევს, ყველაფერი დამთავრდებაო. სიცოცხემ უკვე მუცელს უწია, როცა სოკრატემ გადაიძრო ზეწარი, რომელიც მას ფარავდა და თქვა:

— კრიტონ, — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. — ჩვენ

მაშალი უნდა დავუკლათ ასკლეპიოსს.¹ არ დაგაფიწყდეთ, შესწირეთ იგი.

— შევსწირავთ, — მიუგო კრიტონმა, — მაგრამ რას გვეტყვი კიდევ?

ამ კითხვას პასუხი აღარ მოჰყარა. მალე უკანასკნელად შეიძრა და მაშინ მსახურმა ზეწარი გადახადა სოკრატეს. მზერა გაჰყინოდა. კრიტონი დაიხარა და ბაგეები და თვალები დაეხურა მას.

LXVII

ასეთი იყო ჩვენი მეგობრის აღსასრული, ძვირფასო ენეკრატე. ჩვენ ბევრი ნაცნობ-მეგობარი გვყავს და გეყოლია, მაგრამ ის იყო ყველაზე ბრძენი და ყველაზე მ ი ა რ თ ა ლ ი.



შენიშვნები

I

1. ფლიენტო — პატარა ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ბელოპონეზში, სადაც ევრიტე ტარანტელმა, ფილოლაოსის მოწაფემ, პითაგორელთა წრე ჩამოაყალიბა.

2. დელოსი — პატარა კუნძული ეგეოსის ზღვაში. ძველი ბერძნები აიკლონის და ატიკოსის დაბადების ადგილად მიაჩნევდნენ მას.

3. თეზეესი — იონის ლეგენდარული დამაარსებელი. ვადმოცემოდ, ატიკელებმა ვერაგულად მოჰკლეს კრეტის მეფის — მინოსის ვაჟი ანდროგეოსი. მაშინ მინოსი ატიკაში შეიჭრა და მათონრა იგი. ვამძებებარებელი მეფის გული რომ მოეღბოთ, ატიკელებმა მძიმე ხარკის გაღება იკისრეს; ყოველწლიურად შედიო წყვილი ქალ-ვაჟი ჟინდა წარეგზაინათ კრიტაზე, სადაც მათ საშინელი ტრეხული — მინოტავრი ნთქავდა იღუშალეებით მოკულ სასახლეში — ლაბირინთში. ატიკის მეფის — ეგეოსის ვაჟმა — თეზეესმა მოკლა მინოტავრი და ამით საბოლოოდ დაიბნნა საშინელი ზვედრისაგან ათენელი ქალ-ვაჟნი.

4. სენოფონტეს მიხედვით 30-მა დღემ (Memorabilia, IV,8,2).

II

1. აპოლოდოროსი — ფაღდრონელი, სოკრატეს ფანატურად ერთგული მოწაფე და თანამიმდევარი (ზღბ. — ნადიში, I).

2. კრიტობულე — მომხიბლავი ათენელი ჭაბუკი, კრიტონის ვაჟი. სენოფონტეს „ნადიში“ სოკრატე ერთობა იმის მტკიცებით, რომ ის უფრო ლამაზია, ვიდრე კრიტობულე.

კრიტონი — სოკრატეს ერთ-ერთი უერთგულესი მოწაფე. მისი ტოლი და მეგობარი. კრიტონის სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს. პერმოგენე — მდიდარი ათენელი მოქალაქის, პიანოგოსის ძე, კალიას უმცროსი ძმა. ეს ის კალიასი, რომლის სახელიც იშლება მოქმედება პლატონის დიალოგისა „პროტაგორა“. პლატონის მეორე დიალოგიდან — „კრატელე“ ირკვევი, რომ პერმოგენე უპოვარი კაცი ვოფილა, შაგრამ არ შანს რამ გააღატაკა იგი. პერმოგენე სოკრატეს ერთ-ერთ უერთგულეს მოწაფედ ითვლებოდა (პროკლე მას ეწოდებს *Σοκράτης*-ს თავის კომენტარებში „კრატელესადმი“). ეპიგენე — როგორც ჩანს, ეს ის ეპიგენეა, რომლის მამას — ანტიფონს თავის მეგობრებს შორის ასახელებს სოკრატე პლატონის დიალოგში „სოკრატეს აპოლოგია“ (22 ბ). ეს ბიანე — სოკრატეს მოწაფე. იხსენიება აგრეთვე პლატონის ორ სხვა დიალოგშიც — „ევთიდემოსი“ და „ლისია“. ინტისტენე — (დაახლ. 444—368) სოკრატეს მოწაფე; კინეოსთა სკოლის დამაარსებელი. კტესიბე პენანელო — იხსენიება პლატონის დიალოგებში — „ევთიდემოსი“ და „ლისია“; ამ უკანასკნელშივე იხსენიება მენეკსენეც, რომლის სახელსაც ატარებს პლატონის ერთ-ერთი დიალოგი.

3. სიშია და კეპენესი — თორვე თეზელი; ვიდრე სოკრატეს დამოწმებოდნენ, ისინი იხმენდნენ ცნობალი პითაგორელი ფილოსოფოსის — ფილოლაოსის (V ს. ძვ. წ. ა) ლაშქოებს. ფედონდეს შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ევკლიდეს — (IV ს. დასაწყ. ძვ. წ. ა) მეგობრული სკოლის მეთაური. ევკლიდეს და ტერპსიონის საუბრით იხსენება პლატონის „თეეტეტო“.

4. ატიკობე (IV ს. ნახევ. ძვ. წ. ა) — კირენელი სკოლის დამაარსებელი. კლეობროტი — სოკრატეს მოწაფე. ვადმოცემოდ „ფედონმა“ ისე იმოქმედა მასზე, რომ მისი წაკითხვის შემდეგ ზღვაში გადაეგება ძანილით „სალამი შენდა, მზეო!“ და დაიღუბა.

5. ეგონა — კუნძული ეგეოსის ზღვაში.

1. თერთმეტი (ინ ზნძეიკ) — დილეგის მცველნი (ინ ზნძეიკაქ რნუ კახიბრყოყ).

IV

1. ვაგენერ პაროსელი — ცნობილი სოფლისტი და პოეტი.
2. მუსიკოსობა — ყველაფერი, რაც ხელთნების სფეროს მიეკუთვნება (დედნისეულ *μουσικήν παιάνην* ასტი თარგმანს — *artem facere, factitare sive exercere*).

V

1. ის. წგნ. II, 3.
2. დედანშია: *διασπασί τε καὶ μυθολογίῃ*, ὅπου ἀνελტი ἐπὶ ἕξει εἰς ἑρσθενარ დისპონიციას მთელი დი:ლოგიას, რომელიც დიალექტიკურ და მითიურ ნაწილებად იშლება (in einen dialektischen und mythischen Teil zerfällt).
3. ოლიმპიოდოროსის მოწმობით, ათენში წესი ყოფილა ასეთი: სიკვდილმისჯილთ შხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ სჯილნენ.

VI

1. ღებედევის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ის მისტიური, იღუმალეების მურყნით შოსილი ენა, რომელშიც პითაგორელნი ახვედნენ თავიანთ აზრებს (ფილოლოსის პითაგორელი იყო).
2. თავის, ე. ი. ბეოტიკურ კილოზე (*ἔπει Ζεὺς* — *ἔπει Ζεὺς*-ის ნაცვლად).

VII

1. ატქონტი — წინამძღოლი, ბელადი.

X

1. ოლიმპიოდოროსი ასე განმარტავს ამ ადგილს: „პოეტთაგან იგულისხმებიან პარმენიდე, ეპქედოკლე და ეპიხარმე. ასინ ხომ ამტკიცებენ, რომ გრძნობებით ეგრის შევიცნობთ ნათლად. ასე მაგ. ეპიხარმე ამბობს: გონება პერეტს და გონება იმენს, სხვა ყველაფერი ბრმა და ყრუ“.
2. დედანში ზუსტად ასეა: *ἰγρᾶσαυ*.

XI

1. ღეონ რობენი მართებულად აელებს პარადელს ამ ადგილსა და დეკარტეს სიტყვებს შორის: „ახლა მე დავხურო თვალს, დავიცომ ყურებს, შევკავებ ყველა ჩემს გრძნობას... და ამრიგად, შექნება რა საქმე მხოლოდ ჩემს თავთან, მე ვეცდები“... (დეკარტე, მეტაფიზიკური განმარტებანი, პრიოდ. ს. დანელის თარგმანი).
2. ეს ბერძნული სიტყვა (*σάραξ* — წყება), აგრე სწორად ხმარებულა პრიტელს „კავშირთა“ პეტრიწისეულ თარგმანში და ერთგან — რუსთაყელის მიერ, დედანში არაა. მე მითი ვაეღუნით ვიხმარე.

XII

1. ღეონ რობენის აზრით, აქ ორტიში იგულისხმება.
2. ვაიხსენათ თუნდაც მითი ორფეოსისა და ევრიდიკეს შესახებ.
3. დედანში: *ἦν γὰρ ἀστᾶν*.

XIII

1. დედანში სიტყვების თ:მ:შია: *ὄνα... φιλοσοφία, ἀλλὰ τὰ φιλοσοφίασιν*.
2. ვიტენბახის მტკიცებით, სათნოების ოთხ ნაწილად დაყოფა (თავდაქარალობა, სამართლიანობა, სიამაყე, სიბრძნე) პითაგორელთაგან უნდა მომდინარეობდეს.
3. დედანშია: *„γαρηγιασφόροι μὲν πολλοί, πάντες δὲ τε παῖροι“*; ამ ორფიკული ღექსის პირდაპირი თარგმანი ასეთია: „ფერულა ბეგრს მოაქის, ვაკხანტი (ვაკხის ქურუმი) კი ცოტაა“. (ვაკხანალიებზე, ვაკხისადმი მიძღვნილ ღღესასწაულებზე ხალხს უგრეტლას ყვერთბი ეპირა ხელში). როგორც სამართლიანად აღნიშნავს პლატონის თითქმის ყველა „ღველ“ თუ ახალი ღრთის კომენტატორი, მისი აზრი ზუსტად იგივეა, რაც ქრისტეს სიტყვებისა: „მრავალნი არიან მინებულ, ხოლო შეიარღენი რაქულ“ (მათე 20, 16). ღმწერი კარგად განმარტავს: *Multi prae se ferunt amorem et studium philosophiae, pauci sunt philosophi*.

XIV

1. შერ. სოკრატეს ამოლოცია, 19 c—d.

XV

1. პლატონის კომენტატორთა აზრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ორფიზმი, მითაგორეზმი ან ემპედოკლეს ფილოსოფია.

XVI

1. არ შეიძლება გერაპიძელის ენაგურთი სიტყვები არ გაგვანსენდეს აქ: „ცოცხალი შობენ მკვდართა და მკვდარი ცოცხალთა ჰბადებენ“.

XVII

1. ე ნ დ ი მ ი ო ნ ი — მარადიული ძალით მოცული მომზიბლავი ქაბუკი, მთვარის — სელენეს მიგნური. მითის მიხედვით ენდიმიონმა თვითონვე ისურვა მარადიული ძალი, უკვდავება და სიჭაბუკე. სელენას თხოვნით ზევსმა სურვილი შეუსრულა მას.

2. იგ. ანაქსაგორას ცნობილი თეზისი: πάντα χρῆματὰ ἴσῃ ἔμην, εἰς τὰ γὰρ ἔμμεν ἅπαντα διακρίματα (Diog. Laert. II, 6).

ველა საგანი ერთად ეგო, მერე მივიდა გონება და განაწესრიგა ისინი.

3. ეს უკანასკნელი სიტყვები (ყვითლით ხედავთ ვაციალებით უკეთესია ბოროტთა ხედვებზე) შტალბაუმმა სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნია ინტერპოლაციად. შტალბაუმის გაგონებით ზოგი მთარგმნელი (მაგ. ყებელიძე) მათ არც კი თარგმნის, ხოლო ზოგი ფრჩხილებში სვამს ამ სიტყვებს და ამჩივად, არაბორღაპირ მაინც ეთანხმება ვერმანელ მეცნიერს. თანამედროვე მკვლევარებმა (მაგ. ლ. რობინი) სამართლიანად უარსვეს შტალბაუმის ეს მტდარი აზრი. მართლაც, საკმარისია შევადართო XVII თავის დასკვნათი სიტყვები მას, რაც ზემოთ VIII ან ქვემოთ XXI, XXX, XXXII, LVII, LXII თავებშია ნათქვამი, და ზვენთვის ცხადი გახდება შტალბაუმის შეზღუდუბის სრული უსაფუძვლობა.

XVIII

1. გაეიხსენოთ პლატონის დიალოგი „მენონი“, სადაც ბიჭი, რომელსაც გეომეტრიის არა გაეგება რა, სოკრატეს მიერ სწოთრად დამძული კითხვების მიოხებით გარკვეულ ცოდნას ამვლავნებს მათემატიკის ამ დარგში.

XXIX

1. პლატონს უყვარს ეგვიპტეზე ლიბარეკი (შდრ. ფედროს, 274 c. ტომასოს, 21 c და სხვ.).

2. თუმცა „კრატილეში“ პლატონი უარყოფს ეტიმოლოგიას „ბადესი < ხილაეი, უჩინარი“ (Αἰθερ < αἰθήρ) და „ცოდნისგან“ (εἰδέναι) გამოქყავს ქვეყნელის ფილის სახელი.

XXX

1. დედანშია. ἔμμεν: აველტი (და ასტიც თავის ლექსიკონში) ქალიან კარვად თარგმნის მას — niederdrücken; დიფთ აღმაშენებლის ისტორიკოსთან ემოვე ამსოლუტურად იდენტორი სიტყვა — ქვე-დამხიდეული („...ხორცთა ამათ ქვე-დამხიდეულთა“...).

XXXI

1. სული სხეულის ზნე-ჩვევებითა ინდივიდუალიზებული; სხეულის სიბოლწეთაგან განწმენდა ესაა ამსოლუტურ აზრში (dans la pensée absolue) დეზინდივიდუალიზაცია. ეს პრინციპი პლატონის ესხატოლოგიის საფუძველია: კაცის სხეულში დასადგურებული, მაგრამ ეხოველურ ვნებებს დამონებული სული სიკვდილის შემდეგ იმ ეხოველის სხეულში უნდა გადავიდეს, რომელსაც ზნით ჰგავდა სიკოცხელში (ლ. რობენის შენიშვნა).

XXXIV

1. ბენელთა დამით არღვევდა მას, რასაც დღისით ქსოვდა. გადატანით ეს აგებულის დანგრევეს ნიშნავს. როცა მერყევი სული ფილოსოფიის დახმარებით მსოლოდ იმიტომ თარგუნავს ხორციელ ვნებებს, რომ შემდეგ ველაგ მათვენ მიიქცეს და აალირძინოს ისინი, ცხადია, ისიც ბენელთას დაუსრულებელი რუდუნების გზას ადგება, ოლონდ საბირისპირო მხრით (ყერ ანგრეეს და მერე აგებს).

XXXV

1. ძველებს სწამდათ, რომ გველები სიკვდილის წინ მღერაინ. ამას ახალი დროის ზოგი ნატურალისტიც ადასტურებს.

2. იგ. მითი ფილომელას და პროქნას შესახებ ათენის მეფის პანდიონის ისტლია — პრიკნა ცხადად გაგვეს არიკოს მეფეს ტყვეებს. მშობლურ

3. დედონი

სახლს მოწყვეტილმა ქალმა თავისიანები მოინატრა და მამის ფოკიდაში უმცროსი და — ფილომელა ეწვია მას. ფილომელას სილამაზით მოხიბლულმა ტერევესმა ცოლისადი ერწმუნა ასხადა, შერე კი დანაშაულის დადარვის მიზნით, ენა მოაქცევია მის. ფილომელამ მოსასხამზე ამოქარგა და ასე ამცნო დას თავისი უბედურების ამბავი. რისხვით გონდაქარგულმა დეკმა საზარელ შურისძიებას მიმართეს: დაკლეს ტერევესის ვაჟი იტიისი და ვახშად მიართვეს მამს. ტერევესი მოსაკლავად დაედევნა დებს, მაგრამ ზეენმა ფრინველებად აქცია სამთავე: პროკნა — ბულბულად, ფილომელა — მერკხლად, ტერევესი — თოვთად.

3. გედი მიანდათ აპოლონის წმინდა ფრინველად.

XXXVII

1. აქ კებესი უარყოფს სიმის არგუმენტს და ამდენად, მისი კურადღე-ბაც ისევ სჭორდება, როგორც სოკრატესი.

2. ორფიზნი სხეულს სულის სამოსს უწოდებს; შდრ. ვმედოკლე (fr. 126, Diels): *αεραὸν ἀλλογυῖται καρσιανέλαιονα Ζευθι* — დილის აღადგენს: (Ein weiblicher) Daimon, der(die Seelen) mit fremdartiger Fleischeshülle umkleidet. (მდედრი დემონი, რომელიც სულს ხორცის უცხო სამოსით მოსაყს). შდრ. მიქელანჯელო

Per qual mordace lima
Diseresce e manca ognor tuo stanca spoglia,
Anima inferna, or quando sie ti scioglia
Da quella il tempo, e torni, ov' eri, in cielo,
Candida e lieta prima,
Deposto il periglioso e mortal velo? (LXXXVII).

XXXVIII

1. ძველი ბერძნები თმებს იტრიდნენ გლოვის ნიშნად და მიცვალებულის სამართზე იდუნდნენ მით.

2. როცა ლაკედემონელებმა დაამარცხეს არგოსელნი და ქალაქი ტირენა წაართვეს მათ, ამ უკანასკნელთ უიკო დასდეს, მანამდე არ მოეშვათ თმება, ხანამ უკან არ დაიბრუნებდნენ დაკარგულ ქალაქს (პეროდოტე I, 82).

3. იოლეთოსი (იოლათოსი) — პერაკლეს ძმისწული, მისი მეგობარა და თანმზღები. იოლეთოსმა განსაკუთრებით დიდი დასმარება გაუწია პერაკლეს ლერენის ჰიდრასთან ბრძოლის დროს.

XXXIX

1. მიზოლოგი (*μυθολογία*) — სიტყვის, განსჯის, სიბრძნის მოძლე.

2. ეერეპოსი — მიწვეე მფრთონავი ვიწრო სრულტე ბეოტიასა და ევბეის შორის, სადაც ზღვის მიქცევა და მოქცევა უოთაღლვე შედგება ენიც ვლტება ერთიმეორეს.

XLIII

1. ოდისეა, IX, 17—18; პერძნული სიტყვა *αραδίνη* გულისც ნიშნავს და სულსაც

XLIV

1. იგ. ქარმონია — არესისა და აფროდიტეს ასული, თებეს ლეგენდარული დამარსებლის — კადმოსის მეუღლე (ვაეისხენით; სმიიაც და კებესიც თებელეში არიან).

XLV

1. დედანში: *της σοφίας ήν δε ήλπισει περί φύσεως ιστορίαν* (ლ. რომენი თარგმნის — *enquête sur la Nature*; ო. ბელტი — *Naturkunde*; დ. ასია — *la physique*; ო. ბონგი — *notizia della natura*; დ. ლებელევი — *наука о природе*; ს. გებელიოვი — *исследование природы*). ეიტენბახის განმარტებით *ιστορία φύσεως antiquo usu universe significat cognitionem et scientiam naturae ex contemplatione et ratione i. e. tam experientia quam theoria ductam.*

2. შეკლევართა აზრით, აქ ანაქსაგორა და არხელაონი იგულისხმებიან.
3. ასე ფიქრობდა ემპედოკლე: „κατα αἴθρα სισხλο, რომელიც გულის

ირგვლივ მიმოიქცევა (αἶμα περιχάρεισιν)“—დილის თარგმნის: *das um das Herz wallende Blut ist den Menschen die Denkkraft.*

4. ანაქსიმენეს მოძღვრება იგულისხმება: *εἶον ἢ ψυχῆ φησίν, ἢ ἡμέτερα ἀήρ ὅσα συγκαταί ἡμᾶς, καὶ ὄλον πὺν χόσμον πνεύμα καὶ ἀήρ περιέχει;* (დილისი, 2)—როგორც ჩვენი სული ანუ ჰაერი ერთად გვკრავს ჩვენ, მოიღოს კოსმოსსაც ასე ჰერაქლს და მოიცავს კროლეა (Hauch) და ჰაერს.

5. ჰერაკლიტი: *λέγει δὲ καὶ φρόνιμον τούτο εἶναι τὸ πῦρ καὶ τῆς θείας ἰσχυρίας τὸν ὄλον αἶθρον;* დილისი, 64—ამბობს (ჰერაკლიტი) ყველაზე გონება და სიზნაურად მართვის (Weltregierung) მიზეზი.

6. სტემეონ კროტონელის აზრი.

7. იგ. ანაქსაგორას მოძოლომეტრიზმი, რომლის მიხედვითაც მთელი თვისობრივად არ განსხვავდება თავისი ნაწილისაგან, რადგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი. ამიტომ თმა მხოლოდ თმისგან ჩნდება, ხორცი — ხორცისგან და ა. შ. ე. ი. მსგავსი მხოლოდ მსგავსისაგან იღებს დასაბამს. შდრ. ლუკრეციუსი, საფანთა ბუნებისათვის, I, 834 და შშო.

მოძოემეტრზე საგნებისა ოდეს ვეამცნობენ,
 ემპედოკლე, რომ ჰკონებენ მცირის უმცირეს
 შენდება ძველები ძელებისაგან, ხოლო კუნთები
 მცირის უმცირეს კუნთებისგან, ხოლო სისხლი კი
 სისხლის უმცირეს მრავალ წვეთთა შეერთებისგან,
 ოქროც იქმნება ოქროს ნაწილთ თვერილობისგან,
 მომატებისგან ციკქნა მიწის მიწაც იზრდება,
 ციცილი ცეცხლისგან წარმოიშვის, სითხე — სითხისგან,
 ამგვარ შერევით იქმნებათ ვითომც ყოველი.

(პროფ. პ. ბერაძის თარგმანი).

XLVI

1. *νῦν δὲ ἔστιν ἡ διακοσμῶν τε καὶ πάντων αἴτιος*—ანაქსაგორას ცნობილი თეზისია.

2. დედნის *πάσχειν ἢ ποιεῖν* შე ასე უთარგმნე, რადგან ემპედოკლის შართებული შენიშვნით აქ მხოლოდ პასუხი არ აქტიურ მდგომარეობაში ყოფნა იგულისხმება, სხვა არაფერი.

3. მიწას ბრტყელ, ბადროს ფორმის მქონე სხეულად იონიელი ფიზიკოსები მიიჩნევენ. ხოლო სფეროსებრ სხეულად—პათაგორელნი და პარმენიდე.

4. მიწას სამყაროს ცენტრში იონიელები და ელეელები ათავსებდნენ.

XLVII

1. ანაქსაგორას პლატონისეულ კრიტიკას საცხებოთ იზიარებს არისტოტელეც (მეტაფიზიკა IV, 984 b — 985 a).

2. ფიცის ფართოდ გაფრცელებული ფორმულა.

3. *მეგაარა და ხეოტია* — ატიკის მომიჯნავე პროვინციები. (შდრ. კრიტონი, 45 b; 53 b).

4. ჭეშმარიტი მიზეზი და მისი მოქმედებისათვის საჭირო შეორეული პირობა იგულისხმება.

5. ემპედოკლე მიწის სტაბილურობას მისი გარემომცველი ცის ბრუნვით ხსნიდა: ასე წყალი რჩება ქიქში, რომელსაც სწრაფად ატრიალებენ ანაქსიმენე კი ფიქრობდა, რომ მიწა ჰაერზეა დაყრდნობილი.

6. *ატლანტი* — ტიტანი, პრომეთეს ძმა, რომელსაც მხრებით ტვირთავს ცის თალი.

7. შდრ. XXXV თავის დასასრ.

XLVIII

1. ის, ვინც ვრძნობებით ჰერკლეს არსს, იმ კაცს ემსგავსება, რომელიც ცდილობს მზეს გაუსწოროს თვალი.

2. არსს აზრით უნდა წიდებოდეს კაცი, და წვდებოდეს თავის იდეაში, რომელიც არსის უბრალო ხატი როდია მხოლოდ.

1. **თარება (მუძე) და ერთება (მონაძე)** სპეციფიკური ანალოგიური კავშირით (წმიდა საძებნა).

2. **ინ ἀναλογίαι** — სოფისტები იგულისხმებიან.

L

1. იღვას რომ ეზიარება, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საგანი მისი „სეხნა“ ხდება.

2. პლატონის კონცეპციით, არა მარტო სიდიდით თავის თავში არ შეიძლება ერთდროულად დიდიც იყოს და მცირეც, არამედ არც სიდიდით, რომელიც ჩვენი სუბიექტის ატრიბუტის სახით. ამიტომ, როცა ვამბობთ სიმია, ერთსა და იმავე დროს, სოკრატეზე უფრო დიდია, ხოლო უფროსზე უფრო პატარაო, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სიმიაში ერთდროულად ჰყავს ორივე — სიდიდით და სიმპატარავეც; მაგრამ ერთსა და იმავე სუბიექტში საპირისპირო ატრიბუტთა თანაარსებობა მხოლოდ სხვა სუბიექტთან მისი მიმართებითაა განპირობებული, რადგან მხოლოდ ამ მიმართების წყალობით ეზიარება იგი ამა თუ იმ იღვას.

LII

1. სიმია შეიძლება „დიდიც“ იყოს და „მცირეც“, მაგრამ არ შეიძლება „ცხელი თოვლი“, რადგან თოვლი ისე ვერ დაქარაღავს ატრიბუტს „ცივი“, რომ არ დაქარაღოს თავისი რაობაც.

2. „ერთი და იგივე საგანი შეიძლება ორი იღვას შეიცავდეს, ორი იღვას ეზიარებოდეს, მაგ. სიმიაში სიმაც არის და კენტიც, მაგრამ არ შეიძლება ორი საწინააღმდეგო იღვას შეიცავდეს. საგანი, რომელიც რაიმე იღვით არის ვადორმებელი, აზრდებელი, არ შეიძლება საწინააღმდეგო იღვასაც შეიკავდეს. სიმიაში კენტი და არ შეიძლება ამავე დროს ლუწიც იყოს.

შეიძლება ერთი რაიმე შეიკავოს საპირისპირო არ იყოს, მაგრამ მას მიიხსენებოდეს, სიმიაში არ ეწინააღმდეგება ლუწს (ამას კენტი ეწინააღმდეგება; საგანი და იღვა კი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ასეთნი იღვები შეიძლება იყვნენ), მაგრამ სიმიაში შეიცავს ისეთ რაიმეს (კენტს), რომელიც მას (ლუწს) ეწინააღმდეგება (ისე რაგონიც ცეცხლს შეუიკავს ისეთ რა-

მეს, რომელიც სიცოცხს ეწინააღმდეგება). არათუ საწინააღმდეგოები (იღვები) არ უშეუბნენ ერთმანეთს, არამედ საგანიც არ უშეუბნება მასში მონაწილე იღვას საწინააღმდეგოს, თუმცა საგანი და მასში მონაწილე იღვას საწინააღმდეგო იღვა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან —“ (პროტ. ს. წერეთლის ლექციებიდან).

LIII

1. ის, რაც სამის იღვას ეზიარება, სამი ხდება, მაგრამ ამ ზიარების წყალობითვე ხდება ის კენტიც, რომელსაც მიწყევ უპირისპირდება ლუწი. როგორც ლეონ ბობენი შენიშნავს, კენტი რომ ხდება, ის უარყოფა (il se nie), როგორც ლუწი ასეთი ზიარების მარტივი ეფექტი — პოზიტიური და ნეგატიური.

LIV

1. რაკი სულში სიცოცხლეს აუცილებლობითაა გამოვლენილი მსგავსად ჩხელისა — ცხელსაში და ცხელისა — ცეცხლში, ამიტომ ცოცხალი ისევე უპირისპირდება შვედარს, როგორც ჯანსაღი — სნეულს და ცხელი — ციეს.

LV

1. დედანში: **ἀνώλεστος**. ეს სიტყვა არ უნდა მივიჩნიოთ „უკვდავის“ (**ἀθάνατος**) სინონიმად. **ἀθάνατος** ნიშნავს მას, რასთანაც ხელი არა აქვს სიკვდილს (**expers mortis; immortal; unsterblich; бессмертный**), ხოლო **ἀνώλεστος** — მას, რასთანაც ხელი არა აქვს დაღუპვას (**expers interitus; impérissable; unzerstörbar; негишимый**). პეტრიწი თარგმნის: უბრუნელი.

2. სული არ იღვებს სიკვდილს: სული არა-ცოცხალი ისეთივე აბსურდია, როგორც ცხელშია — არა-სნეული და ცეცხლი — არა-ცხელი.

LVII

1. დ ე მ ო ნ ი — მფარველი სული. როგორც ესმის პლატონს „დემონი“ — „დემონი ღმერთებს ამცნობს და გადასცემს კაცთა ლოცვებზედარებას და

შესაწირავენს, ხოლო ღმერთთა ნება-სურვილსა და წყალობას — ადამიანებსა. საშუალო ადგილი რომ უჭირავს კაცთა და ღმერთთა შუა, ის მთელს სივრცეს ავსებს მათ შორის და, ამრიგად, შინაგანი კავშირით აერთებს ყველას და ყველაფერს, სწორედ მისგან იღებს დასაბამს მთელი მანტიკა და ქურუმთა ხელოვნებაც, რამდენადაც მას მსხვერპლშეწირვასთან, ზიარებასთან და, საერთოდ, გრძნეულებასა და მაგიასთან აქვს საქმე. უკვდავნი არ ერევიან მოკვდავთა შორის და მხოლოდ დემონის მეშვეობით ესაუბრებიან და უკავშირდებიან მათ, როგორც ძილის, ისე ღვიძილის დროსაც" (ნადიში; თარგმანი ჩემია ბ. ბ.). „...ჩემის ახრით, სწორედ ეს ხსნის დემონთა სახელს. გონიერნი რომ იყვნენ და მრავლისმცოდნენი (მაჩქარავც), მიტოვებენ დემონები (მაჩქარავც) უწოდა მათ პესიოდემს. ჩემის ძველს ენაში იცა სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობით იმპარება. პესიოდემ ამტკიცებს და მას სხვა პოეტებიც ემოწმებოან, რომ სიკვდილის შემდეგ კეთილი კაცი მაღალი ხედვრისა და პატრივისთვის არის ხმოზილი და, თინახმად ბრძენის სახელისა, დემონი ხდება. ამიტომ, მე შგონია, ყველა ბრძენი და კეთილი კაცი სიციცხლეშიც და სიკვდილშიაც დემონიერ (მაყარავც) ბუნებასთან წილნიყარია და მართებულად იწოდება დემონად" (კრატილე; თარგმანი ჩემია — ბ. ბ.).

2. ტ უ ლ ე ო ს ი — მითითრი გმირი, პერაკლეს ძე. მისი სახელი ეწოდება ესქილეს ერთ ტრაგედიას, რომელმაც მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე.

3. თითქმის ყველა მებოძირზე, გზაჯვარედინზე იყო საიქიოს დედოფლის, ანტილითა ქალღმერთის — პეკატეს სამსხვერპლო. თეოკრიტე ასევე ეწოდებს მას — გზაჯვარედინთა ქალღმერთი (ა მუნჯ ლუ რინდიათ).

4. მან იცის, რომ ესაა მისი რეგენერაციის გზა.

LVIII

1. ვიხუ უცხოზია. ჩვენ ისიც ვიცით, რომ პლატონი თავის ახრს ზოგჯერ სხვის მიაწერდა ხოლმე. მტალბათში ამ ადგილას შენიშნავს: *haec ad certos auctores non sunt referenda, sed Plato hac et similibus dicendi rationibus suam opinionem nonnumquam significat.*

2. ჩვენ არ ვიცით, რომელ გლავკოსს ვუღიხნობს პლატონი. ლეონ რომ

ბენის მართებული შენიშვნით, ახრი აქ იგივეა, რაც ფრანგული გამოთქმისა „ce n'est pas sorcier“ (გა არცინე ძნელი საქმეა).

3. არისტოტელე (de coelo II, 13) ამ თეორიის შემქმნელად ანაკსიმანდრეს მიიჩნევს: *εἰς τὸ δὲ τινος, οἷ' οὐδ' αὖτε τῆς ἰσμοστυχτῆ φασι* *αὐστῆ (τῆς γῆς — ბ. ბ.) μέγιστον, ὡς περ τῶν ἀρχαίων Ἀναξίμανδρος.*

4. ხმელთაშუა ზღვის აუზი იველისხმება.

LIX

1. ე პ გ ი რ ო ს ი (ჩქარავც) — ხმელი, კონტინენტი.

LX

1. ილიადა, VIII, 14.

LXI

1. ყვეზელილი თარგმნის: *Esta rena называется Стигийскою*. კერძო-ობული შეცდომია (დედაში ნათლად ნათქვამი, რომ სტიკიოსი *Στανკინჯ* ეწოდება არა მდინარეს, არამედ ადგილს, რომელზეც ის მიედინება). კერძო-ობულია ამიტომ, რომ ასე 4 ნაკადის ნაცვლად (ამ რიცხვს ის სწორად თარგმნის: *В числе этих потоков выделяются четыре*) ის იღებს ხუთს: 1. Океан, 2. Ахеронт, 3. Перифлегейонт, 4. Стигийская река, 5. Коккинт.

LXIV

1. ყველა ძველი ხალხის მსგავსად ბერძნებიც მაგიურ ბალს ანიჭებდნენ სიტყვებს.

1. ასკლეპიოსი — მეურნეობის უფალი. გარდა გველისა, ასკლეპიოსის წმინდა ცხოველად ითვლებოდა მამალი. აგადმოდი რომ მორჩებოდა. ასკლეპიოსს სამადლობლიდ უკლავდნენ მამალს. ამ სიტყვებით სულთმობრძევი სოკრატე ამბობს: ვიდრე ეკოცხოვნი, ავად ვიყავი; მე ურჩევა ხლა...

რედაქტორი მ. ამაშუკელი
მხატვარი ე. ბერძენიშვილი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური ლ. ქვარცხავა
კორექტორი თ. შინდაგორიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV-66 წ. ქალაქის ზომა 70x108¹/₃₂
ნაბეჭდი თაბახი 8,75. სააღრიცხვო-სავაშიშვლო თაბახი 5,4
ტირაჟი 10.000 შვკვ. 4127
ფასი 87 კაბ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили, № 5.

საქ. რ. ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის 14.
Подлиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина 14.

Платон
ФЕДОН
(На грузинском языке)
Детиздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1966

-5-

